ISSN 2720-8451 (online)
ISSN 2587-4543 (print)

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული

№11

SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM TAVARTKILADZE TBILISI TEACHING UNIVERSITY VOLUME

თბილისი-TBILISI
2021

ISSN 2720-8451 (online)
ISSN 2587-4543 (print)

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული

№11

გამოდის 2011 წლიდან

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2021

სარედაქციო საბჭო

მთავარი რედაქტორი – გიორგი მათიაშვილი, რექტორი, პროფესორი

მთავარი რედაქტორის მოადგილე - ელისო ელისაშვილი, სინოლოგი, კანცლერი

პასუხისმგებელი რედაქტორი – ზოია ადამია, ფილოლოგიის დოქტორი, კვლევების ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი

საბჭოს წევრები:

გელა ალადაშვილი, პროფესორი;
ნონა ახალაშვილი, პროფესორი;
ჩერეკ ბუსტრა, გთუნის საპატიო დოქტორი (ნიდერლანდები);
მარიამ დარბაიძე, პროფესორი
ინგა დიაკონიძე, პროფესორი;
მარინა ვეკუა, პროფესორი;
ამირან თავართქილაძე, პროფესორი;
სოფო თევდორაძე, პროფესორი;
სერგეი იაკუბოვსკი, პროფესორი (უკრაინა);
გივი ლობჟანიძე, პროფესორი;
ამიდ ნიზჰადი, პროფესორი (აშშ);
რაინჰარდ პაულინგი, პროფესორი (გერმანია);
თალიკო ჟვანია, პროფესორი;
იორნ ვან რიი, პროფესორი, ინჰოლანდის უნივერსიტეტი, (ნიდერლანდები);
ჟილ რუე, პროფესორი (საფრანგეთი);
შენგელი ფიცხელაური, პროფესორი;
რომან შენგელია, პროფესორი;
ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე, პროფესორი;
ლია ჯანგებაშვილი, ასოცირებული პროფესორი;
ბარბარა ჰაინესი, პროფესორი (აშშ).

EDITORIAL BOARD

Editor-in-chief – Giorgi Matiashvili, Rector, Professor

Vice Editor-in-chief – Eliso Elisashvili, Sinologists, Chancellor

Executive Editor – Zoia Adamia, Doctor of Philology, Head of the Research Support Center

Board members:

Gela Aladashvili, Professor (Georgia);
Nona Akhalashvili, Professor (Georgia);
Tjerk Busstra, Honorary Doctor of GTUNI (The Netherlands);
Mariam Darbaidze, Professor (Georgia);
Inga Diakonidze, Professor (Georgia);
Marina Vekua, Professor (Georgia);
Amiran Tavartkiladze, Professor (Georgia);
Sofo Tevdoradze, Professor (Georgia);
Sergei Yakubovskyi, Professor (Ukraine);
Givi Lobzhanidze, Professor (Georgia);
Hameed Nezhad (USA);
Reinhard Pauling, Professor (Germany);
Taliko Zhvania, Professor (Georgia);
Jorn van Rij, Professor, Inholland University (The Netherlands);
Gilles Rouet, Professor (France);
Shengeli Pitskhelauri, Professor (Georgia);
Roman Shengelia, Professor (Georgia);
Lali Chagelishvili-Agladze, Professor (Georgia);
Lia Jangebashvili, Associate Professor (Georgia);
Barbara B. Hines, Professor (USA).

ჩვენი მისამართია:
0101, თბილისი, სამღერეთის ქ. 5
ტელ: +995 032 2 661 512;
+995 032 2 246 590;
+995 032 2 246 591
ელ. ფოსტა: info@gtuni.edu.ge
ვებ გვერდი: www.gtuni.edu.ge

Our address is:
0101, Tbilisi, Satzimet st. 5
Tel: +995 032 2 661 512;
+995 032 2 246 590;
+995 032 2 246 591
e-mail: info@gtuni.edu.ge
Website: www.gtuni.edu.ge

http://www.gttu.edu.ge/ge/volume-of-scientific-works2/volume-of-scientific-works

ISSN 2720-8451 (online)
ISSN 2587-4543 (print)

© შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, 2021
© LLC Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, 2021

გამომცემლობა „უნივერსალი", Publishing House "Universal", 2021
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
Tbilisi, 0186, a. Politkovskaya # 4, +995(99) 33 52 02, +995(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISSN 2720-8451 (online)
ISSN 2587-4543 (print)

SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM TAVARTKILADZE TBILISI TEACHING UNIVERSITY VOLUME №11

Published since 2011

Publishing House **"UNIVERSAL"**
Tbilisi 2021

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ყოველწლიურ მრავალდარგობრივ სამეცნიერო შრომათა კრებულში წარმოდგენილი ნაშრომები ეძღვნება სამართლის, ეკონომიკის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური საკითხების კვლევას.

გამოცემის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართველი და უცხოელი ავტორების, განსაკუთრებით, ახალგაზრდა სპეციალისტების, მეცნიერული ძიების გაღრმავებას, ორიგინალური კონცეფციების წარმოჩენას, აკადემიური კონტაქტების გაფართოებასა და ერთობლივი სამეცნიერო – კვლევითი პროექტების შექმნას, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად შემოთავაზებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გაშუქებას.

The papers presented in the annual, multi-branch journal – Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University are dedicated to the research of current ssues of economic, social, humanitarian and law sciences.

The purpose of the journal is to promote deepening of scientific research of Georgian and foreign authors, especially young specialists, submission of original concepts, broaden of the academic contacts and creation of joint research projects, coverage of conclusions and the recommendations offered as a result of activity of the international organizations in Georgia.

შინაარსი
CONTENTS

სამართლის მეცნიერებები
LAW SCIENCES

ნინო ბოჭორიშვილი 7
Nino Botchorishvili

ნუგზარ თევდორაძე 19
Nugzar Tevdoradze

ლიკა საჯაია 24
Lika Sajaia

ედიშერ ფუტკარაძე 32
Edisher Phutkaradze

ეკონომიკის მეცნიერებები
SCIENCE OF ECONOMICS

ზურაბ მუშკუდიანი ნათია სურმანიძე ხათუნა თაბაგარი 47
Zurab Mushkudiani Natia Surmanidze Khatuna Tabagari

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები
HUMANITY AND SOCIAL SCIENCES

მარინე ვეკუა 56
Marine Vekua

ლეილა დიასამიძე 60
Leila Diasamidze

ანნა მახარაძე 68
Anna Makharadze

თეა მჟავანაძე 74
Tea Mzhavanadze

თამარ ტუხაშვილი ნიკოლოზ ჯანაშვილი.....81
Tamar Tukhashvili Nikoloz Janashvili

მანანა შელია 90
Manana Shelia

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის უფლება ქართული და ევროპული სამართლის მიხედვით

ნინო ბოჭორიშვილი
სამართლის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი
ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5
+995599742753
nino.botchorishvili@gttu.edu.ge

აბსტრაქტი

კონსტიტუციური სახელმწიფოს შექმნაში სამართალი გადამწყვეტ როლს ასრულებს. დემოკრატიულ ქვეყნებში საკანონმდებლო აქტები საზოგადოების მთლიანობის საწინდარია. სწორედ ამიტომ კონსტიტუციური სისტემა სამართლის უზენაესობის გარეშე წარმოუდგენელია.

სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების მნიშვნელოვანი ელემენტია სასამართლო განხილვის საქვეყნოობის პრინციპი. ამ პრინციპის არსებობა არამხოლოდ მხარეების, არამედ საზოგადოების ინტერესებშიც შედის. სასამართლო განხილვის საქვეყნოობის პრინციპის რეალური მოქმედება განაპირობებს საზოგადოების ნდობის ხარისხს მართლმსაჯულებისადმი.

სასამართლო განხილვის საქვეყნოობის პრინციპი შეიძლება, დავყოთ ორ ნაწილად: პირველი სასამართლო სხდომის საქვეყნოობა, რომელიც აბსოლუტური ნორმა არ გახლავთ და საქართველოს კონსტიტუციით მხარის მოთხოვნით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება სასამართლომ დახურულადაც გამოაცხადოს სხდომა, და მეორე – სასამართლო გადაწყვეტილების საქვეეყნოობა, რომელიც, პირველისაგან განსხვავებით, აბსოლუტური ნორმაა და საქართველოს კონსტიტუცია არ უშვებს რაიმე გამონაკლისს სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ქართულ კანონმდებლობაში გვხვდება როგორც საქვეყნოობისა და საჯაროობის ტერმინების ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოყენების მაგალითები, ისე -- საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმა, რომელიც უშვებს მხარის შუამდგომლობით სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ არგამოცხადების შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები:
სამართლიანი სასამართლო, საქვეყნოობა, ხელმისაწვდომობა.

THE RIGHT TO ACCESS COURT DECISIONS ACCORDING TO GEORGIAN AND EUROPEAN LAW

NINO BOTCHORISHVLI
PHD in Law
Associate Professor
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Member of the Union of Legal Scientists
Tbilisi, Samghereti st. №5
+995599742753
nino.botchorishvili@gttu.edu.ge

Resume

The right of a person to have a fair trial is one of the focal principles of fair state and democratic principles, since the right to a fair trial is the most important mechanism that regulates the disputed relations between the individual and the state, ensures the effective realization of constitutional rights and protects against unjustified interference with rights. The main element of a fair court is the principle of universality, and this is exactly what determines the level of public trust. The absence of any element for the implementation of the idea of a fair court is equivalent to the absence of a fair court as a whole. As a result of the research, it has been revealed that the universality of court decisions provided in the country is not completely protected from the constitutional-legal point of view. It is not appropriate to use the terms universality and publicity with the same meaning in different or the same normative act, therefore it is better to find the term with one and the same meaning in all normative acts applicable in Georgia.

Concerning the accessibility of the court decision to everyone, it should be noted that, although the court decision on adoption is very delicate and is of great importance for the side in order to protect the fact of adoption from publicity, against the background that the Constitution of Georgia does not allow an exception or the possibility of deviating from the norm, neither does the Civil Procedure Code of Georgia should not allow an exception, I think it is necessary to bring the first paragraph of Article 351 of the Civil Procedure of Georgia into compliance with the Constitution, here, instead of refusing to make a public announcement, the norm may take into account the mandatory announcement of a court decision in a form that excludes the identification of a person, which will significantly contribute not only to the basic rights of citizens and effective protection of freedoms, but also ensures the refinement and future development of a fair judicial system, both theoretically and practically.

According to the current practice, all court decisions related to adoption using the data of the Civil Code, without any explanation, are not available, therefore there is no public control mechanism for this type of decision. **It is advisable to have a high standard of access to judicial decisions, when it is possible to limit it only in specific cases established by legislation, with appropriate justification.** Court decision should be available to any interested person. Only exceptions established by law can be allowed from the mentioned rule. Covering of personal data, commercial secrets or confidential information contained in court decisions should be possible only at the substantiated petition of the parties or by the initiative of the judge, and not in all cases, if it concerns adoption cases.

Keywords: Fair trial, universality, accessibility

შესავალი

პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიული პრინციპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს, ვინაიდან სამართლიანი სასამართლოს უფლება ის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რომელიც აწესრიგებს ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის არსებულ სადავო ურთიერთობებს, უზრუნველყოფს კონ-სტიტუციური უფლებების ეფექტურ რეალიზებას და იცავს უფლებებში გაუმართლებელი ჩარე-ვისაგან. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი ელემენტი სწორედ საქვეყნოობის პრინციპია და სწორედ ეს განაპირობებს საზოგადოების ნდობის ხარისხს. სამართლიანი სასამართლოს იდეის განხორციელებისათვის რომელიმე ელემენტის არარსებობა მთლიანად სამართლიანი სასამართლოს არარსებობის ტოლფასია.

სამართლის უზენაესობა საკანონმდებლო საქმიანობას ანიჭებს აზრს. ჯონ ლოკის აზრით, უზენაესმა ხელისუფალმა ქვეყანა "გამოცემული, დამკვიდრებული, მუდმივმოქმედი და ხალხისა-თვის ცნობილი კანონებით" უნდა მართოს. "საკანონმდებლო ან უზენაესი ხელისუფლების მპყრო-ბელი ვალდებულია, სახელმწიფო დამკვიდრებული, მუდმივმოქმედი, გამოცემული და ხალხისა-თვის ცნობილი კანონებით და არა დროებითი და ნაჩქარევად შექმნილი დეკრეტებით მართოს. გარდა ამისა, საჭიროა მიუკერძოებელი და სამართლიანი მოსამართლეები, რომლებიც ყოველგვარ დაპირისპირებასა თუ დავას ამ კანონების გამოყენებით წყვეტენ.[1]"

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებაში ხელისუფლების დანაწი-ლების პრინციპის ასამოქმედებლად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გვერდით, აუცილებელია დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუტი. არსებობს მოსაზრება, რომ სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკური და სამართლებრივი ფენომენია, რომელიც ადეკვატურად ასახავს ხელისუფალთა დანაწილების დოქტრინაზე დაფუძნებული სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისადმი სწრაფვას[2].

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია სხვა უამრავ, მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა შორის, სასამართლოს განსაკუთრებულ როლზეა ორიენტირებული, რაც, პირველ რიგში, მისი დამოუკიდებლობის პირობებზეა დამყარებული[3].

სასამართლოს დამოუკიდებლობის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი ის არის, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებლად ახდენს სასამართლო პოლიტიკის ფორმირებას, შეიმუშავებს სასამართლო საქმიანობის მთავარ მიმართულებებს ცხოვრებაში მიმდინარე შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით. ცხადია, ყველა აღნიშნული თავისებურება, მეტ-ნაკლებად, საქართველოს სასამართლო ხელისუფლებაზეც ვრცელდება.[4]

სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების მნიშვნელოვანი ელემენტია სასამართ-ლო განხილვის საქვეყნოობის პრინციპი. ამ პრინციპის არსებობა არამხოლოდ მხარეების, არამედ საზოგადოების ინტერესებშიც შედის. სასამართლო განხილვის საქვეყნოობის პრინციპის რეალური მოქმედება განაპირობებს საზოგადოების ნდობის ხარისხს მართლმსაჯულებისადმი.

სასამართლო განხილვის საქვეყნოობის პრინციპი შეიძლება, დავყოთ ორ ნაწილად: პირველი სასამართლო სხდომის საქვეყნოობა, რომელიც აბსოლუტური ნორმა არ გახლავთ და

---

[1] Locke, John, "Second Treatise of Government", in Two Treatises of Government. Cambridge: Cambridge University Press, 1980.

[2] Ваглай М.В., Конституционное право Росийской Федерацим, М., 1999, с.628.

[3] იხ. რამიშვილი, ნუცა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონა-ლიზმში, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXII, გამომცემლობა, თბ., 2005 წ. გვ. 41

[4] იხ. მელქაძე, ოთარი, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXV, გამომცემელი "ინოვაცია", თბ., 2008 წ. გვ.213.

საქართველოს კონსტიტუციით მხარის მოთხოვნით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება სასამართლომ დახურულადაც გამოაცხადოს სხდომა, და მეორე – სასამართლო გადაწყვეტილების საქვეეყნოობა, რომელიც, პირველისაგან განსხვავებით, აბსოლუტური ნორმაა და საქართველოს კონსტიტუცია (კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი)[1] არ უშვებს რაიმე გამონაკლისს სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ქართულ კანონმდებლობაში გვხვდება როგორც საქვეყნოობისა და საჯაროობის ტერმინების ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოყენების მაგალითები, ისე -- საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმა, რომელიც უშვებს მხარის შუამდგომლობით სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ არგამოცხადების შესაძლებლობას.

ძირითადი ნაწილი

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის პრობლემა, რომელიც საქვეყნოობისა და საჯაროობის ტერმინის არასწორ გამოყენებას შეეხება. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლით, "სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ"[2], 2010 წლის ოქტომბრამდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ ცხადდებოდა[3], ხოლო საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (ამოქმედდა 2010 წლის 01 ოქტომბრიდან) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით კი "სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ"[4].

საერთაშორისო სამართალში ,,საქვეყნოობის" ნაცვლად ხმარობენ ,,საჯაროობას" იმავე დატვირთვით, რასაც გულსხმობს ,,საქვეყნოობა". შესაბამისად, საერთაშორისო აქტების ქართულ ენაზე თარგმნისას, ,,საქვეყნოობის" ნაცვლად, იყენებენ სიტყვა ,,საჯაროობას". ეს კი სერიოზული შეცდომაა.

საჯაროობის პრინციპს სისხლის სამართალწარმოებაში საქვეყნოობის პრინციპისაგან განსხვავებული შინაარსი აქვს. ამიტომ, ,,საქვეყნოობის" ნაცვლად, ,,საჯაროობის" ხმარება, სულ ცოტა, ტერმინოლოგიური უზუსტობაა. აღნიშნულ საკითხს თავის დროზე გამოეხმაურა პროფესორი გ. ნადარეიშვილი, რომელიც მ.ს. სტროგოვიჩის ნაშრომზე (სისხლის სამართლის პროცესი) დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ ტერმინები ,,საჯაროობა" და ,,საქვეყნოობა" სხვადასხვა შინაარსისაა. კერძოდ, საჯაროობა ნიშნავს სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებას, დაიწყონ წინასწარი გამოძიება დანაშაულის ნიშნების არსებობისას, მიუხედავად იმ მოქალაქეებისა და ორგანიზაციების ნებისა, რომელთა ინტერესებსაც უშუალოდ ეხება დანაშაული, ანუ საჯაროობა იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის პროცესის წარმოება და მისი შედეგები დამოკიდებული არ არის იმაზე, საჭიროდ მიაჩნია თუ არა დაზარალებულს, განაცხადოს დანაშაულის შესახებ, მიიღებს თუ არა იგი ამა თუ იმ ზომას თავისი

[1] საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი. სსმ, დოკუმენტის ნომერი 2071-IIს, მიღების თარიღი 23/03/2018.

[2] საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი. სსმ, დოკუმენტის ნომერი 2071-IIს, მიღების თარიღი 23/03/2018

[3] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი №1251, პარლამენტის უწყებანი, №13-14, 08.04.1998 წ., გვ. 31.

[4] საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ.190.

უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. რაც შეეხება საქვეყნოობის ტერმინს, იგი ნიშნავს იმას, რომ სამსჯავრო განხილვა ხდება საქვეყნოდ, ღიად, ხალხის თანდასწრებით[1].

საქართველოს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი (მუხლი 13) ითვალისწინებს საქვეყნოობის ძირითადი უფლების მოთხოვნას და ადგენს, რომ „სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ".[2]

როგორც უკვე აღვნიშნე, საჯაროობასა და საქვეყნოობას, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, განსხვავებული დატვირთვა აქვს, თუმცა საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 85) და "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი (მუხლი 13) სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებას ითვალისწინებს საქვეყნოდ, ხოლო საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 10) იმავე მნიშვნელობით იყენებს განსხვავებულ ტერმინს – საჯაროს, რაც, ჩემი აზრით, ყოვლად დაუშვებელია. მიმაჩნია, რომ ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი დებულებები განსხვავებული ტერმინებით არ უნდა არსებობდეს ქართულ კანონმდებლობაში. ამდენად, აუცილებელია შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

აღნიშნულ დებულებას აღიარებს საერთაშორისო სამართალიც. 1950 წლის ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ მე-6 მუხლის პირველ ნაწილში ამბობს: „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ...."[3]. კონვენციის აღნიშნულ მოთხოვნაზე, რომ განაჩენი საქვეყნოდ უნდა გამოცხადდეს, არ არის დაწესებული რაიმე შეზღუდვა და იგი მოქმედებს თავად სასამართლო სხდომის დახურულად მიმდინარეობის შემთხვევაშიც[4].

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენვიით შექმნილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება ყოველთვის არ გულისხმობს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ტექსტის წაკითხვის ვალდებულებას. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ქვეყნის შიდა კანონმდებლობის მოთხოვნებიც. საქმეში „პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ" ევროპის სასამართლომ ჩათვალა, რომ არ იყო დარღვეული მე-6 მუხლის პირველი პუნქტით აღნიშნული მოთხოვნა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარებული იქნა სასამართლოს კანცელარიაში, სადაც ნებისმიერ პირს შეეძლო მისი გაცნობა. საქმეში „ახსენი გერმანიის წინააღმდეგ"[5] სასამართლომ მიიჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოუცხადებლობა არ არღვევდა მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, ვინაიდან საჯაროდ იყო გამოქვეყნებული ქვედა ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილებები აღნიშნულ საქმეზე. თუმცა, საქმეებში „ვერნერი ავსტრიის წინააღმდეგ" სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, ვინაიდან მათ საქმეებზე არც პირველი და არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ გამოქვეყნდა საჯაროდ, ამავე დროს

[1] ნადარეიშვილი. გ. საჯაროობა თუ საქვეყნოობა?// საბჭოთა სამართალი, 1988 წ. N3. გვ. 67-68.

[2] საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ", №2257, სსმ I, №41, 08.12.2009 წ., მუხ. 300 (2014 წლის აპრილის მდგომარეობით).

[3] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. სსმ, – 16/11/1999.

[4] ევროპული სასამართლოს 1984 წლის 28 ივნისის დაგაწყვეტილება საქმეზე Campbell and Fell, Series A: Judgments and Dicision, Volume 80, P. 42-43.

[5] ახსენი გერმანიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 1983, 8 დეკემბერი, პრ. 25.

გადაწყვეტილების სრული ტექსტი არ იყო ხელმისაწვდომი ყველასათვის და ამ უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ ამ საქმეში მონაწილე დაინტერესებული პირები[1].

გადაწყვეტილების საჯაროდ გამოუცხადებლობის გამო დადგინდა დარღვევა საქმეში „მოსერი ავსტრიის წინააღმდეგ". სასამართლომ აღნიშნა, რომ მშობელსა და საჯარო დაწესებულებას შორის მიმდინარე დავაზე, ბავშვის საცხოვრებლის განსაზღვრასთან დაკავშირებით, იურიდიული ინტერესის მქონე პირთათვის საქმის მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სააპელაციო ან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნება არ არის საკმარისი საჯაროობასთან დაკავშირებით კონვენციის 6.1 მუხლის დასაკმაყოფილებლად[2].

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პრაქტრიკით, როდესაც საჯაროდ ცხადდება გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი, უნდა შეფასდეს, იყო თუ არა საზოგადოებისთვის სხვა საშუალებით ხელმისაწვდომი დასაბუთებული გადაწყვეტილება. თუ გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი იყო, გამოკვლეულ უნდა იქნეს საჯაროობის ფორმა, რათა გადაწყვეტილება დაექვემდებაროს საზოგადოებრივ კონტროლს[3] .

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს სასამართლო სხდომათა საქვეყნოობის მაღალ სტანდარტს. საქართველოს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი (მუხლი 13) ითვალისწინებს საქვეყნოობის ძირითადი უფლების მოთხოვნას და ადგენს, "სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში[4]. ხოლო გადაწყვეტილება ყველა საქმეზე ცხადდება საქვეყნოდ. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის მდგომარეობა საქართველოში ძალზე დაბალია, 2016 წელს „პერსონალულ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, როგორც ღია, ისე დახურულ სხდომაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით, ხელმისაწვდომი აღარ იყო. 2016 წლის 12 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, „პერსონალულ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის შესახებ, რომელმაც დააწესა ძალზე შემზღუდველი რეგულაციები.

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა **ჩაატარა კვლევა[5], რომელიც მოკლედ მიმოიხილავს სასამართლო გადაწვეტილებათა ხელმისაწვდომობის მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოს ისეთ სახელმწიფოებში, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, შოტლანდია, ირლანდია, კანადა, შვედეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ბოსნია და ჰერცოგოვინა, სომხეთი, ახალი ზელანდია, სლოვენია, ხორვატია, გერმანია და ავსტრალია.** ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა ქვეყნის/სისტემის გამოცდილებისა და რეგულაციების

[1] Werner v. Austria, 24 ნოემბერი 1997, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება პრ. 56-60

[2] Moser v. Austria, N 12643/02, § 97, 21 სექტემბერი 2006, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება პრ. 102-03

[3] Ryakib Biryukov v. Russia, N 14810/02, ECHR 2008, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, პრ. 38-46

[4] საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ", №2257, სსმ I, №41, 08.12.2009 წ., მუხ. 300 (2014 წლის აპრილის მდგომარეობით).

[5] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვ-დომობა საერთაშორისო პრაქტიკის სიტუაციური ანალიზი, 2017 წ.

შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის საკითხზე არსებობს სამი ძირითადი მიდგომა:

1. **სრული ხელმისაწვდომობა** – ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია სრულად მხარეთა სახელებისა და გვარების მითითებით. დადგენილია კონკრეტული გამონაკლისები, როდესაც შესაძლებელია, შეიზღუდოს წვდომა. დაინტერესებულ პირებს აქვთ უფლება, მიიღონ საქმის მასალები.

2. **შეზღუდული ხელმისაწვდომობა** – სასამართლო გადაწყვეტილებები არ არის ხელმისაწვდომი სრული სახით, იფარება კონკრეტულ პირთა მაიდენტიფიცირებელი ყველა მონაცემი. გადაწყვეტილებათა გაცემა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა თანხმობით. აღნიშნულ კატეგორიაში შედიან ასევე სისტემები, სადაც ხელმისაწვდომია მხოლოდ უმაღლესი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებები. აღნიშნული გადაწყვეტილებები შესაძლებელია, ხელმისაწვდომი იყოს როგორც სრული,ისე დაშტრიხული სახით.

3. **შუალედური მიდგომა** – სასამართლო გადაწყვეტილებათა ასლების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქმის განმხილველი მოსამართლე ან/და საერთო სასამართლოთა სისტემაში შემავალ სასამართლოებს აქვთ უფლება, საკუთარი შინაგანაწესით დაადგინონ რეგულაციები სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის საკითხზე. შესაბამისად, მოსამართლეს/სასამართლოს მინიჭებული აქვს დისკრეცია, განსაზღვროს სასამართლო გადაწყვეტილებათა გაცემის საკითხი.

2016 წლიდა 2019 წლამდე სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული მძიმე მდგომარეობა შედარებით გამოასწორდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „ა(ა)იპ მედიის განვიტარების ფონდი“ და „ა(ა)იპ ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებით[1]. კონსტიტუციური სარჩელებით სადავო იყო სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის კონკრეტული სახის – საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტებისა (საბოლოო გადაწყვეტილებებისა და შუალედური აქტების) და მათში არსებული პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურობა. ამავდროულად, მოსარჩელეები მიუთითებენ, რომ ისინი სადავოდ ხდიან გასაჩივრებული ნორმების იმ ნორმატიულ შინაარსს, რომელიც ზღუდავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვის კონსტიტუციურობა შეაფასა მხოლოდ საერთო სასამართლოების მიერ ღია სხდომის ფარგლებში მიღებულ სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის კონტექსტში.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის უფლების ჯეროვანი უზრუნველყოფა, ასევე, უკავშირდება მართლმსაჯულების სისტემის ანგარიშვალდებულებას, საზოგადოებრივ ზედამხედველობასა და სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოს აქტების სრული ტექსტი, მათ შორის, მათში არსებული პერსონალური მონაცემებიც. პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისა და საზოგადოების შესაძლებლობას, რომ სათანადოდ განახორციელონ საზოგადოებრივი კონტროლი მართლმსაჯულებაზე. ცალკეულ შემთხვევაში პერსონალური მონაცემების გარეშე შეუძლებელია, სრულყოფილად შეფასდეს, რამდენად ობიექტურად და მიუკერძოებლად მიიღო სასამართლომ

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეში „ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი“ და „ა(ა)იპ ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2019 წლის 07 ივნისი, N1/4/693,857.

ესა თუ ის გადაწყვეტილება. სწორედ პერსონალური მონაცემების, საქმეში მონაწილე პირების ვინაობის დადგენის შედეგად აქვს საზოგადოებას შესაძლებლობა, რომ ჩამოიყალიბოს რწმენა მართლმსაჯულების მიუკერძოებლობისა და შერჩევითი მართლმსაჯულების არარსებობის შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნამდვილად მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციასთან ნორმის შესაბამისობის განმარტების თვალსაზრისით, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეეხება საჯარო სხდომაზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით, „სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომებზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე“[1]. ხოლო ამავე კოდექსის 351-ე მუხლის პირველი პუნქტით, „თუ სასამართლო ცნობს, რომ შვილად აყვანა შეესაბამება შვილად ასაყვანის ინტერესებს და ემსახურება მის კეთილდღეობას, გამოიტანს გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ, რომელიც განმცხადებლის თხოვნით საჯაროდ არ გამოცხადდება“[2]. აღნიშნულ ნორმაში მნიშვნელოვანია შინაარსი, რომელიც 1999 წელს განხორციელებული ცვლილებით გაჩნდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კერძოდ, 351-ე მუხლით, დასაშვებია მხარის შუამდგომლობით შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება საჯაროდ არგამოცხადება, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლს, ასევე საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონონის მე-13 მუხლსა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით აღიარებულ სასამართლო განხილვის სამართლიანობის უფლებას. ყოველივეს გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351-ე მუხლის პირველი პუნქტის ჩანაწერი, „რომელიც განმცხადებლის თხოვნით საჯაროდ არ გამოცხადდება“, წარმოადგენს არაკონსტიტუციურ ნორმას, თუმცა 1999 წლიდან დღემდე აღნიშნული ნორმა შენარჩუნებულია კოდექსში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „საერთო სასამართლოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან და, შესაბამისად, მის აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას“[3]. ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა, სხვა მნიშვნელოვან ინტერესებთან ერთად, უზრუნველყოფს პირის შესაძლებლობას, იცოდეს კანონმდებლობის შინაარსი, როგორ გამოიყენება იგი პრაქტიკაში და რას მოითხოვს თითოეული ნორმატიული რეგულაცია მისი ადრესატებისაგან.

კანონის ხარისხობრივი მოთხოვნა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან მომდინარეობს და უზრუნველყოფს, რომ კონკრეტული ნორმატიული წესის ადრესატისთვის იყოს ცხადი და გასაგები, თუ რას მოითხოვს მისგან კანონი. „კანონის განსაზღვრულობის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასამართლო ხელისუფლება, ვინაიდან

[1] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.

[2] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 15 (22), 14/05/1999 ცვლილებით.

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16

სწორედ ამ უკანასკნელის ფუნქციაა ნორმათა განმარტება და შეფარდება ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობებისთვის, ასევე კანონის გამოყენების სწორი და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რამაც, საბოლოო ჯამში, კანონის ბუნდოვანების თავიდან აცილება უნდა უზრუნველყოს“[1]. სასამართლოს გადაწყვეტილებების გაცნობისა და გააზრების გარეშე შეუძლებელია, მოქალაქეებმა მიიღონ სათანადო ინფორმაცია სასამართლო პრაქტიკისა და, შესაბამისად, კანონმდებლობის განმარტებასა თუ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ამდენად, დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში ,სასამართლოს აქტების როლისა და მისი შინაარსის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ სასამართლოს აქტები განეკუთვნება იმ ტიპის ინფორმაციას, რომლის ხელმისაწვდომობის მიმართაც თავისთავად არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივ საკითხს შეეხება, ვის მიმართ არის მიღებული და რა დატვირთვა აქვს კონკრეტულ დროში თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე თითოეულ ინდივიდუალურ საქმეზე მიღებულ სასამართლო აქტს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საჯარო სხდომაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის აუცილებლობის დადგენისას განმარტა, რომ საქართველოს პარლამენტმა ცალკეული კატეგორიის ინფორმაციასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაადგინოს იმგვარი ბალანსი, რომლის ფარგლებშიც არ გაიცემა სასამართლო აქტებში მოცემული პერსონალური მონაცემები უშუალოდ სუბიექტის ნების გარეშე. ეს რეჟიმი შეიძლება, დადგინდეს ინფორმაციის გავრცელების ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება ინფორმაციის შინაარსის, სუბიექტის, გასაჯაროების ფორმის, ვადის, მეთოდისა თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით ინტენსიურ გავლენას ახდენს პირად ცხოვრებაზე. მაგალითად, ასეთ კატეგორიაში შეიძლება, მოექცეს მონაცემები არასრულწლოვანი პირების შესახებ, ინფორმაცია ინტიმურ სფეროებთან დაკავშირებით და ა.შ. ასეთ შემთხვევებში ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მომეტებულმა ინტერესმაბა შესაძლოა, გადაწონოს საზოგადოების ინტერესი, რომ სასამართლოს აქტების გაცნობის გზით განახორციელოს მართლმსაჯულებაზე ზედამხედველობა. ამავდროულად, აუცილებელია, ასეთი კატეგორიის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა მხედველობაში მიიღონ, ხომ არ არსებობს კონკრეტულ საქმეზე მომეტებული/გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც, თავის მხრივ, საქმის კატეგორიის, სამართალწარმოების მონაწილეებისა თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით, გადაწონის მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის ინტერესს.

რეზიუმე

პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიული პრინციპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს, ვინაიდან სამართლიანი სასამართლოს უფლება ის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რომელიც აწესრიგებს ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის არსებულ სადავო ურთიერთობებს, უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების ეფექტურ რეალიზებას და იცავს უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისაგან. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი ელემენტი სწორედ საქვეყნოობის პრინციპია და სწორედ ეს განაპირობებს საზოგადოების ნდობის ხარისხს. სამართლიანი სასამართლოს იდეის

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31

განხორციელებისათვის რომელიმე ელემენტის არარსებობა მთლიანად სამართლიანი სასამართლოს არარსებობის ტოლფასია. კვლევის შედეგად გამოვლენილია, რომ ქვეყანაში უზრუნველყოფილი სასამართლო გადაწყვეტილებების საქვეყნოობა, კონსტიტუციურ – სამართლებრივი თვალსაზრისით, ბოლომდე დაცული არ არის.

საქვეყნოობისა და საჯაროობის ტერმინების სხვადასხვა თუ ერთსა და იმავე ნორმატიულ აქტში ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოყენების ფონზე მიზანშეწონილი არ არის, შესაბამისად, უმჯობესია ერთი და იმავე მნიშვნელობის ტერმინის ერთი მნიშვნელობით გვხვდებოდეს საქართველოში მოქმედ ყველა ნორმატიულ აქტში.

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების ყველასათვის ხელმისაწვდომობას, უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება მეტად დელიკატური და მხარისათვის შვილად აყვანის ფაქტის გახმაურებისაგან დაცვის მიზნით უდიდესი მნიშვნელობებისაა, იმ ფონზე, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია არ უშვებს გამონაკლისს, ანუ ნორმისაგან გადახვევის შესაძლებლობას, არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ უნდა უშვებდეს გამონაკლისს, ვფიქრობ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351-ე მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა აუცილებელია, აქვე შესაძლოა, ნორმამ, საქვეყნოდ გამოცხადებაზე უარის თქმის ნაცვლად, გაითვალისწინოს პირის იდენტიფიკაციის გამომრიცხველი ფორმით სასამართლო გადაწყვეტილების აუცილებლად საქვეყნოდ გამოცხადება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს არამხოლოდ მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტურ დაცვას, არამედ უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლო სისტემის დახვეწასა და სამომავლოდ განვითარებას, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

დღეს არსებული პრაქტიკით შვილად აყვანასთან დაკავშირებული ყველა სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო კოდექსში არსებული ჩანაწერის გამოყენებეით, ყოველგვარი ახსნა განმარტების გარეშე, ხელმისაწვდომი არ არის, შესაბამისად არ არსებობს ამ ტოპის გადაწყვეტილებებზე საზოგადოების კონტროლის მექანიზმი. **სასურველია, არსებობდეს სასამართლო გადაწყვტილებების ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტი, როდესაც მისი შეზღუდვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ კონკრეტულ შემთხვევებში შესაბამისი დასაბუთებით.** სასამართლო გადაწვეტილება უნდა იყო ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული წესიდან შესაძლებელია, დაიშვას მხოლოდ კანონით დადგენილი გამონაკლისები. სასამართლო გადაწყვეტილებებში არსებული პერსონალური მონაცემების, კომერციული საიდუმლოებისა თუ კონფიდენციალური ინფორმაციის დაფარვა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მხარეთა მოტივირებული შუამდგომლობით ან მოსამართლის ინიციატივით და არა ყველა შემთხვევაში, თუ ეს შეეხება შვილად აყვანის საკითხებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Locke, John, “Second Treatise of Government”, in Two Treatises of Government. Cambridge: Cambridge University Press, 1980.
2. Ваглай М.В., Конституционное право Росийской Федерацим, М., 1999
3. რამიშვილი, ნუცა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXII, გამომცემლობა, თბ., 2005

4. მელქაძე, ოთარი, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXV, გამომცემელი "ინოვაცია", თბ., 2008
5. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი. სსმ, დოკუმენტის ნომერი 2071-IIს, მიღების თარიღი 23/03/2018.
6. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო.
7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი №1251, პარლამენტის უწყებანი, №13-14, 08.04.1998
8. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009
9. ნადარეიშვილი. გ. საჯაროობა თუ საქვეყნოობა?// საბჭოთა სამართალი, 1988 წ. N3. გვ. 67-68.
10. საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ", №2257, სსმ I, №41, 08.12.2009 (2014 წლის აპრილის მდგომარეობით).
11. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. სსმ, – 16/11/1999.
12. ევროპული სასამართლოს 1984 წლის 28 ივნისის დაგაწყვეტილება საქმეზე Campbell and Fell, Series A: Judgments and Dicision, Volume 80.
13. ახსენი გერმანიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 1983, 8 დეკემბერი.
14. Werner v. Austria, 24 ნოემბერი 1997, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.
15. Moser v. Austria, N 12643/02, § 97, 21 სექტემბერი 2006, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.
16. Ryakib Biryukov v. Russia, N 14810/02, ECHR 2008, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.
17. საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ", №2257, სსმ I, №41, 08.12.2009 წ., (2014 წლის აპრილის მდგომარეობით).
18. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საერთაშორისო პრაქტიკის სიტუაციური ანალიზი, 2017 წ.
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეში „ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი" და „ა(ა)იპ ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2019 წლის 07 ივნისი, N1/4/693,857.
20. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.
21. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 15 (22), 14/05/1999 ცვლილებით.
22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16
23. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-31.

Bibliography

1. Locke, John, "Second Treatise of Government", in Two Treatises of Government. Cambridge: Cambridge University Press, 1980.

2. Ваглай М.В., Конституционное право Росийской Федерации, М., 1999
3. Ramishvili Nutsa, Independence issues of Judiciary power in constitutionalism, series of literature, book XXII, publishing house Tb, 2005
4. Melkadze Otari, Constitutional law of Georgia, political-legal literature series, book XXV publishing house: Tb, 2008
5. Constitution of Georgia, Constitutional law of Georgia, document number 2071-II, receiving date: 23/03/2018
6. Constitution of Georgia, 24th August, 1995
7. Criminal procedure Code of Georgia N 1251, Parliamentary gazette
8. New Criminal procedure Code of Georgia, order N 1772 of 9th October, 2009.
9. G. Nadareishvili, publicity or universality? Soviet law, 1988, N 3, page 67-68
10. Organic law of Georgia On General Courts N 2257, N 41, 08.12.2009 (for the state of April 2014)
11. European Convention on human rights and fundamental freedoms. 16.11.1999
12. Decision on 28th June 1984 of the court of Europe Campbell and Fell, Series A: Judgments and Dicision, Volume 80.
13. In the case of Gafgen v Germany, Decision of European Court of Human Rights, 8th December, 1983
14. Werner v. Austria, 24th November, 1997, Decision of European Court of Human Rights
15. Moser v. Austria, N 12643|02 & 97, 21 September, 2006. Decision of European Court of Human Rights
16. *Ryakib Biryukov v. Russia, N 14810/02, ECHR 2008,* Decision of European Court of Human Rights
17. Organic law of Georgia On General Courts N 2257, N 41, 08.12.2009 (for the state of April 2014)
18. Institute for Development of Freedom of Information, Access to Court Decisions Situational Analysis of International Practice, 2017.
19. The decision of Constitutional Court of Georgia in the case, non-commercial non-entrepreneur Media Development Fund, non-commercial non-entrepreneur Information development Institute against Parliament of Georgia, 7th June, 2019, N 1|4
20. Civil Procedure Code of Georgia, Parliamentary gazette, 47-48, 31/12/1997
21. Civil Procedure Code of Georgia. Parliament of Georgia, 15 (22), 14/05/1999 amendments.
22. Decision №1/2/552 on the Case of Constitutional Court of Georgia 4th March ,2015, Liberty Bank against Parliament of Georgia II-16
23. Constitutional Court of Georgia decision on case N №2/1/598, dated on 21 July, 2017, Citizen of Georgia Nugzar Kandelaki against Parliament of Georgia, II-31

მართლზომიერი რისკი, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

ნუგზარ თევდორაძე
სამართლის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5
+995551321719
nugzar.tevdoradze@gttu.edu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მართლზომიერი რისკი, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლეების ერთ-ერთი საფუძველი საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. ყურადღებაა გამახვილებული იმ გარემოებებზე, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს რისკის გამწევმა, რომ გამოირიცხოს მისი პასუხისმგებლობის საფუძველი.

საკვანძო სიტყვები: მართლზომიერი რისკი, გამომრიცხველი გარემოება, საზღვარგარეთ ქვეყნები, კანონმდებლობა

LAWFUL RISK AS A LIABILITY EXCLUSION CIRCUMSTANCE ACCORDING TO THE LEGISLATION OF FOREIGN COUNTRIES

NUGZAR TEVDORADZE
Doctor of Law
Associate Professor
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Tbilisi, Samghereti st. №5
+995551321719
nugzar.tevdoradze@gttu.edu.ge

Resume

The article discusses the lawful risk as one of the grounds for exemption from criminal liability under the criminal laws of overseas countries. The focus is made on the circumstances that should be taken into account by the risk-taker to exclude the basis of his/her liability.

Keywords: reasonable risk, exclusionary circumstance, countries abroad, legislation

შესავალი

მართლზომიერი რისკი წარმოადგენს საზოგადოებრივად სასარგებლო ქმედების ჩადენას, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას და გამორიცხავს პასუხისმგებლობას ჩადენილი ქმედებისათვის.

რისკი მართლზომიერია მაშინ, როცა სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის „საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში მოხდა“.[1]

დასაბუთებული რისკის იდეა მდგომარეობს „მისი მეშვეობით აუცილებელი ექსპერიმენტის დაცვაში, აგრეთვე რთული შრომითი და შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტაში მრეწველობაში, მეცნიერებაში, მედიცინასა და სხვა ინტენსიურად განვითარებად და საზოგადოებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სფეროში. ამასთან ერთად, კანონმა უნდა დაიცვას საზოგადოება პატივმოყვარე, ქარაფშუტა ადამიანების მოქმედებებისაგან, რომლებსაც მოაქვთ საზოგადოებისათვის ზიანი პირადი წარმატებებისათვის ბძოლაში“.[2]

რადგან დასაბუთებული რისკი ითვლება სოციალურად გამართლებულ მოვლენად ნებისმიერ საზოგადოებაში, ის ასე თუ ისე უნდა დასახელდეს გარემოებად, რომელიც გამორიცხავს ქმედების დანაშაულებრიობას ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხვდეს. მაგრამ, რადგან ადამიანის მოღვაწეობა (საქმიანობა) ძალიან მრავალწახნაგოვანია, დასაბუთებული რისკს შეიძლება, ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში, ქვეყნების უმეტესობაში განსახილველი ცნება არასდროს ყოფილა გაწერილი ერთიან სისხლის სამართლის სუბინსტიტუტში.[3]

შესაბამისად, სისხლისსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების გამორიცხვა დასაბუთებული რისკის პირობებში აღნიშნულ ქვეყნებში უზრუნველყოფილია სხვა სისხლისსამართლებრივი სუბინსტანციის საშუალებით, როგორიცაა, კანონიერი საქმიანობის განხორციელება, დაზარალებულის თანხმობა ზიანის მიყენებაზე, უკიდურესი აუცილებლობა, საექიმო რისკი, დაუსჯადი შემთხვევა და ა.შ. ამასთან, არც ერთი ამ სუბინსტიტუტიდან დამოუკიდებლად ვერ „ფარავს“ დასაბუთებული რისკის პრობლემას.[4]

კერძოდ, არგენტინის, კოლუმბიის, კუბის, შვეიცარიის სს კოდექსებში მართლზომიერი რისკის პირობებში უმეტესი მოქმედებების მართლწინააღმდეგობის გამორიცხვა იურიდიულად ყალიბდება ცნებით „პროფესიული“ მოვალეობის შესრულება.

ესპანეთის სსკ-ის მიხედვით (მუხლი 21), სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება „იმას, ვინც მოქმედებდა თავისი მოვალეობის შესრულებისას, ან კანონიერად განახორციელებდა თავის უფლებას, პროფესიულ თუ თანამდებობრივ ვალდებულებებს“.[5]

მართლაც, ნებისმიერი პროფესიული საქმიანობა, რაშიც უნდა მდგომარეობდეს ის, აუცილებლად შეიცვს რისკის ელემენტს, ამასთან, ზოგიერთი პროფესიისათვის (ქირურგი, სპორტის ზოგიერთი სახეობა) ეს ელემენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მაშასადამე, დასაბუთებული რისკის მართლზომიერება გამომდინარეობს თვით პროფესიული საქმიანობის მართლზომიერებიდან. მაგრამ დასაბუთებული რისკი ყოველთის არ არის პირის პროფესიული ვალდებულებების სფეროში. მას შეიძლება ჰქონდეს ადგლი სპორტის მოყვარულთა სეფეროში,

[1] გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 236
[2] Наумова А.В., Под. ред. Комментарий к Уголовному кодексу РФ – М.:Юристь. 1996. – С.134
[3] Додонов В.Н. Сравнительное Уголовное право. Издательство «Юрлитинформ» М. 2009. С. 241
[4] Додонов В.Н. Сравнительное Уголовное право. Издательство «Юрлитинформ» М. 2009. С. 241
[5] https://www.legislationline.org/download/id/6443/file/Spain_CC_am2013_en.pdf

დასვენების ზოგიერთ სახეობაში და ა.შ. ამიტომ პროფესიული ვალდებულებების შესრულების ინტიტუტი მთლიანად არ შთანთქავს დასაბუთებული რისკის სუბინსტიტუტს.[1]

მრავალ სახელმწიფოში, სადაც მართლზომიერი რისკი არ მიეკუთვნება დანაშაულის გამომრიცხველ გარემოებებს, ზიანის მიყენების არაწინასწარი განზრახვის შემთხვევაში, სოციალურად სასარგებლო მოქმედებების საშუალებით, არც თუ იშვიათად გამოიყენება უკიდურესი აუცილებლობის ინსტიტუტი. მაგრამ ასეთი მიდგომაც არ იძლევა წარმოდგენილი პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას.

რისკი გამართლებულია იმ შემთხვევაში, როცა მოქმედი საფრთხეში აგდებს რაიმე სიკეთეს მისი გადარჩენის მიზნით. სწორეთ ამით განსხვავდება მართლზომიერი რისკი მართლზომიერი უკიდურესეი აუცილებლობისაგან.[2]

უკიდურესი აუცილებლობისაგან გამართლებული რისკი იმითაც განსხვავდება, რომ გამართლებური რისკი მიმართულია არა იმის სასარგებლოდ, ვინც რისკს ეწევა, არამედ სხვა ადამიანის ან საზოგადოების სასარგებლოდ.[3]

ისრაელის, კანადის, ნიგერიის, ახალი ზელანდიის, აშშ-ის შტატების, ფიჯისა და ინგლისური ზოგადი სამართლის მრავალ სხვა ქვეყნის სს კოდექსებში გათვალისწინებულია მართლზომიერი რისკის მხოლოდ კერძო შემთხვევები, კერძოდ, საექიმო და იშვიათად სპორტული რისკი. ანალოგიურად მოიქცა სისხლის სამართლის კანონმდებელი კოტ-დიუარში, პორტუგალიაში, სან-მარინოში, ეკვადორში. მაგალითად, სან-მარინოს სსკ-ის 44-ე მუხლის თანახმად, „არ ექვემდებარება სასჯელს პირი, რომელიც სპორტული შეჯიბრებების ჩატარებისას ხელს უწყობდა ისეთი შედეგის წარმოშობას, რომლებიც დაკავშირებული იყო მეტოქისათვის ზიანის მიყენებასთან, ან მესამე პირისათვის ზიანის მიყენებასთან, თუკი შეჯიბრებები ტარდება თამაშების წესების შესაბამისდ და დაცულია ხელისუფლების მიერ დაწესებული წესები“.[4]

პოლონეთის სსკ-ის 27-ე მუხლში, არსებითად, საუბარია მართლზომიერ რისკზე მეცნიერული ექსპერიმენტის (სამედიცინო, ტექნიკური ან ეკონომიკური) ჩატარების დროს.[5]

ინდოეთის სსკ-ში[6] და თითქმის მის იდენტურ ბანგლადეშის, ბრუნეის, პაკისტანის, სინგაპურის სს კოდექსებში კაზუისტურ ფორმებშია გათვალისწინებული მოქმედების სხვადასხვა ფორმა მართლზომიერი რისკის პირობებში, თუმცა თვით ტერმინი „მართლზომიერი რისკი“ არ გამოიყენება. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში ზემოთ ხსენებულ ქვეყნებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვა უფრო დაზარალებულის თანხმობიდან გამომდინარეობს, ვიდრე -- მართლზომიერი რისკიდან.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მართლზომიერი რისკი, როგორც დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც გამორიცხავს ქმედების დანაშაულობრიობას, პირდაპირაა გათვალისწინებული უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, რუსეთის და ა.შ. სს კოდექსებში.

აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში შესაბამისი ნორმა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში პირველად გაჩნდა 1990-იან წლებში, ან უფრო მოგვიანებით. ამასთან, სსრკ-ში სისხლისსამართლებრივი დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა საწარმოო რისკს აღიარებდა დამოუკიდებელ ОИПД-ედ (დანაშაულებრივი ქმედების გამომრიცხველი გარემოებები) უკვე 1930-1950-იან წლებში. იმ დროს სისხლის სამართლის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში

[1] Додонов В.Н. Сравнительное Уголовное право. Издательство «Юрлитинформ» М. 2009. С. 241
[2] გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 237
[3] გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 237-238
[4] Уголовный Кодекс сан-Марино.- СПБ.: Юридический центр Пресс.-2002
[5] https://supertrans2014.files.wordpress.com/2014/06/the-criminal-code.pdf
[6] https://suntrans.netlify.app/ugolovnij-kodeks-indii-na-2014

მითითებული იყო: „გამართლებული საწარმოო არა მარტო გამორიცხავს ამ დროს მიყენებული ზარალით გამოწვეულ მატერიალურ პასუხისმგებლობას, არამედ ასევე გამორიცხავს იმ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ვინც ასეთი რისკი დაუშვა“.[1]

ყველა ქვეყანაში, სადაც კანონმდებელმა მართლზომიერი რისკი გაამყარა დამოუკიდებელი ინსტიტუტის სახით, მისი მართლზომიერების აუცილებელ პირობად ითვალისწინებს შესაბამისი მოქმედებების მიმართვას საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნების მისაღწევად.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების სს კოდექსების თანახმად, რისკი ითვლება დასაბუთებულად, თუ დასახული საზოგაოებრივად სასარგებლო მიზანი არ შეიძლება მიღწეულიყო მის გარეშე და პირმა, რომელმაც რისკი გასწია, გაატარა (ყველა შესაძლებელი, საკმარისი) საჭირო ღონისძიებები კანონით დაცული ინტერესებისათვის ზიანის მიყენების ასაცილებლად.

ამასთან, ლატვიის, რუსეთის, ტაჯიკეთის სსკ-ების თანახმად, რისკი არ ითვლება დასაბუთებულად, თუკი აშკარად იყო დაკავშირებული მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშ მუქარასთან, ეკოლოგიური კატასტროფის მუქარასთან. მცირე განსხვავებებით მოცემული ფორმულირება გამტკიცებულია, ასევე, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთისა და ა.შ. სისხლის სამართლის კოდექსებში.

ბელორუსიის სსკ-ის მიხედვით, რისკი არ ითვლება მართლზომიერად, თუ ის აშკარად იყო შერწყმული ეკოლოგიური კატასტროფის მუქარასთან, საზოგადოებრივ უბედურებასთან, სიკვდილის ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებასთან იმ პირისათვის, რომელმაც არ გამოხატა თანხმობა იმაზე, რომ მისი სიცოცხლე ან ჯანმრთელობა საფრთხეში იქნებოდა ჩაგდბული.[2]

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, მართლზომიერი რისკი გათვალისწინებულია სსკ-ის მერვე თავში „მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი“.[3] როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ – ერთი გარემოება, სსკ-ის 31-ე მუხლი.

ქართველი მეცნიერებიც ფაქტობრივად იმავენაირად განმარტავენ მართლზომიერი რისკის შინაარს, როგორც -- უცხოელი მეცნიერების უმრავლესობა.

მართლზომიერი რისკის პრობლემა ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში შეიძლება, წარმოიშვას, სადაც კი ეს შესაძლებელია. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს სამედიცინო, სამხედრო, ტექნიკის განვითარების, სამეწარმეო საქმიანობის სფერო და სხვ. ასევე, შესაძლებელია მართლზომიერი რისკის გაწევის სიტუაცია შექმნას ექსტრემალურმა სიტუაციებმა, რომელიც არამარტო ადამიანის მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ შეიძლება, გამოიწვიოს, არამედ -- სხვა მოვლენებმაც. მაგალითად, თუ ტერორისტები დანაღმავენ ხალხმრავალ ადგილს და განმნაღმელს არ რჩება დრო ფიქრისათვის, ორი სადენიდან რომელი გადაჭრას, მაშინ მის მიერ ნებისმიერი სადენიდან ერთ-ერთის გადაჭრა ყოველთვის მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს.[4]

საზოგადოებრივად სასარგებლო მიზანი ფართოდ განიმარტება. მასში მოიაზრება არამარტო საყოველთაო სამართლებრივი ინტერესები, არამედ – ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე. საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად შეიძლება, განვიხილოთ აღნიშნული გარემოების მართლზომიერების სუბიექტური პირობა.[5] ობიექტური თვალსაზრისით, რისკის გამწევი, უპირველეს ყოვლისა, რაიმე სიკეთის დაზიანების საფრთხეს ქმნის. ეს საფრთხე შეიძლება, განხორციელდეს, ე.ი. სიკეთე დაზიანდეს, და შეიძლება -- არა. სუბიექტური

[1] Советское Уголовное право.Часть Общая. Издательство Ленинградского ун-та, 1960.-С 371
[2] ბელორუსიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხლი 39
[3] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999
[4] ნაჭყებია გ. და სხვები, სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2007, გვ. 260
[5] ნაჭყებია გ. და სხვები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2016, გვ. 407

თვალსაზრისით, რისკის გამწევმა უნდა იცოდეს, წარმოდგენილი ჰქონდეს, რომ თავისი მოქმედებით რაიმეს დაზიანების საფრთხეს ქმნის.[1]

ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კუმულაციურად ითვალისწინებს გამართლებული რისკის მართლზომიერებისათვის საჭირო მეორე ობიექტურ პრინციპს, რომელიც ადგენს, რომ „რისკი გამართლებულია .... თუ პირმა მიიღო ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად“. ეს კი იმას გულისხმობს, რომ, თუკი არსებობდა საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მიღწევის ისეთი გზა, რომელიც საერთოდ გამორიცხავდა რისკის განხორციელებას, მაშინ რისკი გამართლბული ვერ იქნება.[2]

რისკი გამართლებულია, თუ ეს მიზანი არ შეიძლებოდა მიღწეულიყო რისკის გარეშე ქმედებით და თუ პირმა მიიღო ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად. კანონი პირდაპირ მიუთითებს ზოგიერთ პირობებზე, რომლის დაცვაც რისკით მოქმედებას მართლზომიერად აქცევს. რა თქმა უნდა, კანონი ამომწურავად ვერ ჩამოთვლის ყველა იმ პირობას, რომლის დაცვაც ქმედებას მართლზომიერად აქცევს. ამიტომ მართლზომიერების პირობები, რომელიც ახასიათებს მართლზომიერ რისკს, მოცემულია კანონმდებლობაში. მას აზუსტებს და ავსებს სისხლის სამართლის მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა.[3]

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008;
2. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, გამომც. „იურისტების სამყარო“ თბ., 2015;
3. ნაჭყებია გ.და სხვები, სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2007;
4. ნაჭყებია გ.და სხვები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), გამომც. „მერიდიანი“ თბ., 2016;
5. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (მესამე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა) თბ. 2021;
6. Наумова А.В., Под. ред., Комментарий к Уголовному кодексу РФ/ – М.:Юристь. 1996;
7. Додонов В.Н. Сравнительное Уголовное право. Издательство «Юрлитинформ» М. 2009;
8. Уголовный Кодекс сан-Марино.- СПБ.: Юридический центр Пресс-2002;
9. Советское Уголовное право. Часть Общая. Издательтво Ленинградского ун-та, 1960;
10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999;
11. ბელორუსიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, 1999;
12. https://www.legislationline.org/download/id/6443/file/Spain_CC_am2013_en.pdf
13. https://supertrans2014.files.wordpress.com/2014/06/the-criminal-code.pdf
14. https://suntrans.netlify.app/ugolovnij-kodeks-indii-na-2014

[1] გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი,გამომც. „იურისტების სამყარო“ თბ., 2015, გვ. 314

[2] ნაჭყებია გ. და სხვები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2016, გვ. 408

[3] ლომსაძე მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (მესამე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა) თბ. 2021, გვ. 187

უფლება, იყო დავიწყებული – პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ახალი სტანდარტი

ლიკა საჯაია
სამართლის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პროფესორი
ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5
+995595851662
lika.sajaia@gttu.edu.ge

რეზიუმე

ტექნოლოგიური პროგრესისა და ინტერნეტის ეპოქის პირობებში ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვა ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. დაცვის არსებული მექანიზმები გარკვეულ შემთხვევებში მოძველებულია და, თუკი პირი ვერ შეძლებს, აკონტროლოს მის შესახებ მონაცემების ინტერნეტში განთავსება, პირადი ცხოვრების დაცვა შეუძლებელი გახდება. სწორედ ამ ახალი გამოწვევების საპასუხოდ ევროკავშირმა აღიარა ახალი უფლება – პირის უფლება, იყოს დავიწყებული და მოითხოვოს მის შესახებ მოძველებული ინფორმაციისა და ინტერნეტ საძიებო სისტემიდან საკუთარ მონაცემებთან დამაკავშირებელი ბმულების წაშლა.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, დროულად შეასრულოს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებლება და კანონდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპულ რეგულაციასთან, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის უკეთესი სტანდარტის დამკვიდრებას საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: პირადი ცხოვრება, დავიწყების უფლება

RIGHT TO BE FORGOTTEN – A NEW STANDARD FOR PROTECTION OF THE RIGHT TO PRIVATE LIFE

LIKA SAJAIA
Doctor of Law
Associate Professor
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Professor at New Vision University
Tbilisi, Samghereti st. №5
+995595851662
lika.sajaia@gttu.edu.ge

Resume

In the age of the Internet and with today's technological progress, the protection of privacy has been facing new challenges. In some cases the existing protection mechanisms are outdated, so if a person doesn't try to control the data about them on the Internet, it will be impossible to protect their privacy. In the

response to these new challenges, the European Union has acknowledged a new right – the right to be forgotten and to request to delete the outdated information about them and the links to their data from the Internet search engines.

It is important to Georgia to timely fulfill its obligation under the association agreement and to bring the legislation in the line with the European regulation on personal data protection, which will help to establish a better standard of protection of privacy in Georgia.

Keywords: personal life, right to be forgotten

შესავალი

XXI საუკუნეში ინტერნეტის ერამ და ტექნოლოგიურმა განვითარებამ არაერთი უფლების წარმოშობა განაპირობა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „უფლება იყო დავიწყებული“ (Right to be forgotten) – პირის უფლება, მოითხოვოს ინტერნეტ საძიებო სისტემიდან საკუთარ მონაცემებთან დამაკავშირებელი ბმულების წაშლა.

უფლება, იყო დავიწყებული, რამდენიმე ასპექტითაა საინტერესო. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მას ახალ საფეხურზე აჰყავს პირადი ცხოვრების დაცვის სტანდარტი. უფლება, იყო დავიწყებული, სამართლის ერთგვარი მცდელობაა, დაიცვას ჩვენი პირადი სივრცე გლობალიზაციისგან და მოგვანიჭოს ბერკეტი, თავადვე ვაკონტროლოთ ჩვენ შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ინტერნეტში.

არსებობს მოსაზრება, რომ უფლება, იყო დავიწყებული, პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ყველაზე რადიკალური ფორმაა, რომელიც საბოლოოდ ნათელს ჰფენს კერძო და საჯარო პირების განსხვავების კონცეფციას.[1]

პირადი ცხოვრების უფლება საუკეთესოდაა განმარტებული ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, ლუის ბრანდეისის, მიერ, როგორც ყველა ცივილიზებული ადამიანისთვის ღირებული უფლება, დარჩეს მარტო.[2] ამ ლაკონურ განმარტებაში პირადი ცხოვრების უფლების ძირითადი კონცეფციაა ასახული. ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ეპოქაში „უფლება, დარჩე მარტო“, მხოლოდ ფიქციად რჩება, თუკი ვერ შეძლებ ინტერნეტ სივრცეში საკუთარი პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის კონტროლს. სწორედ ამიტომ, უფლება, იყო დავიწყებული, პირადი ცხოვრების უფლების აუცილებელ შემადგენელ კომპონენტად იქცა და აისახა როგორც საერთაშორისო აქტებში, ასევე არაერთი ქვეყნის კანონდებლობაში.

უფლება, იყო დავიწყებული, დაცულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაციით 2016/679 (GDPR), რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს დავიწყების უფლებას, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია და კონსოლიდაცია წარმოადგენს საქართველოს ევროპის კავშირთან ასოცირების შეთანხმებითა და ასოციაციის დღის წესრიგით ნაკისრ ვალდებულებას.

[1] Antoon De Baets, “A historian’s view on the right to be forgotten”, *International Review of Law, Computers & Technolog ,* 21 Febuary ,2016.

[2] Samuel D. Warren and Louis D. Brandeis, “The right to privacy”, Harvard Law Review, Vol. 4, No. 5 (Dec. 15, 1890), pp. 193-220

უფლების, იყო დავიწყებული, არსი, წარმოშობა და მისი ასახვა საერთაშორისო აქტებში

დავიწყების უფლების შესახებ საერთშორისო სასამართლომ მაშინ დაიწყო მსჯელობა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო მიღებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაცია.

2010 წელს ესპანეთის მოქალაქემ ერთ-ერთი გაზეთისა და "Google.es" და "Google.inc"-ის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მის შესახებ განთავსებული ინფორმაციის წაშლა მოითხოვა. საქმე ეხებოდა სახლს, რომელიც იპოთეკით იყო დატვირთული და აუქციონის წესით უნდა გაყიდულიყო 1998 წელს. მოსარჩელის განცხადებით, ეს ქონებრივი დავა დასრულებული იყო, ამიტომ მოძველებული ინფორმაციით ირღვეოდა მისი პირადი ცხოვრების უფლება.

მოსარჩელე ითხოვდა, გაზეთს წაეშალა ან იმგვარად შეეცვალა გვერდი, რომ მის შესახებ პერსონალური ინფორმაცია არ გამოჩენილიყო, ასევე, გუგლის ესპანურენოვან და საერთაშორისო გვერდებს წაეშალათ მასთან დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული ცნობები და ეს ინფორმაცია ძებნისას აღარ გამოჩენილიყო. ესპანეთის სასამართლომ აღნიშნული დავის გადასაწყვეტად ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) მიმართა. სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა საკითხი, თუ რამდენად ჰქონდა მოქალაქეს უფლება, მოეთხოვა საძიებო სისტემიდან პერსონალური ინფორმაციის წაშლა და შესაძლებელი იყო თუ არა, აღნიშნული რეგულაცია გავრცელებულიყო კომპანიის ესპანურენოვან ვებ-გვერდზე მაშინ, როცა ინფორმაცია, რომლის წაშლასაც მოქალაქე ითხოვდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში განთავსებულ სერვერზე იყო შენახული. Google აცხადებდა, რომ განმცხადებელს მოძველებული ინფორმაციის წაშლა უნდა მოეთხოვა ვებგვერდის ჰოსტისთვის, და არა --Google-ისთვის, რადგან საძიებო სისტემა მხოლოდ ორიგინალი გვერდის ბმულს აწვდიდა.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა შემდეგი[1] : Google, ვებ-გვერდების ინფორმაციის განთავსების პროცესში, ასევე, საძიებო შედეგების დასადებად შინაარსის ინდექსაციისას არის მონაცემთა დამმუშავებელი, და შესაბამისად, მასზე ვრცელდება ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა და მოვალეობები. სასამართლოს განმარტებით, ჩარევა ვერ გამართლდება მხოლოდ საძიებო სისტემის ოპერატორის ეკონომიკური ინტერესებით. სასამართლომ, ასევე, ყურადღება გაამახვილა, თუ რა შემთხვევაში შეიძლება, შეიზღუდოს უფლება მონაცემთა წაშლაზე. უფლება, იყო დავიწყბული, არ არის აბსოლუტური უფლება და საჭიროა სამართლიანი ბალანსის დაცვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების უფლების დაცვას შორის. პირველ რიგში, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, თუ რა სახის ინფორმაციაა განთავსებული და არსებობს თუ არა საჯარო ინტერესი ამ ინფორმაციის მიმართ. თუკი მონაცემთა სუბიექტი საჯარო პირია და ინფორმაცია, ასევე, ეხება საჯარო ინტერესის საგანს, ლეგიტიმური ინტერესი აშკარაა და შესაძლებელია უფლების შეზღუდვა.

დავიწყებაზე უფლების შესახებ ჩანაწერი პირველად 2012 წელს გაჩნდა ევროკომისიის მიერ შემუშავებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციის პროექტში. ევროკომისია ადგენდა, რომ ფიზიკურ პირებს უფლება ჰქონდათ, მოეთხოვათ საჯაროდ ხელმისაწვდომი პერსონალური მონაცემების წაშლა და მისი შემდგომი გამოყენების აკრძალვა, თუ აღარ არსებობდა მიზანი, რომლისთვისაც შეგროვდა მონაცემები. არსებულ ჩანაწერამდე პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში

[1] CJEU, C-131/12, Google Spain SL, Google Inc. v. Agencia Espanola de Proteccion deDatos (AEPD), Mario Costeja Gonzalez [GC], 2014 წლის 13 მაისი

შეეძლო, მოეთხოვა მასთან დაკავშირებული მონაცემების წაშლა, თუ მონაცემები არაზუსტი იყო, ან ისინი კანონის დარღვევით მოგროვდა/დამუშავდა.

რეგულაციის პროექტში, ასევე, განმარტებული იყო, რომ უფლების დაცვა თავსებადი უნდა ყოფილიყო გამოხატვის თავისუფლების დაცვასთან.[1] ახალი უფლების შესახებ ჩანაწერს ერთგვაროვანი რეაქცია არ მოჰყოლია იურისტთა შორის. იურისტთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ახალი უფლების შედეგად მნიშვნელოვნად გართულდებოდა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რაც გამოიწვევდა სამართალში, უახლეს ისტორიაში, ისევე როგორც პოლიტოლოგიასა და სოციოლოგიაში, თითქმის ყველა კვლევის კანონგარეშედ გამოცხადებას.[2] ამ მოსაზრების გასაბათილებლად, პროექტის წარდგენისას ევროკომიის ვიცეპრეზიდენტმა ვივიან რედინგმა აღნიშნა, რომ უფლება, იყო დავიწყებული, არ შეიძლება გავიგოთ, როგორც ისტორიის სრული წაშლის უფლება. იგი არის აბსოლუტური უფლება და გარკვეულ შემთხვევეში გამართლებულია მონაცემთა შენახვა. ამის საუკეთესო მაგალითად მან გაზეთის არქივები მოიყვანა.[3]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაციის მე-17 მუხლში მონაცემთა წაშლის არაერთი საფუძველია მოცემული. მათ შორის ის, როდესაც მონაცემები არ არის საჭირო იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც შეგროვდა ან დამუშავდა.[4] რეგულაცია, ასევე, ითვალისწინებს გამონაკ-ლისებს დავიწყების უფლებასთან დაკავშირებით, მათ შორის, როდესაც პერსონალური მონაცემების დამუშავება აუცილებელია შემდეგი მიზნებისთვის: გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებით სარგებლობა; საჯარო ინტერესი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში; საჯარო ინტერესებში შემავალი არქივირება, სამეცნიერო/ისტორიული კვლევა ან სტატისტიკის წარმოება და ა.შ.[5]

უფლება იყო დავიწყებული აისახა როგორც საერთო სამართლის ისე კონტინენტური სამართლის ევროპის ქვეყნებში. თუმცა, როგორც კვლევებმა აჩვენა, სხვადასხვა სამართლის ქვეყნებს შორის ბალანსისი დადგენისას შეინიშნება განსხვავება. მაგალითად საერთო სამართლი ქვეყნები (აშშ, დიდი ბრიტანეთი) უპირატესობას უფრო ხშირად გამოხატვის თავისუფლებას ანიჭებენ, მაშინ, როდესაც კონტინენტური სამართლის ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია) პირადი ცხოვრების უფლება გადაწონის ხოლმე. [6]

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილების[7] შემდეგ Google-ის ონლაინ ფორმატში 2014 წლიდან შეიქმნა განცხადებების მიღების პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები მათ შესახებ პირადი ინფორმაციის შემცველი ბმულების წაშლას ითხოვენ.[8] პერიოდული გამოცემა ,,გარდიანის“ ინფორმაციით, Google-მა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 845 501 მოთხოვნა მიიღო მონაცემების წაშლაზე და შედეგად მოთხოვნებში მითითებული 3.3. მილიონი ბმულიდან 45% წაიშალა.[9]

---

[1] Antoon De Baets, “A historian’s view on the right to be forgotten”, *International Review of Law, Computers & Technolog ,* 21 Febuary ,2016.

[2] Erdos, David. 2013. “Mustn’t Ask, Mustn’t Tell.” Free Speech Debate. http://freespeechdebate.com/en/discuss/mustnt-ask-mustnt-tell

[3] Antoon De Baets, “A historian’s view on the right to be forgotten”, *International Review of Law, Computers & Technolog ,* 21 Febuary ,2016.

[4] General Data Protection Regulation, იხ. https://gdpr-info.eu/

[5] ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, 2019. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, გვ.253

[6] Antoon De Baets, “A historian’s view on the right to be forgotten”, *International Review of Law, Computers & Technolog ,* 21 Febuary ,2016.

[7] CJEU, C-131/12, Google Spain SL, Google Inc. v. Agencia Espanola de Proteccion deDatos (AEPD), Mario Costeja Gonzalez [GC], 2014 წლის 13 მაისი

[8] პლატფორმა იხ. https://cutt.ly/jKG2ItI

[9] „Right to be forgotten' on Google only applies in EU, court rules“, The Guardian, https://www.theguardian.com/technology/2019/sep/24/victory-for-google-in-landmark-right-to-be-forgotten-case

აღსანიშნავია, რომ მონაცემები გუგლის მიერ არა ავტომატურად იშლება, არამედ მის წაშლაში მონაწილეობენ ადამიანები, რისი მიზანიცაა ყოველი საქმე ინდივიდუალურად გადაწყდეს და ამავე დროს უზრუნველყოფილი იყოს უფლების სათანადო დაცვა. აღსანიშნავია, რომ ამ პლატფორმით სარგებლობა მხოლოდ ევროკავშირის და იმ სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებს შეუძლიათ, სადაც უფლება, იყო დავიწყებული, საკანონდებლო დონეზეა დაცული. სამართლებრივი თვალსაზრისით, საინტერესოა შემდეგი საკითხები: რამდენადაა Google -ი უფლებამოსილი სუბიექტი, გადაწყვიტოს ისეთი მნიშვნელოვანი და იურიდიულად რთული საკითხი, როგორებიცაა: ორ მნიშვნელოვან უფლებას შორის სამართლიანი ბალანსის მოძებნა და უფლების გეოგრაფიული არეალით შემოსაზღვრა ხომ არ ხდის ახალ უფლებას ფიქტიურსა და გამოუყენებელს? თუკი უფლებას, იყო დავიწყებული, განვიხილავთ, როგორც პირადი ცხოვრების უფლების დაცვის აუცილებელ კომპონენტს, მაშინ იგი ადამიანის ძირითადი უფლების სტანდარტით უნდა იყოს დაცული. ინტერნეტისა და გლობალიზაციის ეპოქაში სხვადასხვა ქვეყანაში უფლების რადიკალურად განსხვავებული დაცვის გარანტიები არ უზრუნველყოფს უფლების სათადანო დაცვას და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად პრინციპებს.

უფლების აღიარება მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში არამხოლოდ უთანასწორო პირობებში აყენებს ადამიანებს მათი მოქალაქეობის მიხედვით, არამედ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეებისთვისაც კი რიგ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის უფლების ეფექტურ დაცვას. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ინფორმაცია, რომელიც დაბლოკილია ევროკავშირის ტერიტორიაზე, შესაძლებელია, ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისთვის, თუკი იგი შეცვლის ვირტუალურ პირად ქსელს (VPN).

უფლება, იყო დავიწყებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

დავიწყების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის დაცვაზე არაერთი საინტერესო მსჯელობაა განვითარებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ. უფლების რეალიზებამ ნათლად წარ-მოაჩინა, რომ საჯარო ინტერესი უფლების შეზღუდვის ყველაზე წონადი ლეგიტიმური საფუძვე-ლია. თუმცა ამავე დროს ხაზი გაუსვა, რომ საჯარო ინტერესის სწორი განმარტება უფლებათა შორის სამართლიანი ბალანსის უმთავრესი გარანტიაა. საჯარო ინტერესი არ უნდა განიმარტოს ძალიან ფართოდ და მან არ უნდა მოიცვას თუნდაც ფართო მასების უბრალო ცნობისმო-ყვარეობა, ისევე, როგორც საჯარო ინტერესი არ უნდა გაიგივდეს კონკრეტული ხელისუფლების ინტერესთან. ამავე დროს, საჯარო ინტერესის განმარტება არ უნდა იყოს იმდენად ვიწრო, რომ მან ხელი შეუშალოს, მიიღოს საზოგადოებამ ინფორმაცია საზოგადოებრივად აქტუალურსა და მნიშვნელოვან საკითხებზე.

მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მ/ლ და ვ.ვ გერმანიის წინააღმდეგ[1].

მ.ლ და ვ.ვ 1953 და 1954 წელს დაბადებული გერმანიის მოქალაქეები არიან, რომლებმაც 2010 წელს მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. განმცხადებლები 1993 წლის მაისში გერმანიის ეროვნულმა სასამართლომ გაასამართლა ცნობილი მსახიობის მკვლელობის გამო და მათ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. შემდგომში, 2007 და 2008 წელს,

[1] **M.L. and W.W. v. Germany,** ECHR 237 (2018) 28.06.2018
https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2018/Rule_of_law/Judgment%20-Germany_public_right_to_access_archived.pdf

ორივე პირი გათავისუფლდა ციხიდან პრობაციის წესით. გათავისუფლების შემდეგ მოსარჩელეებმა ჰამბურგის რეგიონულ სასამართლოს მიმართეს სარჩელით რადიოსადგურ Deutschlandradio-ს წინააღმდეგ და რადიოსადგურის ინტერნეტგვერდზე მათ შესახებ არსებულ მასალებში პერსონალური მონაცემების ანონიმურობის დაცვა მოითხოვეს. მოსარჩელეები უთითებდნენ, რომ დანაშაულის ჩადენიდან 15 წლის შემდეგ ინტერნეტგვერდებზე ჯერ კიდევ იძებნებოდა ინფორმაცია მათი სასამართლო პროცესის შესახებ და ისინი კვლავ ხდებოდნენ ახალი დაპირისპირებისა და სტიგმატიზაციას მსხვერპლი მაშინ, როდესაც საქმის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი განელებულიყო იყო.

მოპასუხე მხარე, გერმანია, აღნიშნავდა, რომ მედიის დავალდებულება, არქივში დაცულ პუბლიკაციებში პერსონალური მონაცემები ანონიმური გაეხადა, სახელმწიფოს მხრიდან გადაჭარბებული ჩარევა იქნებოდა მედიის თავისუფლებაში.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის არგუმენ-ტაცია. სამართლიანი ბალანსის დადგენისას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლე-ბათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებას შორის, სასამარ-თლომ გამოხატვის თავისუფლებას მიანიჭა უპირატესობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართა-ლია, განმცხადებლებს ჰქონდათ ინტერესი, აღარ ყოფილიყვნენ დაპირისპირების მსხვერპლი წარსულში ჩადენილი დანაშაულის გამო, თუმცა მაღალი იყო საზოგადოების ინტერესი, ინფორმირებული იყოს მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომობა ონლაინ არქივში შეტანილ პუბლიკაციებზე.

საქმეში Camera di Commercio di Lecce v. Manni1 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ იმსჯელა, ჰქონდა თუ არა ფიზიკურ პირს უფლება, მოეთხოვა საჯარო რეესტრში გამოქვეყნებული პერსონალური მონაცემების წაშლა კომპანიის გაუქმების შემდეგ. განმცხა-დებელმა ვ. მანიმ სავაჭრო პალატას რეესტრიდან თავისი პერსონალური მონაცემების წაშლა მოსთხოვა მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ პოტენციურ კლიენტებს ამ გზით შეეძლოთ ინფორმაციის მიღება, რომ ვ. მანი იყო ერთ-ერთი კომპანიის ადმინისტრატორი, რომელიც ათ წელზე მეტი ხნის წინათ გაკოტრებულად გამოცხადდა. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ ეს ინფორმაცია მის პოტენციურ კლიენტებს აფრთხობდა. საქმის გადაწყვეტისას სასამართლომ, პირველ რიგში, განიხილა საჯარო რეესტრის მიზანი და აღნიშნა, რომ ასეთი მონაცემების გამოქვეყნება კანონით იყო გათვალისწინებული და უზრუნველყოფდა კომპანიის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მესამე პირებისთვის. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ, გაითვალისწინა რა გამჟღავნების კანონიერი მიზანი, ასევე, იმ ვადის განსაზღვრის სირთულეები, რომლის გასვლის შემდგომაც შესაძლებელი იქნება რეესტრიდან პერსონალური მონაცემების წაშლა მესამე მხარის ინტერესების დაზარალების გარეშე, დაადგინა, რომ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის წესები ვ. მანის შემთხვევაში არ მოიცავდა პერსონალურ მონაცემთა წაშლის უფლებას.

სასამართლო პრაქტიკიდან მაგალითები ადასტურებს, რომ საჯარო ინტერესის შემთხვევაში ინფორმაციის მიღების უფლება გადაწონის პერონლურ მონაცემთა დაცვის უფლებას და უფლება, იყო დავიწყებული, უკან იხევს, როდესაც საქმე საზოგადოებრივი ინტერესის თემებს ეხება.

[1] CJEU, C-398/15, Camera di Commercio, Industria, Artigianato e Agricoltura di Lecce v. Salvatore Manni, 2017 წლის 9 მარტი

სავალდებულოა თუ არა საქართველოსთვის უფლების საკანონდებლო დონეზე დაცვა

საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ ისინი შეგროვდა და დამუშავდა კანონის საწინააღმდეგოდ.[1] შესაბამისად, ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სუბიექტის უფლებას, მოითხოვოს მონაცემთა წაშლა, თუკი მონაცემების დამუშავება აღარ არის საჭირო იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც მოხდა მათი დამუშავება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია საქართველოს მიერ ევროპის კავშირთან ასოცირების შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებაა. ასოცირების შეთანხმების I დანართის თანახმად, საქართველო ვალდებულია, უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის No 95/46/ECდირექტივასთან, ევროპის საბჭოს 108 კონვენციასთან და მის დამატებით ოქმთან, ასევე, ევროკავშირის 2008 წლის 27 ნოემბრის 2008/977/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებასთან და ევროპისსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 15 ნოემბრის No R (87)15 რეკომენდაციასთან.

2016 წლის 27 აპრილის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციით, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 25 მაისიდან (GDPR), გააუქმა „ასოცირების შესახებ“ შეთანხმებით გათვალისწინებული 95/46/EC დირექტივა და, შესაბამისად, საქართველოსთვის GDPR გახდა ის დოკუმენტი, რომელთან შესაბამისობაშიც უნდა მოვიყვანოთ კანონდებლობა.

საქართველოს პარლამენტში 2019 წლის 22 მაისს ინიცირებული იქნა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს კანონდებლობის დაახლოებას GDPR-ის პრონციპებთან. [2]კანონპროექტით, ასევე, გათვალისწინებულია უფლება, იყო დავიწყებული, კერძოდ, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება, თუ მონაცემების დამუშავება აღარ არის საჭირო იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც ისინი დამუშავდა. მონაცემთა სუბიექტს, ასევე, აქვს უფლება ნებისმიერ მონაცემთა დამმუშავებელს მოთხოვოს მის მონაცემებთან დამაკავშირებელი ყველა ბმულის წაშლა. სამწუხაროდ, კანონპროექტის განხილვა ამ ეტაპამდე შეჩერებულია პარლამენტში და საქართველოს კანონმდებლობა კვლავ არ შეესაბამება ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Antoon De Baets, “A historian’s view on the right to be forgotten”, *International Review of Law, Computers & Technolog* , 21 Febuary ,2016.
2. Samuel D. Warren and Louis D. Brandeis, “The right to privacy”, Harvard Law Review, Vol. 4, No. 5 (Dec. 15, 1890), pp. 193-220
3. CJEU, C-131/12, Google Spain SL, Google Inc. v. Agencia Espanola de Proteccion deDatos (AEPD), Mario Costeja Gonzalez [GC], 2014 წლის 13 მაისი

[1] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 22. იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=23

[2] კანონპროექტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. იხ. https://info.parliament.ge/#law-drafting/18184

4. Erdos, David. 2013. “Mustn’t Ask, Mustn’t Tell.” Free Speech Debate. http://freespeechdebate.com/en/discuss/mustnt-ask-mustnt-tell
5. General Data Protection Regulation, იხ. https://gdpr-info.eu/
6. ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, 2019. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, გვ.253
7. CJEU, C-131/12, Google Spain SL, Google Inc. v. Agencia Espanola de Proteccion deDatos (AEPD), Mario Costeja Gonzalez [GC], 2014 წლის 13 მაისი
8. პლატფორმა იხ. https://cutt.ly/jKG2Itl
9. „Right to be forgotten' on Google only applies in EU, court rules“, The Guardian, https://www.theguardian.com/technology/2019/sep/24/victory-for-google-in-landmark-right-to-be-forgotten-case
10. M.L. and W.W. v. Germany, ECHR 237 (2018) 28.06.2018 https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2018/Rule_of_law/Judgment%20-Germany_public_right_to_access_archived.pdf
11. CJEU, C-398/15, Camera di Commercio, Industria, Artigianato e Agricoltura di Lecce v. Salvatore Manni, 2017 წლის 9 მარტი
12. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 22. იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=23
13. კანონპროექტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. იხ. https://info.parliament.ge/#law-drafting/18184

სისხლის სამართლის პოლიტიკისათვის

ედიშერ ფუტკარაძე
სამართლის დოქტორი, პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი
ანა პოლიტკოვსკაიას #61, თბილისი 0186
+995 593 18 00 45
edisher.putkaradze@tsu.ge
edisher55@yahoo.com

რეზიუმე

სამართლის სხვა დარგებისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის ყველაზე რეპრესიულობაზე მსჯელობა ზედმეტია. მიუხედავად ამისა, დემოკრატიულ სახელმწიფოში ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებით სისხლის სამართალი შეიძლება, ემსახურებოდეს ადამიანის უფლების დაცვას. პირიქით ხდება ტოტალიტარულ სახელმწიფოში, სადაც ავტორიტარული, რეპრესიული სისხლის სამართლის პოლიტიკით სისხლის სამართალი შეიძლება, იყოს ადამიანის უფლების ხელყოფისა და დამორჩილების საშუალება. ამიტომ, იმისდა მიხედვით, თუ როგორია სისხლის სამართლის პოლიტიკა, ის ემსახურება ან ადამიანის უფლების დაცვას და არის მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტი, ან, პირიქით, მისი დამორჩილებისა და მასზე ზემოქმედების ეფექტური საშუალებაა. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პოლიტიკას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლების დაცვის თვალსაზრისითაც.

სისხლის სამართლის პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთი გარემოებები, როგორებიცაა: კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია (საკანონმდებლო, სასამართლო, მეცნიერული), სასჯელის საკანონმდებლო ჩამოყალიბება და მისი შეფარდების საკითხი, საერთაშორისო კონვენციების ეროვნულ სისხლის სამართალში გამოყენების საკითხი, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის გავლენა ეროვნულ სისხლის სამართალზე, მეცნიერების გავლენა, მოქალაქეების სამართლებრივი განვითარება, სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, მოქალაქეთა ზნეობრივი კულტურა და ა.შ.

უდავოა თითოეული მათგანისა და, ასევე, სხვა გარემოების როლი სისხლის სამართლის პოლიტიკაზე.შეიძლება ვთქვათ, რომ სახელმწიფოს აქვს ისეთი სისხლის სამართლის პოლიტიკა, როგორიცაა ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გავლენის მქონე ფაქტორები.სხვა კრიტერიუმებთან ერთად ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკა ნამდვილად წარმოადგენს სახელმწიფოს სამართლებრივი განვითარების მახასიათებელს.

საკვანძო სიტყვები: სისხლის სამართლის პოლიტიკა, კრიმინალიზაცია, დეკრიმინალიზაცია, ადამიანის უფლების დაცვა.

FOR CRIMINAL LAW POLICY

EDISHER PHUTKARADZE
Doctor of Law, Professor
Head of the Criminal Law Department
of Sokhumi State University
Faculty of Law and Diplomacy
61 Politkovskaya street, 0186, Tbilisi
+995 593 18 00 45;
edisher.putkaradze@tsu.ge
edisher55@yahoo.com

Resume

Legal development is important for ensuring the coexistence and legal relationship between the state and the citizen.

Every field of law has its function. But still the function of criminal law is special. The criminal policy ran by the state clearly shows what type it is – democratic or totalitarian.

Unlike other fields of law, it is superfluous to discuss the most repressive of criminal law. Nevertheless, by pursuing a liberal criminal policy in a democracy, criminal law can serve to protect human rights. The opposite happens in a totalitarian state, where authoritarian, repressive criminal policies can be a means of violation of human rights.

Therefore, depending on the nature of criminal policy, it serves either the protection of human rights and is its constitutional-legal guarantor or, conversely, an effective means of violation and influencing it.

Hence, criminal policy is of great practical importance in terms of human rights protection as well.

Criminal policy cannot be isolated from the general situation in the state. All the important factors in the state have impact on criminal policy.

Circumstances such as: criminalization and decriminalization; Qualification of an action as a crime (legislative, judicial, scientific); Legislative formulation of a sentence and the issue of its imposition; The issue of application of international conventions in national criminal law; The impact of criminal law of foreign states on national criminal law; The impact of science; The legal development of citizens; The economic situation in the state; The moral culture of citizens, etc. have important impact on criminal policy.

The role of each of them as well as other circumstances in criminal policy is undeniable.

It can be said that the state has exactly appropriate criminal policy as the impacting factors work on them. Among other criteria, criminal policy of the state is indeed a feature of its legal development.

Keywords: criminal justice policy, criminalization, decriminalization, protection of human rights

შესავალი

სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გავლენას ახდენს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით.

სისხლის სამართლის პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია (საკანონმდებლო, სასამართლო, მეცნიერული), სასჯელის საკანონმდებლო ჩამოყალიბება და სასჯელის შეფარდების საკითხი, საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებების ეროვნულ კანონმდებლობაში გამოყენებისა და პრაქტიკაში რეალიზაციის საკითხი, საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის

(კანონმდებლობისა და მეცნიერების) გავლენა, მეცნიერების გავლენა, მოქალაქის სამართლებრივი განვითარების გავლენა, ეკონომიკური ურთიერთობისა და მდგომარეობის გავლენა, ზნეობისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულება.

ამ ნაშრომში გამოკვლეული და მკითხველისთვის შეთავაზებული იქნება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთა გავლენა სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. შეიძლება თამამდ ვთქვათ, რომ თითოეული აქ დასახელებული ფაქტორის გავლენა და დამოკიდებულება სისხლის სამართლის პოლიტიკაზე ცალკე კვლევის ღირსია, მაგრამ ამ ეტაპზე მკითხველს ვთავაზობთ სისხლის სამართლის პოლიტიკისათვის მნიშვნელოვან ფაქტორთა კვლევას აუცილებელი და საკმარისი მოცულობით.

შემდეგში სასურველი და მიზანშეწონილია ამ საკითხების უფრო ფართომასშტაბიანი და დეტალური კვლევა. ასევე სისხლის სამართლის პოლიტიკის სრულყოფილად წარმოსაჩენად მიზანშეწონილად ვთვლით ისეთი ფაქტორების კვლევასაც, როგორებიცაა: სისხლის სამართლის პოლიტიკაზე ფილოსოფიის გავლენა, სამართლის სხვა დარგების გავლენა, სისხლის სამართალი თავისი პოლიტიკით შეიჭრა მეცნიერებისა და სამართლის სხვა დარგებში, თუ ისინი შემოიჭრნენ სისხლის სამართალში და გავლენა მოახდინეს სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, სისხლის სამართლის პოლიტიკა და ადამიანი, სისხლის სამართლის პოლიტიკა და ოჯახი, სისხლის სამართლის პოლიტიკა და საზოგადოება, სისხლის სამართლის პოლიტიკა და სახელმწიფო, სისხლის სამართლის პოლიტიკა და ხელოვნება, სისხლის სამართლის პოლიტიკა და მეცნიერება.

ამ საკითხებზე ნაფიქრი და ნამსჯელი აქვს ამ სტატიის ავტორს და სრულყოფილი სახით შემდეგში შემოგთავაზებთ. შეიძლება სხვა ფაქტორებიც მნიშვნელოვნად მივიჩნიოთ სისხლის სამართლის პოლიტიკისათვის.

ყველა ფაქტორი, რომელიც ამა თუ იმ მოცულობით გავლენას მოახდენს სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავებასა ან/და რეალიზაციაზე, მნიშვნელოვანია. ეს ფაქტორები შეიძლება, გაიზარდოს. აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, კოლეგებმა შეიძლება, სხვა ფაქტორებს მიანიჭონ უპირატესობა და წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრება. ეს სავსებით შესაძლებელია.

მე ამ ეტაპზე ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები (ფაქტორები) მივიჩნიე სისხლის სამართლის პოლიტიკასთან მიმართებით კვლევის ღირსად და გთავაზობთ ჩემს მოსაზრებას ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე.

აქ აღარ შევუდგები მსჯელობას სახელმწიფოსა და სამართლის არსსა და რაობაზე, ეს არა მხოლოდ იურისტისთვის, არამედ ყველა მოქალაქისთვის საინტერესო და, გარკვეულწილად, ცნობილი საკითხია თუნდაც იმიტომ, რომ ყველა მოქალაქე ცხოვრობს ამა თუ იმ სახელმწიფოში. სახელმწიფო კი ვერ იარსებებს სამართლის გარეშე. ასევე, სამართალიც ვერ იარსებებს სახელმწიფოს გარეშე. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ და ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენენ. *როგორი სახელმწიფოცაა, ისეთი აქვს მას სამართალი. როგორი სამართალიც აქვს, ისეთია სახელმწიფოც.* ასე რომ, სახელმწიფოსთვის აუცილებელი ნიშანი – საკუთარი (განვითარებული ანდა ნაკლება განვითარებული) სამართალი კარგად გამოდგება თვით სახელმწიფოს განვითარების დონის დასახასიათებლად.

სახელმწიფოს განვითარება მოითხოვს სამართლის განვითარებას. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება სამართლის ყველა დარგი და მათ შორის სისხლის სამართალი, რომელიც

ყველაზე რეპრესიულია სამართლის სხვა დარგებს შორის.[1]

განვითარება კი მოითხოვს ცვლილებებს. ცვლილება კი არსებულის შეცვლას გულისხმობს. ამიტომ *სისხლის სამართლის ცვლილება სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად გარდაუვალია.* თუმცა ეს *ცვლილება ხელს უნდა უწყობდეს ადამიანის, ოჯახის, საზოგადოებისა და მთლიანად სახელმწიფოს ინტერესების დაცვას.*

ეს რომ ასე მოხდეს სისხლის სამართალში ნებისმიერი ცვლილების დროს, ეს იქნება ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღება თუ მოქმედ კოდექსში ცალკეული შესწორების შეტანა, უნდა გატარდეს *პროგრესული და დროის მოთხოვნების შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკა*, რომელიც რეალურად ხელს შეუწყობს მოქალაქისა და სახელმწიფოს სამართლებრივი ინტერესის დაცვას.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს სისხლის სამართლის ფუნქციის შესრულებას.

1. კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია

სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილება ყოველთვის მიმართული უნდა იყოს სისხლის სამართლის გასაუმჯობესებლად და არ უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს თვითმიზანს ან საშუალებას ისეთი მიზნისთვის, რომელიც ადამიანის უფლების დაცვაზე არ არის ორიენტირებული.

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები (ან, საერთოდ, ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღება) გარდაუვალია განვითარების ინტესიურობის შესაბამისად. თუმცა ცვლილება ხელს უნდა უწყობდეს არსებული სისხლის სამართლის კოდექსის გაუმჯობესებას. თუკი ცვლილებას სხვა მიზანი აქვს და აღწევს კიდეც, მაშინ ხდება გაუარესება. ეს იმიტომ, რომ ცვლილება გულისხმობს ან გაუმჯობესებას ან გაუარესებას. შესაბამისად, სისხლის სამართლის პოლიტიკა ან არ იცვლება, ან იცვლება ორი მიმართულებიდან ერთ-ერთისკენ: სრულყოფა – გაუმჯობესებისკენ ან გაუარესებისკენ.

ხშირად შეიძლება კარგად ვერ დავინახოთ ცვლილებების რეალური მიზანი, ე. ი. ის, თუ საითკენ წავიდა სისხლის სამართლის პოლიტიკა, მაგრამ ამ მიზნის მიღწევის საშუალებები ხშირად კარგი საშუალებაა რეალური მიზნის ლუსტრაციისათვის. სწორედ გადადგმული ნაბიჯები და მათი მიმართულება გვიჩვენებს სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილების ორიენტირს.

სისხლის სამართლის განვითარებისა თუ, უარეს შემთხვევაში, განვითარების შეყოვნებისთვის თანმდევი პროცესია კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია. ქმედების დანაშაულად გამოცხადება (კრიმინალიზაცია) ანდა -- პირიქით, დეკრიმინალიზაცია ხელს უნდა უწყობდეს დროის მოთხოვნების შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას. თუმცა ხშირად სამწუხაროდ ეს ასე არ ხდება და სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება (კრიმინალიზაციისა ანდა დეკრიმინალიზაციის სახით) განხორციელებულია სხვა მიზნისთვის.

კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია თავისი მასშტაბების შესაბამისად გარკვეული მოცულობით გავლენას ახდენს სისხლის სამართლის პოლიტიკაზე და ცვლის მას საუკეთესოდ ან საუარესოდ (ე. ი. აუმჯობესებს ან აუარესებს).

იმისათვის, რომ ცვლილებამ კრიმინალიზაციის ან დეკრიმინალიზაციის გზით გააუმჯობესოს არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა და არა -- პირიქით, საჭიროა, რომ ეს ცვლილებები იყოს რაციონალური და გააზრებული. ეს კი მთელ ძალისხმევას და საკითხისადმი

[1] აქ აღარ შევუდგები სისხლის სამართლის ცნების, ფუნქციისა და დანიშნულების განმარტებას. ეს იურისტებისათვის კარგად არის ცნობილი. ამ საკითხზე იხ. მაგალითად, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.21;

(ცვლილებებისადმი) კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

შედარებით ადვილია ემოციური ანდა პოპულისტური ცვლილებები (კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია), რომლებიც, ასევე, გავლენას ახდენს და ცვლის სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკას, მაგრამ ის მოკლევადიან ეფექტზეა გათვლილი და არ/ვერ ემსახურება გრძელვადიან, ადამიანის უფლების დაცვაზე ორიენტირებული სამართლიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას.

კრიმინალიზაცია ან/და დეკრიმინალიზაცია, მიუხედავად იმისა, მიღებული იქნება ემოციურად, პოპულისტურად თუ რაციონალურად, მაინც ახდენს გავლენას სისხლის სამართლის პოლიტიკის შექმნაზე, ანდა არსებულის შეცვლაზე. იმისათვის, რომ კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია ემსახურებოდეს სამართლიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებას, საჭიროა მათი გააზრებულად, გონივრულად, მიზანმიმართულად და ადამიანისა და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინება – დაცვის მიმართულებით გატარება.[1]

სისხლის სამართალი და მისი განვითარება შეუძლებელია კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის გარეშე. უდავოდ დიდია ამ ინსტიტუტების როლი სისხლის სამართლაში. როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკა ახდენს გავლენას სისხლის სამართალში კრიმინალიზაციასა და დეკრიმინალიზაციაზე, ისე კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია ახდენს როლს სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. ასე რომ, სისხლის სამართლის პოლიტიკისა და კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის ურთიერთზემოქმედება მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტორია სისხლის სამართალში.

2. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია (საკანონმდებლო, სასამართლო, მეცნიერული)

კრიმინალიზაციასა და დეკრიმინალიზაციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საკითხი.[2] სისხლის სამართლის პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია. როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. გ. ნაჭყებია, „ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სამი სახე: საკანონმდებლო, საგამოძიებო – სასამართლო და დოქტრინალური“.[3]

---

[1] აქ აღარ შევუდგები კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის დახასიათებას. ეს კარგად არის ცნობილი მკითხველისათვის. ამ ნაშრომში სისხლის სამართლისა და სხვა მეცნიერებისათვის კარგად ცნობილ საკითხებს ვიკვლევთ სისხლის სამართლის პოლიტიკასთან მიმართებაში. თითოეული საკითხი თავისი აქტუალობიდან გამომდინარე, შეიძლება ცალკე კვლევას იმსახურებდეს, მაგრამ ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ მათ ვიკვლევთ მხოლოდ სისხლის სამართლის პოლიტიკასთან მიმართებაში და არა სხვა მიმართულებით.

[2] ნაშრომის მოცულობისა და სხვა გარემოების გამო თავს შევიკავებთ ამა თუ იმ საკითხზე ცნობილ მეცნიერთა შეხედულებების ციტირებისგან. დაინტერესებულ მკითხველს სხვათა შეხედულების ნახვა შეუძლია სხვა ნაშრომებშიც. მე შევეცადე ამ ნაშრომში და ვფიქრობ ასევე მომავალშიც სამეცნიერო და მით უმეტეს, სასწავლო ნაშრომთა შესრულებისას ციტირება მოვახდინო აუცილებელი და საკმარისი მოცულობით და შეძლებისდაგვარად მკითხველს შევთავაზო საკუთარი მოსაზრება, რომელსაც სხვაგან ვერ წაიკითხავს. სამეცნიერო ნაშრომთა სპეციფიკის გათვალისწინებით, აუცილებლობის შემთხვევაში მეც მოვახდენ ციტირებას, მაგრამ არა იმ მოცულობითა და რაოდენობით, როგორც ამას ბოლო პერიოდში აკეთებენ ჩემი კოლეგები. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ე. ფუტკარაძე, მეცნიერული კეთილსინდისიერებისათვის, გთსუ-ს შრომათა კრებული, 2020, გვ.42-46;

[3] გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2010, გვ. 14.

თუ კარგად გავანაალიზებთ პროფ. გ. ნაჭყებიას მიერ შემოთავაზებულ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სახეებსა და მათ მნიშვნელობას, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია და კრიმინალიზაცია (შეიძლება ვიგულისხმოთ ნაწილობრივ დეკრიმინალიზაციაც) ერთი და იგივეა.[1]

თუკი დავეყრდნობით პროფ. გ. ნაჭყებიას მიერ შემოთავაზებულ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცის მნიშვნელობას, მაშინ „საკანონმდებლო ორგანოს (ესე იგი, საქართველოს პარლამენტის) მიერ ადამიანთა განსაზღვრული ქმედების კრიმინალიზაცია – სხვა არაფერია თუ არა ამ ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია“.[2]

ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის და სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, მათ ურთიერთგანპირობებულობაზე. რამდენადაც ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია იგივეა, რაც კრიმინალიზაცია, ამიტომ აშკარაა მისი გავლენა სისხლის სამართლის პოლიტიკაზე და -- პირიქით.

სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გავლენას ახდენს ხელისუფლების სამივე შტო. გავლენის ინტენსიობა კი დამოკიდებულია ხელისუფლების ამა თუ იმ შტოს რეალურ სიძლიერეზე.

კრიმინალიზაცია ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივაა, ამიტომ ამ ორგანოს მნიშვნელობა სისხლის სამართლის პოლიტიკაზე დიდ მტკიცებას არ საჭიროებს. ეს კი სწორედ ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციის გზით ხდება.

სისხლის სამართლის პოლიტიკისათვის საკანონმდებლო ორგანოს მიერ სისხლის სამართლის კოდექსის ან მასში ცვლილების მიღებასთან ერთად მნიშვნელოვანია მათი პრაქტიკული რეალიზაცია. ამ თვალსაზრისით კი გადამწყვეტია ქმედების საგამოძიებო – სასამართლო კვალიფიკაცია.

კანონის მიღებასთან ერთად, მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკული გამოყენება. ამას კი სისხლის სამართალში საგამოძიებო – სასამართლო ორგანოები ასრულებენ. ნორმის შეფარდებით ხდება მისი გაცოცხლება. სისხლის სამართლის პოლიტიკა რეალურად ცხოვრებაში საგამოძიებო ანდა სასამართლო ორგანოების მიერ ხორციელდება. რა თქმა უნდა, მართლმსაჯულების განხორციელებას სასამართლო ახდენს, მაგრამ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, ასევე, გავლენა შეიძლება იქონიოს საგამოძიებო ორგანოთა მიერ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციამაც. ბუნებრივია, სასამართლომ უნდა გამოასწოროს საგამოძიებო ორგანოებში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციასთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომები, მაგრამ მათი როლი ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენენ. აქვე მნიშვნელოვანია პროცესუალურად ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში მონაწილეთა უფლებამოსილების საკანონმდებლო განსაზღვრა. თუმცა კანონმდებლობით მინიჭებული უფლების პრაქტიკული რეალიზაცია კი ბევრ ფაქტორთან არის დაკავშირებული. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ ქმედების დანაშაულად საგამოძიებო – სასამართლო კვალიფიკაციაზე და, შესაბამისად, სისხლის სამართლის პოლიტიკაზე.

ამიტომაც არის ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი სასამართლოს (მოსამართლის) პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება და დამოუკიდებლობა მათ შორის, ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციაში და, შესაბამისად, სისხლის სამართლის პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელებაში.

---

[1] ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სახეებზე და მათ მნიშვნელობაზე იხ. გ. ნაჭყებიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 14 – 21.

[2] იქვე, გვ. 17

სამართლებრივად (და, ასევე, ბევრი სხვა მიმართულებით) განვითარებულ ქვეყნებში ყოველთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ქმედების დანაშაულად მეცნიერული განმარტება. განვითარებული სახელმწიფო მეცნიერულ რესურსებს იყენებს გონივრულად სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში. ეს, პირველ რიგში, გამოიხატება ამ რესურსის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებაში გამოყენებით. სხვადასხვა გარემოებების გამო თუ ასე არ მოხდა და მეცნიერები არ არიან წარმოდგენილი ხელისუფლების ორგანოებში, მაშინ ხდება მათი განმარტებების, მოსაზრებების მოსმენა და გამოყენება. ასეთ შემთხვევაში მეცნიერულ განმარტებას, ქმედების დანაშაულად მეცნიერულ კვალიფიკაციას თეორიულთან ერთად ენიჭება პრაქტიკული და სასარგებლო მნიშვნელობა. იმისდა მიხედვით თუ რამდენად იქნება გამოყენებული საკანონმდებლო ანდა სასამართლო ხელისუფლებაში მეცნიერული განმარტება, ე. ი. ქმედების დანაშაულად მეცნიერული კვალიფიკაცია, იმდენად შესაბამისი იქნება მისი გავლენა სისხლის სამართლის პოლიტიკაზე.

სისხლის სამართლის პოლიტიკაზე აუცილებლად იქონიებს ურთიერთგავლენას ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო და სასამართლო კვალიფიკაცია.

ქმედების დანაშაულად მეცნიერული კვალიფიკაციის როლი სისხლის სამართლის პოლიტიკაზე კი დამოკიდებულია თვით სახელმწიფოში მეცნიერების როლსა და ადგილზე.

3. სასჯელის საკანონმდებლო ჩამოყალიბება და სასჯელის შეფარდების საკითხი

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სამივე სახესთან პირდაპირ ურთიერთკავშირშია სასჯელის საკანონმდებლო ჩამოყალიბებისა და მისი შეფარდების საკითხი. ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პოლიტიკისთვის. ასევე თავის მხრივ სისხლის სამართლის პოლიტიკა როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლოს მიერ სასჯელის შეფარდების დონეზე გავლენას ახდენს სისხლის სამართლის კურსის განსაზღვრასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში.

ხშირად იმისდა მიხედვით თუ როგორ არის სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოყალიბებული სასჯელის მიზანი, სასჯელის სახე, სასჯელის დანიშვნისა ანდა მისგან გათავისუფლების საკითხი, შეიძლება განვსაზღვროთ სახელმწიფოში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა.[1]

შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის შეფარდებისას უფრო მეტად ხდება სისხლის სამართლის პოლიტიკის ლუსტრაცია, ვიდრე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას. სასჯელის სიმკაცრესა თუ ლიბერალიზაციაში იკვეთება ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის კურსი. ამას აქვს თავისი მეცნიერული და პრაქტიკული საფუძველი.

რა თქმა უნდა, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაც მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პოლიტიკის გამოსავლენად, მაგრამ სასჯელის მიზნის, სახისა და დანიშვნის წესი მაინც განსაკუთრებულია სისხლის სამართლის პოლიტიკისთვის.

სამართლებრივი განვითარების განსხვავების მიუხედავად, ვერც ერთი სახელმწიფო უარს ვერ იტყვის კლასიკური დანაშაულების (მაგალითად, მკვლელობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა და ა. შ.) დასჯადობაზე, მაგრამ საკუთარ სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად მან

[1] აქ აღარ შევუდგები ამ საკითხებზე არსებული ქართული ანდა უცხოენოვანი იურიდიული ლიტერატურის დასახელება – განხილვას. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ამ მიმართულებით ავტორსაც აქვს გარკვეული კვლევები ჩატარებული და გამოქვეყნებული ნაშრომები. ასევე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდის ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში შეინიშნება სასჯელთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომების სიმრავლე, რაც ძალიან სასიხარულო და მისასალმებელია.

შეიძლება განსაკუთრებული სახისა და ზომის სასჯელი დააკანონოს და გამოიყენოს. აქ უკვე ჩანს ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკა.

სისხლის სამართლის პოლიტიკა ძალიან კარგად ჩანს ასევე სასჯელის დანიშვნის წესსა და სასამართლოების მიერ მათ პრაქტიკულ გამოყენებაში. აღარაფერს ვამბობ სასჯელის შთანთქმისა თუ შეკრების წესის დაკანონებასა და გამოყენებაზე.

ძალიან ბევრი მეცნიერული თეორიის, შედარებით-სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით სხვადასხვა ქვეყნის სასჯელთან დაკავშირებული საკანონმდებლო ტექსტისა და მათი სასამართლოს მიერ გამოყენების პრაქტიკის მასალის მოყვანა შეიძლება, რომელიც დაასაბუთებს, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკისთვის არსებითია სასჯელის საკითხი.

როგორც მეცნიერული კვლევები და სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, სასჯელის სიმკაცრეზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიან პერსპექტივაში სისხლის სამართლის ამოცანების შესრულებას.

მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა უფრო არის ემოციური და პოპულისტური პოლიტიკის შედეგი, რომელიც მოკლევადიან ეფექტურ შედეგებზეა გათვლილი. აქ წინა პლანზეა ზოგადპრევენციული ამოცანები, საზოგადოების დაშინება – დამორჩილება და ნაკლებად გაითვალისწინება ცალკეული ინდივიდის, როგორც მოქალაქის უფლების დაცვა.

სწორედ სასჯელის მიზანში, მისი მიღწევის საშუალებასა (სასჯელის სახე), დანიშვნის წესსა და აღსრულებაში ჩანს მკაფიოდ ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკა.

4. საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებების ეროვნულ კანონმდებლობაში გამოყენებისა და პრაქტიკაში რეალიზაციის საკითხი

დღეს, როგორც არასდროს, ძალზე მნიშვნელოვანია გლობალიზაციის საკითხი. იურიდიული თვალსაზრისით კი აქტუალური ხდება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის პრობლემა. კაცობრიობის განვითარების დონე მოითხოვს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის აუცილებელ საკითხებზე ჰარმონიზაცია – დაახლოებას.

რა თქმა უნდა, აღიარებული და პრიორიტეტულია სახელმწიფოს სუვერენიტეტი,[1] მაგრამ ცალკეულ საკითხებში აუცილებელი ხდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის, მათ შორის სისხლის სამართლის შევსება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების მოთხოვნების შესაბამისად.

დიდ მტკიცებას არ მოითხოვს ის გარემოება, რომ რაც არ უნდა ძლიერი და განვითარებული იყოს რომელიმე სახელმწიფო სამართლებრივად, ცალკე, სხვა სახელმწიფოებთან სამართლებრივი თანამშრომლობის გარეშე წარმატებული ვერ იქნება, თუნდაც საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს კი მოითხოვს სხვა სახელმწიფოსთან (სახელომწიფოებთან) სამართლებრივ თანამშრომლობას სისხლის სამართლებრივი მიმართულებით. ამისათვის კი აუცილებელი ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებისა და კონვენციების მიღება.[2]

თავის მხრივ თითოეულმა სახელმწიფომ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს თავისი კანონმდებლობა კონვენციების მოთხოვნებთან. რა თქმა უნდა, სახელმწიფოთა საკანონმდებლო ტექნიკა განსხვავებულია. ეს კი, თავის მხრივ, აუცილებლად გავლენას ახდენს ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად შეესაბამება ეროვნული

[1] აქ აღარ შევუდგები ამ საკითხის დეტალურ სამართლებრივ დახასიათებას.

[2] აქ აღარ შევუდგები სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციების დასახელებას.

კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს, განისაზღვრება ქვეყნის სამართლებრივი განვითარების დონე. საერთაშორისო სტანდარტებთან ეროვნული სისხლის სამართლის შესაბამისობა კი ურთიერთკავშირშია სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკასთან.

5. საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის (კანონმდებლობისა და მეცნიერების) გავლენა

დღეს, როგორც არასდროს, ძლიერია საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და მეცნიერული მიღწევების გაცნობისა და გამოყენების შესაძლებლობა.[1]

მისასალმებელია ვიცნობდეთ საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსსა და მეცნიერულ მიღწევებს. შედარებით სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ეს აუცილებელიცაა ეროვნული სისხლის სამართლის განვითარებისათვის. ალბათ დიდ მტკიცებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობისა და მეცნიერული მიღწევების ცოდნა არ კმარა თუნდაც ისევ ეროვნული სისხლის სამართლის განვითარებისთვის. შედარებით სისხლისსამართლებრივი და საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი კვლევები აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ეროვნული სისხლის სამართლის განვითარებისა და გამოყენებისათვის.

თუმცა აქ თავს იჩენს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობისა ანდა მეცნიერების ეროვნულ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გავლენის საკითხი. ჩვენ აქ აღარ შევუდგებით დეტალურად ასიმილირებისა და უკუასიმილირების ან სხვა მნიშვნელოვანი პრინციპების განხილვას.[2] ხშირად საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის (ანდა მეცნიერული მიღწევის) გაცნობა არ შემოიფარგლება მხოლოდ შედარებით სისხლისსამართლებრივი კვლევებით და სხვადასხვა გარემოების გამო უცხოური კანონმდებლობა გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნულ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებს ხოლმე. უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური კურსი და ორიენტაცია. ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მეცნიერებიც, რომლებიც „არწმუნებენ“ ხელისუფლების წარმომადგენლებს რომელიმე ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობის უპირატესობაში და მის „მისაღებობაში“ ეროვნული კანონმდებლობისათვის. საზღვარგარეთის ქვეყნის სისხლის სამართლის სხვადასხვა მოდელთაგან ერთ – ერთის (ან რამდენიმეს ჰიბრიდულად) არჩევა და გადმოღება (გარკვეული ცვლილებებით ან უამისოდ) გავლენას ახდენს ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. ეს ძირითადად ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს, რომელთა სამართლებრივი განვითარება არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და ეროვნული კანონმდებლობის „განვითარება“ ხდება უცხოური კანონმდებლობის გადმოღებით. ასეთ დროს მეცნიერება „ემსახურება“ სხვისი კანონმდებლობისა და მეცნიერული მიღწევების ეროვნულ კანონმდებლობაში გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. ასე, რომ იმისდა მიხედვით თუ რამდენად განვითარებულია ეროვნული მეცნიერება, ის ან თვითონ ქმნის ეროვნულ

[1] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999 წ. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში შეიქმნა ბევრი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი შედარებით სისხლის სამართლაში, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ქართულ მკითხველს გაეცნოს და გამოიყენოს საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და მეცნიერების მიღწევები. ამ ნაშრომთა აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული გამონაკლისების გარდა, შესრულებულ ნაშრომთა ძირითადი ნაწილი გერმანულ სისხლის სამართალს ეთმობა. ეს გასაგებიცაა, რადგან პოსტსაბჭოთა, დამოუკიდებელი საქართველოს სისხლის სამართალზე გერმანულის გავლენა აშკარაა.

[2] იხ. მ. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, თბ., 2010, გვ. 37-44;

კანონმდებლობას ან ამართლებს განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობისა და მეცნიერული მიღწევების ეროვნულ სისხლის სამართალში გამოყენებას.

6. მეცნიერების გავლენა

თუნდაც ზემოთ აღნიშნული გარემოება ასაბუთებს იმას, რომ მეცნიერებას შეუძლია და უნდა მოახდინოს დადებითი გავლენა სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. აქ ვგულისხმობ სისხლის სამართლის მეცნიერებას და არა მეცნიერებას ზოგადად, რომელსაც ასევე შეუძლია გავლენა იქონიოს სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. მაგრამ სხვა მეცნიერებათაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის მეცნიერების გავლენა სისხლის სამართლის პოლიტიკაზე პირდაპირია. ის თუ რამდენად ძლიერი ან სუსტია სისხლის სამართლის მეცნიერების გავლენა სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, დამოკიდებულია, პირველ ყოვლისა, თვით სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების დონეზე და მეორეს მხრივ, მის ადგილსა და მნიშვნელობაზე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკურ ძალთა და თვით სახელმწიფო ხელისუფლების დამოკიდებულება განსაზღვრავს მეცნიერების დამოუკიდებლობასა და მნიშვნელობას.

ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რა ადგილი უჭირავს სისხლის სამართლის მეცნიერებას ქვეყნის ცხოვრებაში და სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრაში. სამართლებრივ, დემოკრატიულ და განვითარებულ სახელმწიფოში ხელისუფლების ყველა შტო ითვალისწინებს სისხლის სამართლის მეცნიერების მიღწევებს და მის შესაბამისად ქმნის, ცვლის ან ავითარებს სისხლის სამართლის პოლიტიკას. ტოტალიტარულ სახელმწიფოში ხელისუფლება არ ითვალისწინებს დამოუკიდებელ მეცნიერულ აზრს, რომელიც არ არსებობს ან შემცირებულია ან სახელმწიფოს მიერ არის შექმნილი და გაკონტროლებული. მეცნიერება, ასეთ დროს ვერ ქმნის დამოუკიდებელ და ღირებულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს და მთლიანად ექცევა ხელისუფლების გავლენის ქვეშ. ამიტომ მისი ფუქნქცია შემოიფარგლება მხოლოდ ხელისუფლების შტოთა მიერ გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის „გამართლებით“.

ამ თვალსაზრისით სულ სხვა სურათია (ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს) დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც სისხლის სამართლის მეცნიერება ვითარდება სახელმწიფო ხელისუფლებათა ჩარევისა და პოლიტიზირების გარეშე. თავისუფლად, ვინმეს ინტერესების გათვალისწინებისა და გატარების გარეშე, განვითარებული მეცნიერება შეძლებს ღირებული და გასათვალისწინებელი მოსაზრებებისა და შეხედულებების შექმნას, რომლის უგულვებელყოფას ვერ შეძლებს სახელმწიფო და რომლის გათვალისწინებაც სისხლის სამართლის პოლიტიკის შექმნისას მას მოუწევს. ამდენად, თვით *მეცნიერების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დამოკიდებულება მეცნიერებისადმი.* მისი ჩართულობა და გავლენა სისხლის სამართლის პოლიტიკაზე მოითხოვს, როგორც სახელმწიფოს „კეთილ ნებას“, ასევე თვით მეცნიერების მზაობას თავისი აკადემიური მიღწევებით. მეცნიერების გავლენა სისხლის სამართალზე პირდაპირ კავშირშია მისი აკადემიური განვითარების დონესთან, რომელსაც ემატება ხელისუფლების შტოთა პოლიტიკური ნება ეროვნული მეცნიერული მიღწევების შექმნასა და გამოყენებაზე.

სისხლის სამართლის მეცნიერება ვერ ახდენდა და ვერ მოახდენს გავლენას ეროვნულ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, რა თქმა უნდა, თუკი ასეთი არსებობს სახელმწიფოში, სადაც არ არსებობს ამის პოლიტიკური ნება ანდა მეცნიერება მზად არ არის აკადემიურად გავლენა მოახდინოს ხელისუფლების შტოებზე.

გონივრული ხელისუფლება ყოველთვის ითვალისწინებს მეცნიერების აკადემიურ მიღწევებს და შესაბამის სისხლის სამართლის პოლიტიკას ქმნის.

სასურველი სისხლის სამართლის პოლიტიკის გასატარებლად მეცნიერული მიღწევების გაუთვალისწინებლობა ახასიათებს არადემოკრატიულ და ტოტალიტარულ სახელმწიფოებს, რომლებიც ცდილობენ მეცნიერების მეშვეობით სასურველი ავტორიტარული სისხლის სამართლის პოლიტიკის გამართლებას.

ამდენად, სისხლის სამართლის მეცნიერებამ შეიძლება და უნდა შეასრულოს დადებითი როლი სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. თუმცა, როგორც ვნახეთ, ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მეცნიერებისა და მეცნიერული მიღწევების სისხლის სამართალში გათვალისწინების მასშტაბით შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყნის სამართლებრივ და დემოკრატიულ განვითარებაზე. სამართლებრივი განვითარების მაჩვენებელია ეროვნული სისხლისსამართლებრივი მეცნიერების მიღწევების აკადემიურობა და ვარგისიანობა სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებისათვის და სასამართლო პრაქტიკაში გამოსაყენებლად. დემოკრატიული განვითარების მაჩვენებლად, ამ თვალსაზრისით, კი შეიძლება მივიჩნიოთ მეცნიერული მიღწევების სისხლის სამართლის პოლიტიკაში გამოყენების პოლიტიკური ნება ხელისუფლების შტოთა მიერ.

7. მოქალაქის სამართლებრივი განვითარების გავლენა

მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება სისხლის სამართლის პოლიტიკის შექმნისა ანდა განხორციელებისას. საზოგადოებრივ აზრს ძირითადად ქმნიან ქვეყნის მოქალაქეები. ამიტომ ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი განვითარება მნიშვნელოვანი ფაქტორია სისხლის სამართლის პოლიტიკისათვის.

მართალია ქვეყნის კონსტიტუციასა და სხვა შესაბამის კანონებში, ასევე საერთაშორისო კონვენციებსა და დეკლარაციებში აღიარებული ანდა გაცხადებულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მაგრამ მათი პრაქტიკული რეალიზაცია დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოში მცხოვრები მოქალაქეების სამართლებრივ განვითარებაზე.

მოქალაქეების სამართლებრივი განვითარებაზე დადებით გავლენას ახდენს სახელმწიფოში მოქმედი ადამიანის უფლების დაცვაზე ორიენტირებული და არა ფსევდო არასამტავრობო ორგანიზაციები. სახელმწიფო უწყებების გვერდით მათი არსებობა ხელს უწყობს (ყოველ შემთხვევაში უნდა უწყობდეს) მოქალაქეთა სამართლებრივ განვითარებას.

მოქალაქეების სამართლებრივი განვითარება, მათი სამართლებრივი კულტურის ამაღლება მოქალაქის სამართლებრივი უფლების დაცვის საწინდარია. ეს კი თავის მხრივ გავლენას ახდენს სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. არ შეიძლება ჰქონდეთ და ვერც ექნებათ განსხვავებული სამართლებრივი განვითარების მოქალაქეების მქონე სახელმწიფოებს ერთნაირი სისხლის სამართლის პოლიტიკა. მოქალაქეების სამართლებრივი განვითარება ზემოქმედებას ახდენს ხელისუფლების შტოებზე სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორცილებისას. საკუთარი უფლების მცოდნე და მით უმეტეს დაცვის უნარის მქონე მოქალაქისა და სამართლებრივი განვითარების დაბალ დონეზე მყოფი მოქალაქის მიმართ ვერ განახორციელებ ერთნაირ სისხლის სამართლის პოლიტიკას. მოქალაქეების სამართლებრივი განვითარება აიძულებს სახელმწიფოს მათი განვითარების შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკა განახორციელოს.

ნაკლებად განათლებულ და სამართლებრივად განუვითარებელ მოქალაქეებს სახელმწიფომ შეიძლება უკარნახოს მისთვის სასურველი სისხლის სამართლის პოლიტიკა, რასაც ვერ გააკეთებს სამართლებრივად განვითარებული მოქალაქეების მიმართ.

ასეთ შემთხვევაში მან უნდა განახორციელოს მოქალაქეების სამართლებრივი განვითარების შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკა, რაც კომპლექსურად ადამიანის უფლების დაცვაზე ორიენტირებულ და ლიბერალურ სისხლის სამართლის პოლიტიკას გულისხმობს ან უნდა „დასწიოს“ მოქალაქეების სამართლებრივი განვითარება, რათა ადვილად სამართავი გახადოს ისინი და შესთავაზოს მისთვის სასურველი სისხლის სამართლის პოლიტიკა, რაც ძირითადად ავტორიტარული და მოსახლეობის დაშინება – მორჩილებაზეა ორიენტირებული.

ამდენად, სახელმწიფოს მოქალქეების სამართლებრივი განვითარება ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ზოგადად ქვეყნის სამართლებრივი კულტურის განსაზღვრისა და შეფასებისათვის. მოქალაქეების სამართლებრივ განვითარებას შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს სახელმწიფოში არსებულ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. მოქალაქეთა სამართლებრივი განუვითარებლობა, დაბალი სამართლებრივი კულტურა კი ნოყიერი ნიადაგია მათ წინააღმდეგ ავტორიტარული და რეპრესიული სისხლის სამართლის პოლიტიკის გასატარებლად. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოქალაქეებმა თავიანთ სამართლებრივი განვითარებით შეიძლება და უნდა შეიტანონ მნიშვნელოვანი (ალბათ ზოგჯერ გადამწყვეტი) წვლილი სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში.

8. ეკონომიკური ურთიერთობისა და მდგომარეობის გავლენა

სახელმწიფოსა და მისი მოქალქეების განვითარების თვალნათლივი მაჩვენებელია როგორც თვით სახელმწიფოს, ისე მისი თითოეული მოქალაქის ეკონომიკური ურთიერთობა და მდგომარეობა.

სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური ურთიერთობები (საბაზრო, თავისუფალი, გეგმიური და ა. შ.) განაპირობებენ არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. აქ კი წარმოიშობა მეცნიერებაში ხშირად სადაოდ მიჩნეული ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობის საკითხი. [1] ეკონომისტთა უმრავლესობის თვალსაზრისით ეკონომიკური ურთიერთობაა ბაზისი და სამართალი არეგულირებს მხოლოდ იმას, რაც რეალურად არსებობს – რეალურ ეკონომიკურ ურთიერთობებს. ამისგან განსხვავებით იურისტთა ნაწილი თვლის, რომ სამართალს შეუძლია საკანონმდებლო დონეზე ახალი ეკონომიკური ურთიერთობების შექმნა, ე. ი. ეკონომიკური ურთიერთობისთვის ახალი ბაზისის შექმნა, მაგალითად, გეგმიური ეკონომიკური ურთიერთობიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ეს ნიშნავს იმას, რომ სამართალი არის ეკონომიკური ურთიერთობის დამაკანონებელი, განმსაზღვრელი ბაზისი, რომელსაც ეყრდნობა ახალი ეკონომიკური ურთიერთობა და მის ჩარჩოებში ექცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება უკანონო ეკონომიკური საქმიანობა.

ეკონომიკური საქმიანობა, ისევე როგორც ყველა სხვა სახის საქმიანობა ან არის კანონის შესაბამისი, ლეგიტიმური ან უკანონო. ამდენად, კანონს შეუძლია ჩარჩოებში მოაქციოს და სამართლისათვის სასურველი მიმართულებით წარმართოს ეკონომიკური საქმიანობა და შესაბამისად ეკონომიკური ურთიერთობა. ეს ურთიერთობა კი განსაზღვრავს ეკონომიკურ მდგომარეობას. ამდენად, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ურთიერთობა და *აქედან გამომდინარე, ეკონომიკური მდგომარეობა ისევ ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო სამართლებრივ მდგომარეობაზეა დამოკიდებული.* შეიძლება განსხვავებული მოსაზრებების მქონე კოლეგებს გადაჭარბებულად მოეჩვენოთ სამართლის მნიშვნელობის გაზრდა და

[1] ამ თემაზე აქ მკითხველის ყურადღებას აღარ გავამახვილებ ბაზისისა და ზედნაშენის მნიშვნელობაზე და იმაზე, თუ რომელია პირველადი. ამას არაერთი საინტერესო ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის ნაშრომი ეძღვნება.

რეალური ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობის ზედნაშენად მიჩნევა, მაგრამ სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია (უნდა იყოს) ადამიანური ურთიერთობის (მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობის) სამართლებრივი უზრუნველყოფა, რეგულირება, ანდა დაცვა. აქ გადავდივართ სამართლის არსსა და რაობაზე, განსხვავებული განმარტებების გამო მის განსხვავებულად გაგებაზე. თუმცა ამ ეტაპზე გვაინტერესებს ერთი რამ – სამართალი იცავს მხოლოდ არსებულ ურთიერთობებს თუ მას შეუძლია ახალი ურთიერთობების შექმნა?

თუ იმ მოსაზრებებს გავიზიარებთ, რომ სამართლის ფუნქცია შემოიფარგლება მხოლოდ რეალურად არსებულ ურთიერობათა რეგულირებით, მაშინ სამართალს მხოლოდ ნოტარიუსის ფუნქცია დარჩება და მან უნდა „გაამართლოს“ ის ურთიერთობები, რაც არსებობს ან ჩამოყალიბდა. ასეთ დროს სამართალი არ/ვერ მონაწილეობს სახელმწიფოსა და სხვა ურთიერთობების, მათ შორის ეკონომიკურის, შექმნაში და ელოდება ახალი ურთიერთობების შექმნას, რათა შემდეგში სამართლებრივად გააფორმოს ისინი. ასეთ დროს სამართლის როლი შემცირებულია. *სამართალს შეუძლია ჰქონდეს წარმმართველის ფუნქცია როგორც სახელმწიფოს, ისე მასში არსებული ყველა სახის, მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობების შექმნაში.* სამართალმა წინასწარ უნდა განსაზღვროს სახელმწიფოში არსებული ურთიერთობათა მიმართულება და უზრუნველყოს სახელმწიფო ინსტიტუტებით მათი რეგულირება ანდა დაცვა.

განვითარებული სამართლებრივი სახელმწიფო ქმნის ყველა სახის ურთიერთობისთვის სწორ სამართლებრივ ჩარჩო – მიმართულებას, სამართლებრივ მოდელს და არ ელოდება მოვლენათა სამართლის ჩარჩოს გარეშე „ველურ“ ურთიერთობას და შემდეგ მის „გამართლებას“. *ჯერ უნდა დაისახოს მიზანი და შემდეგ მოხდეს საშუალების შერჩევა.* სახელმწიფომ ჯერ უნდა განსაზღვროს სამართლებრივად თუ რა სახის ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბება – განვითარება სურს და შემდეგ შექმნას ამისათვის შესაბამისი პირობები თუნდაც საკანონმდებლო ბაზის მომზადებით. ეს იქნება ეკონომიკურ ურთიერთობათა სამართლებრივად და ამავდროულად სასურველი მიმართულებით წარმართვა. არაერთი მაგალითია ცნობილი მსოფლიო ისტორიაში, როცა კანონმდებლობის მიღებით სახელმწიფომ შეცვალა არსებული ეკონომიკური პოლიტიკა.[1]

ბევრი მასალის მოყვანა შეიძლება, რომელიც მოგვცემს იმის თქმის საფუძველს, რომ სამართლას შეუძლია ეკონომიკური ურთიერთობის შექმნა და წარმართვა. ასეთ დროს სამართალი არის ბაზისი, რომელსაც ეყრდნობა ეკონომიკური ურთიერთობა და მის შესაბამისად ვითარდება. არსებული ეკონომიკური ურთიერთობის „გამართლება – რეგისტრაციისას“, სამართალი კარგავს საბაზისო ფუნქციას და ექცევა გავლენიანი ეკონომიკური ურთიერთობების სამსახურში. ეს კი არ არის სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი თვისება. სამართალი არ უნდა ემსახურებოდეს ვინმეს ეკონომიკურ ინტერესებს. ეკონომიკური ურთიერთობა უნდა იყოს სამართლებრივად მორეგულირებული და დაცული და უნდა ემსახურებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს ინტერესებს, რომელიც ითვალისწინებს როგორც სახელმწიფოს, ისე ცალკეული მოქალაქის ინტერესის დაცვას.

სამართლებრივ სახელმწიფოში სამართლებრივად წარმართული და დაცულია ეკონომიკური ურთიერთობა და შესაბამისი ეკონომიკური მდგომარეობა. *სამართალი კარნახობს ეკონომიკას სახელმწიფოსა და მოქალაქის ინტერესის დაცვის მიმართულებით განვითარებას.*

სადაც სამართალი სუსტია და ძლიერია ეკონომიკური ინტერესის რეალურად მფლობელთა შესაძლებლობა, იქ სამართალი იცვლება ეკონომიკური ინტერესების

[1] მარტო ნეპი – ახალი ეკონომიკური პოლიტიკა რად ღირს ამ თვალსაზრისით.

მფლობელთა ცვლილების შესაბამისად.[1] ეკონომიკური ინტერესი არსებობს ინდივიდუალურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო დონეზე.[2]

სამართლებრივ სახელმწიფოში ყველა სახის ეკონომიკური ინტერესი მორეგულირებული და დაცულია სახელმწიფოსა და ადამიანის უფლების დაცვაზე ორიენტირებულ სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებით.

არასამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც ძლიერი ეკონომიკური ინტერესის და შესაძლებლობის მქონე ადამიანები „სამართლებრივად იფორმებენ" ეკონომიკურ ინტერესებს, მათ დასაცავად ქმნიან შესაბამის სისხლის სამართლის პოლიტიკას. ამდენად, *სისხლის სამართლის პოლიტიკაზე ეკონომიკური ურთიერთობისა და მდგომარეობის გავლენა უდაოა.* როგორც ვნახეთ, სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალია წარმმართველი ეკონომიკური ურთიერთობისთვის და მის დაცვაზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკა ხორციელდება. იგივეს ვერ ვიტყვით მაშინ, როცა ეკონომიკური ინტერესები იყენებს „სამართალს" მის „გასამართლებლად'' და ქმნის შესაბამის სისხლის სამართლის პოლიტიკას ამ ინტერესების დასაცავად. როგორც სამართლებრივად აღიარებული და დაცული, ისე რეალურად არსებული და თუნდაც „კრიმინალური" ეკონომიკური ურთიერთობა და მდგომარეობა გავლენას ახდენს სახელმწიფოში არსებულ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე.

9. ზნეობისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულება

საკმაოდ საინტერესოა ზნეობისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ზნეობრივად გამართლებული სისხლის სამართლის პოლიტიკა საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობს. ზნეობრივი ნორმების გათვალისწინება სისხლის სამართლის პოლიტიკის შექმნისა და მით უმეტეს განხორციელებისას აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა ვერ დაიმსახურებს საზოგადოების მოწონებას და ვერც პოპულარული იქნება. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, კანონი იქმნება ჩვეულებრივი მოქალაქისათვის და არა გმირებისთვის, ამიტომ ვერ მოვთხოვთ ნებისმიერ მოქალაქეს, რომ მოიქცეს გმირულად. მას ასევე ვერ დავავალდებულებთ, ვერ დავუკანონებთ ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს. ამ მხრივ საინტერესოა ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის ჩადენის დაფარვის საკითხი. ასევე საყურადღებოა პროფ. ო. გამყრელიძის მიერ წინა პლანზე წამოწეული ხევისბერი გოჩას ტრაგედიის თემა.[3]

ადამიანი არ უნდა აღმოჩნდეს სისხლის სამართლის კოდექსის და ზნეობის ნორმის კოლიზიის წინაშე. ხშირად ზნეობის ნორმები უკეთესად იცავს იმ ადამიანურ ურთიერთობებს, რაც სისხლისსამართლებრივად დასჯადად იყო გამოცხადებული. ამიტომ ასეთ ურთიერთობათა სისხლისსამართლებრივი დასჯა მიზანშეწონილი აღარ არის. ასეთია, მაგალითად, ახლო ნათესავთა შორის ქორწინება.

დასკვნა

სახელმწიფოსა და მოქალაქის თანაცხოვრებისა და სამართლებრივი ურთიერთობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია სამართლებრივი განვითარება.

---

[1] ამ საკითხზე იხ. ე. ფუტკარაძე, ეკონომიკური დანაშაულის საკითხისათვის, გთსუ-ს სამეცნიერო შრომათა კრებული, №10, 2020, გვ.34-41;

[2] იხ. ე. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ.,იქვე.

[3] იხ. ო. გამყრელიძე, ხევისბერი გოჩას ტრაგედია, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის,თბ., 1998;

სამართლის ყველა დარგს აქვს თავისი ფუნქცია. მაგრამ მაინც განსაკუთრებულია სისხლის სამართლის ფუნქცია. სახელმწიფოს მიერ გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკით კარგად ჩანს თუ როგორი ტიპის-დემოკრატიული თუ ტოტალიტარული-სახელმწიფოა იგი.

სამართლის სხვა დარგებისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის ყველაზე რეპრესიულობაზე მსჯელობა ზედმეტია. მიუხედავად ამისა, დემოკრატიულ სახელმწიფოში ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებით სისხლის სამართალი შეიძლება ემსახურებოდეს ადამიანის უფლების დაცვას. პირიქით ხდება ტოტალიტარულ სახელმწიფოში, სადაც ავტორიტარული, რეპრესიული სისხლის სამართლის პოლიტიკით სისხლის სამართალი შეიძლება იყოს ადამიანის უფლების ხელყოფისა და დამორჩილების საშუალება.

ამიტომ იმისდა მიხედვით, თუ როგორია სისხლის სამართლის პოლიტიკა, ის ემსახურება ან ადამიანის უფლების დაცვას და არის მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტი ან პირიქით, მისი დამორჩილებისა და მასზე ზემოქმედების ეფექტური საშუალება.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პოლიტიკას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლების დაცვის თვალსაზრისითაც.

სისხლის სამართლის პოლიტიკა ვერ იქნება სახელმწიფოში არსებული ზოგადი ვითარებისგან იზოლირებული. სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გავლენას ახდენს სახელმწიფოში არსებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი.

სისხლის სამართლის პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია (საკანონმდებლო, სასამართლო, მეცნიერული), სასჯელის საკანონმდებლო ჩამოყალიბება და მისი შეფარდების საკითხი, საერთაშორისო კონვენციების ეროვნულ სისხლის სამართალში გამოყენების საკითხი, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის გავლენა ეროვნულ სისხლის სამართალზე, მეცნიერების გავლენა, მოქალაქეების სამართლებრივი განვითარება, სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, მოქალაქეთა ზნეობრივი კულტურა და ა.შ.

უდაოა თითოეული მათგანისა და ასევე სხვა გარემოების როლი სისხლის სამართლის პოლიტიკაზე.

შეიძლება ვთქვათ, რომ სახელმწიფოს აქვს ისეთი სისხლის სამართლის პოლიტიკა, როგორიც არის ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გავლენის მქონე ფაქტორები.

სხვა კრიტერიუმებთან ერთად ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკა ნამდვილად წარმოადგენს სახელმწიფოს სამართლებრივი განვითარების მახასიათებელს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
3. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2018;
4. ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999;
5. მ. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, თბ., 2010;
6. გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2010;
7. ო. გამყრელიძე, ხევისბერი გოჩას ტრაგედია, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998;
8. ე. ფუტკარაძე, ეკონომიკური დანაშაულის საკითხისათვის, გთსუ-ს სამეცნიერო შრომათა კრებული, №10, 2020, გვ.34-41;

ადამიანური კაპიტალის კვლევა და თანამედროვე ტექნოლოგიები: პანდემიამდე და მის შემდეგ

ზურაბ მუშკუდიანი[1]
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
პროფესორი
გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5
+995 599 80 06 04
zurab.mushkudiani@gttu.edu.ge

ნათია სურმანიძე
ეკონომიკის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5
+995 571 138 338
natia.surmanidze@gttu.edu.ge

ხათუნა თაბაგარი
ასისტენტ პროფესორი
გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5
+995 591 45 24 43
khatuna.tabagari@gttu.edu.ge

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია ადამიანური კაპიტალის მენეჯმენტის ტრანსფორმაცია Covid-19-ის პანდემიამდე და პანდემიის შემდგომ პერიოდში. თანამედროვე ადამიანური რესურსების მენეჯმენტი მჭიდრო კორელაციაშია ტექნოლოგიებთან, რამაც პანდემიის ზეგავლენით კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა. თუ მანამდე ტექნლოგიები აქტიურად გამოიყენებოდა ტალანტების მოძიების, ანალიტიკის და რეკრუიტინგისათვის, დღეს უკვე ქლაუდ ოფისების და ვირტუალური სამუშაო სივრცეების სრული ბუმია. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობა და განვითარების ტენდენცია პანდემიამდე და მის შემდგომ. პროცესი დიდ გამოწვევად გვევლინება კომპანიებისთვის ზომის მიხედვით და შრომის პროდუქტიულობის გათვალისწინებით, უფრო ხელსაყრელ სიტუაციაში არიან მსხვილი კომპანიები.

საკვანძო სიტყვები: ნიჭიერთა ანალიტიკა, ტექნოლოგიები, ადამიანური რესურსები, მართვა.

[1] პასუხისმგებელი ავტორი.

TALENT ANALYTICS AND MODERN TECHNOLOGIES: BEFORE AND AFTER PANDEMY

ZURAB MUSHKUDIANI[1]
Doctor of Business Administration
Professor
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Tbilisi, Samghereti st. №5
+995 599 80 06 04
zurab.mushkudiani@gttu.edu.ge

NATIA SURMANIDZE
Doctor of Economics
Associate professor
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Tbilisi, Samghereti st. №5
+995 571 138 338
natia.surmanidze@gttu.edu.ge

KHATUNA TABAGARI
Assistant professor
Doctor of Economics
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Tbilisi, Samghereti st. №5
+995 591 45 24 43
khatuna.tabagari@gttu.edu.ge

Resume

The paper presents the transformation of human capital management before the Covid-19 pandemic and the post-pandemic period. Modern human resource management is closely correlated with technology, which has acquired an even wider scale under the influence of the pandemic. If before technologies were actively used for talent search, analysis, and recruiting, today there is a complete boom of cloud offices and virtual workspaces. The aim of the paper is to present the importance of human capital (talent analytics) and the development trend before and after the pandemic. The process is a big challenge for companies due to their size and labor productivity large companies are in a more favorable situation.

Keywords: Talent analytics, technologies, human resources, management.

შესავალი

ადამიანური რესურსების მართვა ახალი არ არის. ძველთაგანვე არმიებისთვის და ორგანიზებული ჯარებისთვის უკვე საჭირო იყო პერსონალის მიზიდვა, შერჩევა, სწავლება და მოტივირება. მაგრამ საკადრო საკითხები მმართველი ფენის საქმეს მხოლოდ ნაწილობრივ წარმოადგენდა. ეს ასე იყო 1880 წლამდე. პოსტინდუსტრიული რევოლუციის შედეგად აღმოცენებულ ბევრ ახალ ქარხანაში უკვე გაჩნდა შრომის ორგანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

[1] A corresponding author.

1900 წლისათვის, დამსაქმებლებმა შექმნეს პირველი „დაქირავების ოფისები“ (“hiring offices”), სატრენინგო პროგრამები და საქარხნო სკოლები. ამრიგად, დაიწყო პერსონალის მართვა. თანამედროვე ეკონომიკურმა და დემოგრაფიულმა ტენდენციებმა მეტად გაართულა თანამშრომელთა მოძიება, დაქირავება და მოტივირება.უფრო მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილების არსებობა ნიშნავს, რომ დამსაქმებლები კარგად უნდა ფლობდნენ თანამშრომელთა (ადამიანური კაპიტალის) ცოდნის, უნარ-ჩვევების და გამოცდილების მართვის წესებს და ეს უნდა ხდებოდეს ახლებური და თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტების მეშვეობით. ამას გარდა, ტექნოლოგიური ტენდენციები, რომლებიც მოიცავენ მობილურ და სოციალურ მედიებს, ცვლიან დამსაქმებლების მიერ თანამშრომელთა რეკრუტირების, შერჩევის, სწავლების, შეფასებისა და მოტივირების ამოცანებს [1] [2] [3] [4]. გარკვეული თვალსაზრისით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ჩვენს თვალწინ ჩნდება.

ტექნოლოგიები თანამედროვე ადამიანური რესურსების მენეჯმენტში

შესაძლებელია ითქვას რომ სწორედ ტექნოლოგიები განსაზღვრავდნენ ყველაზე მეტად თანამედროვე ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ტენდენციებს [5], მაგალითად, საკონსულტაციო ფირმა Accenture-ის შეფასებით, სოციალური მედიის საშუალებები, როგორიცაა LinkedIn-ი, მოკლე დროში აწარმოებენ ახალ რეკრუტთა (შერჩევის) 80% -ს, და ეს ხდება ხაზობრივი მენეჯერების მიერ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის გვერდის ავლით [6]. LinkedIn- ის გარდა, დამსაქმებლები ხშირად იყენებენ Twitter-ს და Facebook-ს, და ახალ მობილურ აპლიკაციებსაც, მაგალითად, დასაქმებულის ადგილმდებარეობის მონიტორინგისა და ციფრული ფოტოების უზრუნველსაყოფად. გამოხმაურებების, ხუმრობებისა და თამაშებისთვის დამახასიათებელი მიზანდასახულობა თანხვედრაში მოდის ბევრ ახალ სასწავლო-სატრენინგო აპლიკაციასთან, და ისეთი ვებ-საიტები, როგორებიცაა Knack, Gild, და True Office საშუალებას აძლევს დამსაქმებელს დანერგოს თამაშის ფუნქციები სწავლების პროცესში, ეფექტურობის შეფასებასა და რეკრუტირებისას.

Cloud computing და უფრო ინსტიტუციური მომხმარებლის ინტერფეისები საშუალებას მისცემს დამსაქმებლებს განახორციელონ მონიტორინგი და ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს გუნდის მიზნების განხორციელება და აჩვენოს შეფასებითი გამოხმაურებები რეალურ დროში. საბოლოო ჯამში იქმნება მონაცემთა ანალიტიკა, რომელიც გულისხმობს სტატისტიკურ მეთოდებს, ალგორითმებს და მონაცემებს შორის ურთიერთკავშირის გამოვლენასა და პრობლემების გადაჭრას.

ასეთ პრობლემებს განეკუთვნება, მაგალითად: „როგორია იდეალური კანდიდატის თვისებები?“ ან „როგორ შემიძლია წინასწარ მივხვდე საავრაუდოდ რომელი ჩემი საუკეთესო თანამშრომელი მოიქცევა განსხვავებულად ან გამექცევა? მონაცემთა ანალიტიკას ნიჭიერთა ანალიტიკასაც უწოდებენ (talent analytics).

ადამიანური რესურსების ანალიტიკის (შემდგომში ნიჭიერთა ანალიტიკის) ტერმინი პირველად გამოჩნდა 2004 წელს აკადემიურ ლიტერატურაში. ანალიტიკა განიმარტება, როგორც კომპიუტერული მეცნიერების, გადაწყვეტილების მიღებისა და რაოდენობრივი მეთოდის ერთობლიობა, რომელმაც უნდა დააორგანიზოს, გაანალიზოს და განმარტოს მონაცემთა დიდი მასალა. ადამიანურ რესურსებთან მიმართებაში კი ვიღებთ თანამედროვე ტერმინს ადამიანური რესურსების ანალიტიკას. ეს ტერმინი, ასევე, გამოიყენება ხალხის, ნიჭიერთა ან სამუშაო ძალის ანალიტიკის აღმნიშვნელად. ნიჭიერთა ანალიტიკა, გარდა იმისა რომ აადვილებს კადრების შერჩევას მენეჯერთათვის, ასევე, ეხმარება ბიზნესს გამოიანგარიშოს

გაყიდვების პროდუქტიულობა (სარგებლიანობა), სამუშაო ძალის ეფექტიანობა და მოახდინოს სამუშაო ძალის ღირებულების ოპტიმიზება სარგებლის გაზრდის მიზნით [7].

talent analytics ფუნდამენტურად ცვლის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ ეძებს დამსაქმებელი ახალ თანამშრომელს: ის აღარ ან ნაკლებად აქცევს ყურადღებას თუ რომელი სკოლა დაამთავრა კანდიდატმა, მის მიერ მიღებულ ქულებს, შეფასებებსა და რეკომენდაციებს. რეტროსპექტრულმა talent analytics-ის კვლევამ გვიჩვენა, რომ ნაცვლად ზემოხსენებულებისა, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შემდეგი: რამდენად გრამატიკულად სწორად იყო შედგენილი მათი რეზიუმეები, რომ მათ არ მიატოვეს სკოლა ხარისხის მიღებამდე, ისინი წარმატებულები იყვნენ თუ არა წინა სამუშაოზე და შეძლეს თუ არა წარმატების მიღწევა ბუნდოვანი მითითებებისა და ინსტრუქციების პირობებშიც [8].

ნიჭიერთა ანალიზის (Talent Analytics) პრაქტიკული შემთხვევები

ტექნოლოგიური ცვლილებები გავლენას ახდენენ სამუშაო ადგილების ხასიათზეც [9] [10]. როდესაც საუბრობენ „ტექნოლოგიურ სამუშაოზე“, ყველა წარმოიდგენს სამუშაოს Apple-სა და Google-ში. მაგრამ ტექნოლოგიები ეხება ყველა სახის სამუშაოს: ერთი კოლეჯის კურსდამთავრებული დაინიშნა გუნდის ლიდერად ავტომატიზებული მანქანების მქონე ქარხანაში. მას და მის გუნდს შეყავდა ბრძანებები კომპიუტიზირებულ დანადგარებში, რომლებსაც შემდეგ უნდა შეექმნათ ზუსტი ნაწილები [11]; კიდევ ერთი მაგალითის მიხედვით, ”Wall Street Journal“-ის ცნობით, დაახლოებით 17 მილიონი ადამიანი იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს დისტანციური ადგილიდან სამუშაოდ თვეში ერთხელ მაინც. “Co-working sites” თავაზობს ფრილანსერებს საოფისე ფართს, Wi-Fi-სა და საოფისე ტექნიკის ხელმისაწვდომობას [12]

ვაშინგტონში დაფუძნებული LivingSocial იყენებს ციფრულ ინსტრუმენტს, რომელსაც ეწოდება Rypple, რომლის საშუალებითაც ერთმანეთის ნამუშევარზე კომენტარებს აკეთებენ თანამშრომლები, ფუნქციები მენეჯერებიდან მეტ-ნაკლებად გადანაწილდა მომუშავეებზეც. შემდგომ LivingSocial-ი გამოიყენებს ამ კომენტარებს, როგორც შემავალ ინფორმაციას თანამშრომელთა ოფიციალურად შეფასების მიზნით. Google-ში, როდესაც ვინმე ავსებს აპლიკაციას და ეძებს სამსახურს, აპლიკანტის შესახებ ინფორმაცია ხვდება სისტემაში და დარდება არსებული თანამშრომლების შესახებ ბაზაში არსებულ ინფორმაციას მათი ინტერესების და გამოცდილების გათვალისწინებით [5].

ზოგიერთი ექსპერტის მტკიცებით, თუ ახლანდელი ტენდენციები შენარჩუნდება, HR და +talent მენეჯმენტი გახდება „სრულად ინტეგრირებული სამუშაოს შესრულებასთან და გადნაწილებასთან მთელს ორგანიზაციაში და ის ამგვარად მოგვევლინება ბიზნესის კეთების ყოველდღიურ ნაწილად“ [13].

ციფრული და სოციალური მედიის ინსტრუმენტები ცვლიან მიდგომებს, ერთი მხრივ, თუ როგორ ეძებენ ადამიანები სამუშაოს, და, მეორე მხრივ, თუ როგორ იქცევიან კომპანიები: კარიერის საიტები დამსაქმებლების შიდა სამზარეულოს წარმოაჩენენ ზედმიწევნით გამჭვირვალედ. საიტები როგორიცაა Glassdoor, CareerBliss, CareerLeak და JobBite საშუალებას აძლევენ მის მონაწილეებს გააზიარონ თავიანთი მოსაზრებები ასობით ათასობით დამსაქმებელზე. აქვეა ცალკეული კომპანიების კომენტარები და სახელფასო ანგარიშგებები. ერთ-ერთი ანგარიშის თანახმად, სამუშაოს მაძიებელთა 48% აცხადებს, რომ ისინი იყენებენ Glassdoor-ს. სხვათაშორის ასეთმა გამჭვირვალობამ უბიძგა გონიერ HR მენეჯერებს (და არ მარტო) გაეორმაგებინათ თავიანთი ძალისხმევა იმის დასამატკიცებლად, რომ კომპანიის შიდა პროცესები (დაწინაურებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, ხელფასების განაწილება და ეფექტურობის შეფასება) ობიექტური და სამართლიანია [14].

Talent analytics-ის ალგორითმები ეხმარება მენეჯერებს შეინარჩუნონ ნიჭიერი თანამშრომლები. ისინი ამას აკეთებენ ისეთი ფაქტორების გამოვლენით, როგორიცაა გამოცდილება, კარიერული ზრდა, ეფექტურობა, კომპენსაცია და აქტივობის ხარისხი სოციალურ მედიაში. ყოველივე ეს მიუთითებს მაღალკვალიფიციურ თანამშრომელზე, რომელიც დიდი ალბათობით სამსახურიდან წასვლაზე ფიქრობს, ამასთან, ისინი შეიძლება პასიურ თანამშრომლებსაც ეძებდნენ.

სწავლებისა და ტრენინგების გაუმჯობესების მიზნით talent analytics-ის ინსტრუმენტების საშუალებით ხდება ინფორმაციის სინთეზირება, ერთი მხრივ, სწავლების მართვის სისტემიდან (მაგალითად სასწავლო კურსები) და, მეორეს მხრივ, კლიენტების მართვის სისტემები (მაგ. გაყიდვების ეფექტურობა თითოეული გამყიდველის მიხედვით) იმ მიზნით, რომ განისაზღვროს რომელ სასწავლო კურსს გააჩნია უფრო მეტი გავლენა და რატომ. ამ ყველაფერს კი აანალიზებენ ახალი ანალიტიკური ინსტრუმენტების საშუალებით, რათა გამოავლინონ სამუშაოზე აყვანის ტენდენციები დარგებისა და პროფესიების მიხედვით, აგრეთვე, ინფორმაცია ხელფასისა და შემოსავლების შესახებ.

ამრიგად, გლობალური კონკურენციის, ეკონომიკური და დემოგრაფიული ტენდენციების, მაღალტექნოლოგიურ სერვისებზე გადასვლის ერთი დიდი შედეგი შემდეგში მდგომარეობს: დამსაქმებლები მთავარ აქცენტს აკეთებენ „ადამიანური კაპიტალიდან "მაქსიმალური უკუგების" მიღების აუცილებლობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორიენტაცია აღებული აქვთ იმ სარგებელზე რომელსაც მიიღებენ თანამშრომლების ცოდნიდან, განათლებიდან, პროფესიონალური მომზადებიდან, უნარ-ჩვევებიდან და გამოცდილებიდან.

ნიჭიერთა მონაცემთა კვლევა (Talent analytics)

ნიჭიერი კადრის მოზიდვის გარდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ასევე, ნიჭიერი თანამშრომლების მართვა, მათთვის მუშაობის მოტივაციის შენარჩუნება და ა. შ. პანდემიის გავრცელებამ კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე შემატა ნიჭიერი კადრების მენეჯმენტს. 2020 წლისთვის მსოფლიო შიდა პროდუქტის მოცულობა 3%-ით შემცირდა, კომპანიათა ნაწილი გაკოტრების წინაშე აღმოჩნდა, შესაბამისად, უმუშევრობის ზრდის საშიშროება დადგა თითქმის ყველა ქვეყანაში. ამიტომაც ინვესტიციათა უმრავლესობა მიემართებოდა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. ჩატარებული კვლევის მიხედვით, ნიჭიერი თანამშრომლების შენარჩუნების 4 პირობა გამოიყოფა: კრიტიკული პოზიციის განსაზღვრა, კომპეტენციის ტრენინგი, განვითარება და დაჯილდოების მენეჯმენტი.

აღნიშნული კვლევის მიხედვით, გლობალური ნიჭიერთა მენეჯმენტი დადებით გავლენას ახდენს მნიშვნელოვანი საერთაშორისო ოპერაციების მქონე მსხვილი კომპანიების მუშაობის დონეებზე პანდემიის დროს [15] .

ანალიტიკური სტატისტიკის გამოყენება აქტუალური გახდა კოვიდ-19 პანდემიის პირობებში. ეს კი ბიზნესის განვითარებისა და პროდუქტიულობის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორია. მისი საშუალებით, ასევე, შესაძლებელია ნიჭირების ანალიზის ჩატარება და მიღებული მონაცემების საფუძველზე გონივრული გადაწყვეტილებების მიღება. ანალიტიკის გამოყენების მნიშვნელოვან სარგებელს კომპანიისთვის წარმოადგენს გაუმჯობესებული ეფექტიანობა და პროდუქტიულობა, მაგალითად,

- 2020 წლისთვის საწარმოთა ანალიტიკური პლატფორმები ღრუბელზეა (ქლაუდზეა) დაფუძნებული, 2018 წელს კი იყო 39%,
- 2020 წლისთვის გლობალურ საწარმოთა 65%-მა გაზარდა თავისი ანალიტიკური ხარჯები,
- 2020 წელს, კომპანიათა 57% მიიჩნევს, რომ მათ ყავთ მონაცემთა მთავარი ოფიცერი.

ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებამ საშუალება მისცა ბიზნესს განევითარებინა ან/და გაეუმჯობესებინა სხვადასხვა უპირატესობა [16].

პანდემიის გავრცელების ფონზე ანალიტიკის გამოყენებისას ფიგურა 1-ში მოცემული მნიშვნელობები გაცილებით ნაკლები იყო პანდემიამდე, ხოლო მისი გავრცელების შემდეგ სახეზეა შედეგი. ციფრულ ეპოქაში ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს სამუშაო პროცესების და შედეგების გაუმჯობესებას, რაც თავისთავად გულისხმობს საუკეთესო კადრების შენარჩუნებას (იხ. ფიგ.:1) [16].



ფიგურა 1. ანალიტიკის გამოყენებით მიღებული სარგებელი კომპანიებისთვის 2020 წლისთვის

პანდემია და HRM ტექნოლოგიები

დასაქმების ბაზარზე ტექნოლოგიების შესვლა და ჩართულობა პანდემიამ საოცარი ტემპებით დააჩქარა, რასაც მოწმობს არაერთი სტატისტიკური მაჩვენებელი. მაგალითისთვის Zoom და Teams პლატფორმების პროგრამულ კოლაბორაციებში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა შეადგენს 45 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო Zoom-ის აქციების ფასი პანდემიის დაწყების დღიდან გაიზარდა 300%-ით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პანდემიის პირობებში კომპანიებმა გაიაზრეს თუ რამდენად უსარგებლოა ზოგიერთ პოზიციაზე მომუშავე ადამიანის ოფისში ყოფნით რესურსების ხარჯვა და რამდენად გონივრულია ბევრი პოზიციისთვის დისტანციური ან ჰიბრიდული რეჟიმის უზრუნველყოფა. ამასთან, შრომის ნაყოფიერების თვალსაზრისით, მოქნილი გარემო მეტად პოზიტიურ ტენდენციას ავლენს. Linkedin-ის ბიზნეს კვლევის რეპორტის მიხედვით, სადაც შედარებულია 2021 წლის მდგომარეობა 2019 წელთან, ანუ პანდემიამდე და პანდემიის შემდგომ, ასეთ სტატისტიკას გვაწვდის მოქნილობის თვალსაზრისით:

1. დამსაქმებლების მხრიდან 2019 წელთან შედარებით 2021 წელს 83%-ით არის გაზრდილი სიტყვა „მოქნილი“ სამუშაოს აღწერილობაში, განთავსებული ვაკანსიების მიხედვით
2. კომპანიების ზოგად პოსტებში სიტყვა „მოქნილი“-ს რაოდენობა 343%-ით გაიზარდა
3. გამოხმაურება „მოქნილი“-ს შემცველ პოსტებზე 35%-ით გაიზარდა.

შრომის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტის გაანალიზებით, ასევე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ პანდემიის შედეგად მოქნილი სამუშაო გარემოს დანერგვა კომპანიებისთვის

შრომის ნაყოფიერების ზრდის მიმართ დადებით კორელაციაშია. შემოსავლების დონის მიხედვით რომ მოვახდინოთ მსოფლიოში დასაქმებული ადამიანების კლასიფიკაცია და შევისწავლოთ შრომის ნაყოფიერება პანდემიამდე და პანდემიის შემდგომ, მივიღებთ შემდეგ სურათს (იხ. ფიგ.: 2) [17].



ფიგურა 2. შრომის პროდუქტიულობის ზრდა შემოსავლის ჯგუფის მიხედვით

შრომის მსოფლიო ორგანიზაციამ ეფექტიანობა, ასევე, გააანალიზა სამუშაო საათების შემცირების თვალსაზრისით, სადაც შეისწავლა 26 ქვეყნის სხვადასხვა ზომის კომპანია (იხ. ფიგ:2) [17].



ფიგურა 3. დასაქმებულების პროცენტული ცვლილება და სამუშაო საათები 2019-20 წლებში დაწესებულების ზომის მიხედვით

ILOSTAT-ის მონაცემები სამუშაო საათების შესახებ 26 ქვეყნიდან მიუთითებს, რომ მცირე ფირმებმა სამუშაო საათების არსებითად უფრო დიდი შემცირება განიცადეს, ვიდრე დიდმა ფირმებმა. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მცირე კომპანიებმა ნაკლებად ეფექტიანად მოახდინეს ტექნოლოგიური ადაპტაცია ადამიანური რესურსების მართვაში, ვიდრე დიდმა კომპანიებმა. პროცესი ლოგიკურობის ფარგლებშია, რადგან R&D პროცესი ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, შესაბამისად, მცირე კომპანიებს უჭირთ თანხების მობილიზება.

დასკვნა

დასკვნისთვის შესაძლებელია ითქვას, რომ Covid-19-ის პანდემიამ დასაქმების ბაზრის სტრუქტურა მეტად მრავალფეროვანი გახადა. ნიჭიერთა ანალიტიკიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მართვის პროცესი უფრო მჭიდრო კავშირში შევიდა ტექნოლოგიებთან და, შესაბამისად, უფრო მეტად დამოკიდებულიც გახდა მათზე. ოფისი „სახლში“ ტენდენცია მეტწილად ყველა ბიზნესისთვის ადაპტირებადია, თუმცა ის, თუ რამდენად მზადაა კონკრეტული კომპანია შესაბამისი cloud, collaboration flatform, analytic system ან უბრალოდ verified account შესთავაზოს მომხმარებლებს, ფინანსურ მხარეზეა დამოკიდებული. ამიტომ პანდემიის ეფექტი მსხვილი კომპანიებისთვის უფრო დადებითია, ვიდრე მცირე კომპანიებისთვის, რადგან მათ შეძლეს შესაბამისი პოტენციალის გამოყენება. რაც შეეხება მცირე კომპანიებისთვის დადებით ეფექტებს პანდემიის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს უფასო დასაქმების საიტების პოპულარიზაცია საზოგადოებაში, რაც მათთვის რეალურად საუკეთესო თანამშრომლების დაქირავებისა და გადმობირების ძალიან კარგი საშუალებაა, ამასთან, freelance პერსპექტივების როგორც მოძიების, ისე გამოყენების ხელმისაწვდომობა.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] Stone, D. L., Deadrick, D. L., Lukaszewski, J. M. and Johnson, R., „The Influence of Technology on the Future of Human Resource Management,“ *Human Resource Management Review,* pp. 216-231, 2015.

[2] Kaufman, B., „The historical Development of American HRM Broadly Viewed,“ *Human Resource Management Review,* ხმა 24, ნომ. 3, pp. 196-218, September 2014.

[3] Ulrich, D. and Dulebohn, J. H., „Are We There Yet? What's next for HR?,“ *Human Resource Management Review,* ხმა 25, ნომ. 2, pp. 188-204, 2015.

[4] Cohen, D. J., „HR Past, Present and Future: A Call for Consistent Practices and a Focus on Competencies,“ *Human Resource Management Review,* ხმა 25, ნომ. 2, pp. 205-215, 2015.

[5] Abbatiello, A., „The Digital Override,“ Workforce.com, May 2014. [ინტერნეტი]. Available: https://workforce.com/news/the-digital-override. [წვდომილი 28 მაისი 2022].

[6] Sampras, A., „Top Trends That Will Reshape the Future of HR,“ HRMExam, 8 ნოემბერი 2021. [ინტერნეტი]. Available: https://www.hrmexam.com/2021/11/08/top-10-hr-trends-that-will-shape-the-future-of-work/. [წვდომილი 28 მაისი 2022].

[7] Karmańska, A., „THE BENEFITS OF HR ANALYTICS,“ *RESEARCH PAPERS OF WROCLAW UNIVERSITY OF ECONOMICS AND BUSINESS,* ხმა 64, ნომ. 4, pp. 30-39, 2020.

[8] Bersin, J., „Big Data in Human Resources: Talent Analytics (People Analytics) Comes of Age,“ Forbes.com, 15 მარტი 2015. [ინტერნეტი]. Available: https://www.forbes.com/sites/joshbersin/2013/02/17/bigdata-in-human-resources-talent-analytics-comes-of-age/?sh=5db4b52c4cd0. [წვდომილი 28 მაისი 2022].

[9] A third Industrial Revolution, „Economist.com,“ 21 აპრილი 2012. [ინტერნეტი]. Available: https://www.economist.com/ leaders/2012/04/21/the-third-industrial-revolution. [წვდომილი 21 მაისი 2022].

[10] Immelt, J. R., „The CEO of General Electric on Sparking an American Manufacturing Renewal,“ Harward Business Review, მარტი 2012. [ინტერნეტი]. Available: https://hbr.org/2012/03/the-ceo-of-general-electric-on-sparking-an-american-manufacturing-renewal. [წვდომილი 28 მაისი 2022].

[11] Appeal, T., „Better Off a Blue-Collar,“ Wall Street Journal, 1 ივლისი 2003. [ინტერნეტი]. Available:

https://www.wsj.com/articles/SB105701961764602800. [წვდომილი 28 მაისი 2022].

[12] Fox, A., „At Work in 2020," HR Magazine, 1 იანვარი 2010. [ინტერნეტი]. Available: https://www.shrm.org/hr-today/news/hr-magazine/pages/0110fox.aspx. [წვდომილი 28 მაისი 2022].

[13] Weber, L. and Feintzeig, R., „Is It a Dream or aDrag? Companies Without HR," Wall Street Journal, 9 აპრილი 2014. [ინტერნეტი]. Available: https://beingchief.com/companies-without-hr-big-mistake/. [წვდომილი 28 მაისი 2022].

[14] The Economist Intelligence Unit, „The Future of Business: Human Resources, How HR Leaders Are Reinventing Their Roles in Transforming," The Economist Intelligence Unit, London, 2018.

[15] Fernandes, C., Veiga, P. M., Lobo, C. A. and Raposo, M., „Global talent management during the covid-19 pandemic? The Gods must be crazy!," *Thunderbird International Business Review published by Wiley Periodicals LLC,* pp. 1-11, 2022.

[16] Anthony, J., „70 Relevant Analytics Statistics: 2021/2022 Market Share Analysis & Data," Finances Online, 2022. [ინტერნეტი]. Available: https://financesonline.com/relevant-analytics-statistics/. [წვდომილი 28 მაისი 2022].

[17] ILOSTAT – International Labour Organization, [ინტერნეტი]. Available: https://ilostat.ilo.org/data/ . [წვდომილი 28 მაისი 2022].

Covid-19-ის პანდემიის გამოწვევები თანამედროვე მედიის კონტექსტში

მარინე ვეკუა
ჟურნალისტიკის აკადემიური დოქტორი
პროფესორი
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5
+995597000094
marine.vekua@gttu.edu.ge

რეზიუმე

ისტორიის მანძილზე მრავალმა ეპიდემიამ ღრმა და ხანგრძლივი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე – შეიცვალა ცხოვრების წესი, კომუნიკაციის, მუშაობის, მოგზაურობის, დასვენების, სწავლის ფორმები, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური კლიმატი. თანამედროვეობამ კიდევ ერთხელ დააყენა კაცობრიობა მძიმე გამოწვევის წინაშე – Covid -19 თავს დაესხა პლანეტას და ადამიანები, მეტწილად, „გადააბარგდნენ“ ვირტუალურ სივრცეში. მედიას, როგორც მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, დიდი როლი ეკისრება საზოგადოების ინფორმირებაზე პანდემიის შესახებ. განსაკუთრებულად აქტიურად ჩაერთო ახალი მედია მთელი თავისი რესურსითა და ყველა სახის მულტიმედია პლათფორმებით. განსაკუთრებულად აქტიურად ჩაერთო ახალი მედია მთელი თავისი რესურსითა და ყველა სახის მულტიმედია პლათფორმებით. კვლევის პროცესში გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა რამდენიმე კონკრეტული პროფესიული რეკომენდაცია. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უნდა გაძლიერდეს ჟურნალისტთა კორპუსის მომზადება „სამედიცინო“ ჟურნალისტიკის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ COVID-19-ის თემის სწორ გაშუქებას, არამედ გააძლიერებს, ზოგადად, მედიის როლს პანდემიასთან ბრძოლის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: პანდემიის გამოწვევები, მედია, კონტექსტი

CHALLENGES OF THE COVID-19 PANDEMIC IN THE CONTEXT OF MODERN MEDIA

Marine Vekua
Doctor of Journalism, Professor
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Tbilisi, Samghereti st. №5
+995597000094
Marine.vekua@gttu.edu.ge

Resume

Throughout history, many epidemics have had a profound and lasting impact on society – changing lifestyles, communication, work, travel, leisure, learning, psychological, economic, cultural, social climates.

World has once again posed a difficult challenge to humanity – Covid-19 has invaded the planet and humans have, for the most part, been "transferred" into virtual space. The media, as at any stage of its development, plays a major role in informing the public about the pandemic. New media has been particularly actively involved with all its resources and all kinds of multimedia platforms. New media has been particularly actively involved in this process with all its resources and any kinds of multimedia platforms. During the research process

several specific professional recommendations were identified and developed. As conclusion remarks, we should underline that different kinds of trainings for journalists should be organized to improve the quality of "medical" journalism, which will not only provide accurate coverage of COVID-19, but also strengthen the role of the media in general in combating the pandemic.

Keywords: pandemic challenges, media, modern context

Covid-19-ის პანდემიის გამოწვევები თანამედროვე მედიის კონტექსტში

ისტორიის მანძილზე მრავალმა ეპიდემიამ და დაავადებამ ბევრჯერ გამოიწვია მსოფლიო მოსახლეობის შემცირება და ზოგიერთ შემთხვევაში, განახევრებაც კი. ინფექციური დაავადებების აფეთქებებმა ღრმა და ხანგრძლივი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე მთელი ისტორიის განმავლობაში. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვნად ჩამოაყალიბა კაცობრიობის ცივილიზაციის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ასპექტები, რომელთა შედეგები ხშირად საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. შავი ჭირი მე-14 საუკუნეში, მე-19 საუკენის ესპანური გრიპი და მე-20 საუკუნის ბოლოდროინდელი აფეთქებები, მათ შორის, აივ/შიდსის პანდემია ახდენდა გავლენას ცივილიზაციის ისტორიის განვითარებაზე.

თანამედროვეობამ კიდევ ერთხელ დააყენა კაცობრიობა მძიმე გამოწვევის წინაშე – Covid - 19 თავს დაესხა პლანეტას და შეცვალა ადამიანების დღის წესრიგი – ცხოვრების წესი, კომუნიკაციის, მუშაობის, მოგზაურობის, დასვენების, სწავლის ფორმები, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური კლიმატი. ადამიანები, მეტწილად, „გადააბარგდნენ“ ვირტუალურ სივრცეში.

მედიას, როგორც მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, დიდი როლი ეკისრებოდა და ეკისრება საზოგადოების ინფორმირებაზე – გადამოწმებული, უტყუარი ფაქტების მიწოდებაზე, რათა ადამიანებმა შეძლონ სწორი წარმოდგენებისა და ორიენტირების ჩამოყალიბება, რადგან, პირველ რიგში, ბრძოლამ Covid-19-ის პანდემიის წინააღმდეგ მეტად ეფექტიანი სახე მიიღოს, ადექვატურად უპასუხოს საზოგადოებრივ რეზონანსს, გახადოს საციალური ქსელების მომხმარებლები მეტად აქტიურები. ამ პროცესში, ცხადია, განსაკუთრებულად აქტიურად ჩაერთო ახალი მედია მთელი თავისი რესურსითა და ყველა სახის მულტიმედია პლათფორმებით.

Covid-19-ის პანდემიის გაშუქების პროცესში უნდა გამახვილდეს ყურადღება ორ მნიშვნელოვან საკითხზე: რა შუქთება და როგორ, ანუ თემატური მრავალფეროვნება და გაშუქების ფორმები და მეთოდები.

რაც შეეხება თემატურ მხარეს, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი მიმართულება: პანდემიის არსი, სიახლეები, სტატისტიკა, მედიცინის მიღწევები, მთავრობის სტრატეგია და ტაქტიკა პანდემიის კრიზისის მართვის პროცესში, შესაბამისი მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, მეცნიერების მიღწევები, სხვდასხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება, კამპანიების პოპულარიზაცია, პანდემიის გლობალური მნიშვნელობა, ვაქცინებისა და პრევენციის თემა და სხვა.

Covid-19-ის პანდემიის გაშუქების ფორმებსა და მეთოდებებთან დაკავშირებით, შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე პროფესიული რჩევა, რომელიც უკვე დაგროვდა საერთაშორისო ჟურნალისტურ პრაქტიკაში:

- სენსაცია არ არის წამყვანი და გადამწყვეტი. ტექსტის დაწერამდე წშესასწავლია სრული კვლევა ან სტატია. კვლევის შეჯამებაში წარმოდგენილი დასკვნები შეიძლება იყოს არასრული. სამედიცინო ჟურნალები ჩვეულებრივზე სწრაფად განიხილავენ და აქვეყნებენ სტატიებს, ამიტომ დასკვნების კრიტიკული შეფასების უნარი აუცილებელია ინფორმაციის ზუსტად გადაცემისათვის. არ უნდა გავრცელდეს შეტყობინებები მხოლოდ პრესრელიზებზე დაყრდნობით, რისთვისაც ჟურნალისტმა, რომელიც პანდემიის გაშუქებითაა დაკავებული, ყოველთვის უნდა წაიკითხოს სრული სამეცნიერო კვლევა ან სტატია.

- დაუშვებელია უპირობოდ წარმოდგენილი მონაცემების ნდობა. მკაფიო უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების პოზიციები და მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ჟურნალისტი მზად იყოს კითხვების დასმისთვის. შეძლებისდაგვარად, ჟურნალისტმა უნდა მოითხოვოს წინა მონაცემები და ყოველთვის დეტალურად აღწეროს მის მასალაში კვლევითი მუშაობის მეთოდები.

- გამოსაყენებელია მხოლოდ სანდო წყაროები. ნებისმიერი ინფორმაციის სიზუსტე დამოკიდებულია მის წყაროზე. ჟურნალისტმა უნდა გამოიყენოს რეპუტაციის მქონე ინფორმირებული წყაროები COVID-19-ის გასაშუქებლად. ახალი ვაქცინების ან კვლევების შესახებ ინფორმაციის მიღებისას ჟურნალისტი უნდა დაუკავშირდეს ეროვნულ სამეცნიერო ცენტრების საინფორმაციო განყოფილებებს ავტორიტეტული კომენტარებისთვის.

- აუცილებლად მისათითებელია ინფორმაციის წყარო. ჟურნალისტმა უნდა მიუთითის წყარო სამეცნიერო კვლევების, სტატიების, ვაქცინების შემუშავების შესახებ ინფორმაციის მიღებისას. მითითებული ინფორმაციის წყარო გაზრდის შეტყობინებების სანდოობასა და მკითხველს მისცემს დამატებით ცოდნას ამ თემაზე.

- უნდა სწორად განისაზღვროს ტერმინოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სამეცნიერო ფრაზა ხშირად გამოიყენება რეპორტაჟებში, სტატიებში COVID-19- სა და ვაქცინების შესახებ, მნიშვნელოვანია თითოეულ მასალაში მეცნიერული ტერმინების განსაზღვრა (თუნდაც, ტერმინების ლექსიკონზე დაყრდნობით), რათა მკითხველმა შეძლოს არსის სწორად გაგება.

- ენა უნდა იყოს მარტივი და მკაფიო. მკითხველთა, მსმენელთა, მაყურებელთა უმეტესობისთვის მეცნიერული გამონათქვამები შეიძლება არ იყოს გასაგები. ზოგიერთი ტერმინის განმარტება შეიძლება მოცემული იყოსტექსტში, მაგრამ ჟურნალისტი უნდა შეეცადოს ახსნას ისინი მარტივი გამონათქვამებით ისე, რომ ყოველი სიტყვა გახდეს გასაგები.

- ასახსნელია კვლევის ეტაპი. ზოგიერთ კვლევას შეუძლია წამახალისებელი შედეგების მოტანა მხოლოდ წინასწარი მონაცემების საფუძველზე. უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ კვლევამ ან ანგარიშმა გაიარა თანხმობა და აუცილებლად მიეთითოს, თუ რა ეტაპზეა კვლევა. ადრეული, ან შუალედური სტადიის კვლევა არ უნდა წარედგინოს ისე, როგორც დასკვნითი და საბოლოო.

- საჭიროა ფაქტობრივი მონაცემების გაცნობა. ათობით ვაქცინა განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა ნებისმიერ დროს. ვაქცინის, ან კვლევის ანგარიშის გამოქვეყნებისას მნიშვნელოვანია მიეთითოს პროცესში მონაწილე ადამიანების რაოდენობა და კვლევის ეტაპი.

- უნდა განიმარტოს ვაქცინაციის გვერდითი ეფექტები. მსოფლიოში არცერთ ვაქცინას არ ჩაუტარებია კლინიკური კვლევები და წინასწარი კვალიფიკაცია ისე სწრაფად, როგორც ახალი COVID-19 ვაქცინების შემთხვევასი. ნებისმიერი ვაქცინის პოტენციური გვერდითი ეფექტების მკაფიოდ გამოვლენა, ასევე, კლინიკური კვლევის მონაწილეებს შორის გვერდითი ეფექტების გარკვევა დაეხმარება საზოგადოების ინფორმირებას და შეშფოთების დაძლევას.

- დარწმუნედის მიზნით გამოსაყენებელია შესაბამისი ვიზუალური მასალები. ვაქცინის თემაზე გამოყენებული ვიზუალის არჩევანი მნიშვნელოვანია. არ უნდა შეეწყოს ხელი ვაქცინების მიმართ შიშის დანერგვას. ამიტომ, თავიდან უნდა იქნას აცილებული, მაგალითად, ტირილი, შეშფოთებული პაციენტები, ცრემლები, ან გადაჭარბებული ზომის ნემსების გამოსახულება. ვიზუალი უნდა მოიცავდეს ყველა კატეგორიის მკითხველს: ვაქცინის შემქმნელებს, ჯანდაცვის პროფესიონალებს და პაციენტებს.

- გასათვალისწინებელია საზოგადოების დემოგრაფიული მდგომარეობა. ყველა ვაქცინა ერთნაირად ეფექტური არ არის ყველა პოპულაციაში. კლინიკურ კვლევებში ვაქცინის ეფექტურობის ანგარიშებმა უნდა გამოავლინოს კვლევის მონაწილეების დემოგრაფიული მონაცემები. ეს ინფორმაცია, ჩვეულებრივ, გვხვდება კვლევის ანგარიშის სტატისტიკურ თუ სხვა მონაცემებში.

- ხაზი უნდა გაესვას ვაქცინების სარგებელს. ინფორმაცია COVID-19– ის წინააღმდეგ პოტენციურად ეფექტური ვაქცინების შესახებ მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც უკვე გადაწყვიტა აცრა, მაგრამ პანდემიის დროს, მათ შორის, გავრცელებული დეზინფორმაციის პირობებში, ძალზედ მნიშვნელოვანია მკითხველის/მაყურებლის/მსმენელის ინფორმირება ყველა ვაქცინის დადებითი შედეგებისა და უსაფრთხოების შესახებ. ვაქცინაციის აუცილებლობის თაობაზე ეჭვები უნდა გადაილახოს ეპიდემიის კონტროლში ვაქცინების როლის მტკიცებულებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ და სხვა რეკომენდაციების შესასრულებლად, უნდა გაძლიერდეს ჟურნალისტთა კორპუსის მომზადება „სამედიცინო“ ჟურნალისტიკის ხარისხის გასაუმჯობესებლად – ორგანიზება გაეწიოს ვებსემინარებს, ტრეინინგებს, მომზადდეს სპეციალური სასწავლო კურსები ჟურნალისტიკის სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. ეს, და სხვა მსგავსი აქტივობები, ხელს შეუწყობს არა მხოლოდ COVID-19– ის თემის სწორ გაშუქებას, არამედ გააძლიერებს, ზოგადად, მედიის როლს პანდემიასთან ბრძოლის პროცესში.

LIST OF REFERENCES

1. Arriaga P. , Esteves F. , A. Pavlova and Piçarra N., Coronavirus Disease (COVID-19): The Impact and Role of Mass Media During the Pandemic, https://www.frontiersin.org › research-topics 5.
2. Chouhan V., The Impact and Role of Social Media for Consciousness of Covid-19 pandemic, https://www.amity.edu › jccc , 2021
3. Copeland J., The role of traditional news media in the age of COVID-19, https://www.fims.uwo.ca › news ›, 2020
4. Karam J., The role of Radio and Television during COVID-19 pandemic, https://www.itu.int › ITU-D ›, 2021
5. Koon E., Ch. Hsien Lim,…,The Role of Social Media during the COVID-19 Pandemic, https://www.annals.edu.sg, 2021
6. Kopecka-Piech K., Bartłomiej Łódzki, The Covid-19 Pandemic as a Challenge for Media and Communication Studies, https://www.routledge.com, 2022
7. Mach, K.J., S. Reyes, R., Pentz, B. et al., News media coverage of COVID-19 public health and policy information. Humanit Soc Sci Commun 8, 220, https://doi.org/10.1057/s41599-021-00900-z ,2021
8. Macleod H., COVID-19 and the media: A pandemic of paradoxes, https://www.mediasupport.org › uploads › 2021

სწავლების ინოვაციური ტექნოლოგიები თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოში

ლეილა დიასამიძე
ფილოლოგიის დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, 6010
რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35
+995557259704
leila.diasamidze@bsu.edu.ge

ანოტაცია

თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოში უახლესი პედაგოგიური ტექნოლოგიების საჭიროება მოითხოვს სასწავლო-მეთოდური პროდუქციის განახლებასა და ციფრული საუკუნის სახელმძღვანელოების ელექტრონული ფორმების შექმნას.

სტატიაში განიხილება ციფრული საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის, მოთხოვნების, ტექნოლოგიებისა და მეთოდიკის შემუშავების საკითხები. საუბარია ახალი ელექტრონული სასწავლო სახელმძღვანელოს შექმნაზე, რომელიც პრაქტიკულად და ინფორმაციულად პასუხობს თანამედროვე სწავლებისა და განათლების მოთხოვნებს. ხაზგასმულია, რომ უმაღლესი განათლების დიგიტალიზაცია ვერ შეცვლის მის სტანდარტებს მასალის ელექტრონულით ჩანაცვლებით: უკანასკნელს არ აქვს გავლენა სასწავლო პროგრამების შესაბამის საგნობრივ შინაარსზე. ციფრული საგანმანათლებლო გარემო არის სწავლების ტრადიციული მოდელის დამატება, მაგრამ არა მისი ჩანაცვლება.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ტექნოლოგიები, ელექტრონული სახელმძღვანელო, განათლების რეფორმა, ციფრული საგანმანათლებლო გარემო.

INNOVATIVE LEARNING TECHNOLOGIES IN MODERN EDUCATIONAL ENVIRONMENT

Leila Diasamidze
PhD, Assistant Professor
Batumi Shota Rustaveli State University
32/35 Rustaveli/Ninoshvili st.
Batumi, 6010
+995557259704
leila.diasamidze@bsu.edu.ge

Abstract

The need for the latest pedagogical technologies in the modern educational environment requires updating educational and methodological products and creating digital forms of textbooks of the digital age. This article discusses the issues of definition, requirements, technology and methodology for the development of digital educational resources. In particular, we are talking about the creation of a new digital textbook that would practically and informatively meet the requirements of modern teaching and education.

It is emphasized that the digitalization of higher education does not change its standards by replacing its content with the digital one: the latter does not in any way affect the subject content of curricula. The digital learning environment is a complement to, but not a replacement for, the traditional learning mode.

Keywords: digital technologies, electronic textbook, education reform, digital educational environment.

შესავალი

ნაშრომის მიზანია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების საგანმანათლებლო შესაძლებლობების განხილვა: ელექტრონული სასწავლო კურსის პროექტირება და შექმნა, რომელიც მიმართულია, კერძოდ, ინგლისური ენის შესწავლაზე. განათლების პროცესის ინფორმატიზაციის გაჩენასთან ერთად წარმოიშვა მისი ამოცანების გადახედვის საჭიროება. ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა გახდა სასწავლო პროცესის პროგრამულ-მეთოდური უზრუნველყოფის დახვეწა, განათლებაში უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება. ინფორმაციულ ტექნოლოგიაში ჩვენ ვგულისხმობთ ინფორმაციის ორგანიზების, დამუშავების, გავრცელებისა და გამოყენების მიზნით მისი გარდაქმნის პროცედურათა სისტემას.

კომპლექსური სასწავლო პროდუქტები ან ელექტრონული სახელმძღვანელოები – პროგრამული საშუალებების ეს კომბინაცია, უმეტესწილად, სასწავლო პროცესის ტრადიციულ ფორმებში ავტომატიზაციის საშუალებას იძლევა. ტერმინში «ელექტრონული სახელმძღვანელო» (ინგლისურენოვანი დასახელება – electronic textbook, digital textbook, შემოკლებით – e-textbook), ჩვენ ვგულისხმობთ არა ბეჭდური სახელმძღვანელოს ელექტრონულ ვერსიას, არამედ სრული სასწავლო კურსის ავტონომიურ ვერსიას. მას გააჩნია სახელმძღვანელოს ბეჭდური ვერსიის ყველა უპირატესობა და, ამავდროულად, ის იძლევა თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების მთელი დიდაქტიკური მასალის ყველაზე სრულად და ეფექტურად რეალიზების შესაძლებლობას. ახალი თაობის სახელმძღვანელოები შეიძლება გამოვიყენოთ უმაღლესი სკოლის სასწავლო პროცესში სწავლების დაუწრებელი ფორმის შემთხვევაში, სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობისთვის. გარდა ამისა, იგი დისტანციური სწავლების სხვადასხვა ფორმების საფუძველიც შეიძლება იყოს, რაც შორეული რეგიონებიდან სტუდენტებს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას მისცემს.

ამრიგად, თანამედროვე სამყარო მოითხოვს ციფრულ უნარებს, ხოლო სწავლების პროცესი უფრო სწრაფად, ეფექტურად და საინტერესოდ მიმდინარეობს ახალი ტექნოლოგების გამოყენებით. ციფრული ტექნოლოგიები სასწავლო პროცესის ინდივიდუალიზებას უწყობს ხელს, ავითარებს სტუდენტების დამოუკიდებლობას. თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები პირდაპირ დაკავშირებულია განათლების პროცესის გარდაქმნასთან. ეს ითვალისწინებს, კვალიფიკაციის ამაღლებისა და თვითგანათლების ფარგლებში, უმაღლესი რგოლის პედაგოგების მიერ ახალი კომპეტენციების ათვისებას. აღვნიშნავთ, რომ ციფრული საგანმანათლებლო გარემო სწავლების ტრადიციული მოდელის დამატებაა და არა მისი ჩანაცვლება. უმაღლესმა სკოლამ ყველა სტუდენტს უნდა შესთავაზოს თანაბარი წვდომა ციფრულ საგანმანათლებლო გარემოსთან, შესაბამისად ფართოვდება წვდომა მუდმივად განახლებად ციფრულ კოლექციებთან, სასწავლო-მეთოდურ მასალებთან, ინსტრუმენტებთან და სერვისებთან. განათლების გრძელვადიან პერსპექტივაში ეს იძლევა ხარისხის ამაღლებისა და საგანმანათლებლო პროცესის პერსონიზებულ ორგანიზებაზე გადასვლის შესაძლებლობას.

ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევა. წინამდებარე სტატიაში განიხილება უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების სასწავლო საქმიანობის ორგანიზებისთვის ციფრულ

საგანმანათლებლო გარემოში უახლესი პედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები. ამას უკავშირდება მსჯელობა ზოგადად ელექტრონული სასწავლო სახელმძღვანელოებისა და კერძოდ «ინგლისური ფილოლოგიის» სპეციალობისათვის ელექტრონული სასწავლო სახელმძღვანელოს შექმნის შესახებ. ამჟამად, «ინგლისური ფილოლოგიის» ან „ინგლისური ენის, როგორც დამატებითი სპეციალობის" კურსებისთვის სასწავლო დანიშნულების ციფრული პროდუქტის შექმნაზე მუშაობს Pearson PLC, Macmillan Education, National Geographic Learning-ის გამომცემლობების გამოცდილი სპეციალისტების აპრობირებული გუნდი. მიუხედავად ამისა, თავად პედაგოგებს ყოველთვის ექმნებათ დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოების განახლებისა და საკუთარი ელექტრონული დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნის საჭიროება, რაც აიხსნება ახალი თაობის ციფრული სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობით, რომელიც პრაქტიკულად და ინფორმაციულად უპასუხებს თანამედროვე სწავლებისა და განათლების მოთხოვნებს.

ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში **გამოიყენება** ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიებისა (იკტ) და სასწავლო ინფორმაციის კომპიუტერული ვიზუალიზაციის **მეთოდები**. თვალსაჩინოების უზრუნველყოფა მიიღწევა შესასწავლი საგნის ძირითადი მასალის, რეალისტური გრაფიკული გამოსახულებების წარმოდგენით. აგრეთვე, შესაძლებელია შესასწავლი ობიექტების ტექსტური აღწერილობის ჩანაცვლება/დუბლირება შესაბამისი ვიდეო ფრაგმენტებით, აუდიოჩანაწერებით. ეს ყველაფერი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას საგანმანათლებლო მასალის წარმოდგენის ფორმებისა და ხერხების მრავალფეროვნების ხარჯზე. შერჩეული მასალისა და ინფორმაციის შედარებითი ანალიზი, მათი ტრანსფორმაციის კლასიკური მეთოდები, აუცილებელია ელექტრონული დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნისას.

ელექტრონული დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნისას კანონზომიერია ინტერესი მისი ზოგადი განმარტების, წარმოდგენილი მოთხოვნებისა და შედგენის ტექნოლოგიის მიმართ. ბოლო წლების მოვლენებმა მნიშვნელოვნად დააჩქარა საგანმანათლებლო პროცესში ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ათვისება. დღის წესრიგში დგას ინოვაციური სასწავლო მასალებითა და ელექტრონული გამოცემებით ციფრული საგანმანათლებლო რესურსების ერთიანი კოლექციის შექმნა უმაღლესი განათლების ყველა საგნის პედაგოგისთვის (უვაროვი, 2018:55). ელექტრონული სახელმძღვანელოების შექმნა და დანერგვა – ეს არის ერთ-ერთი პროცესი, რომელიც ხელს უწყობს ინფორმაციული საზოგადოების სოციალურ ცვლილებებთან უმაღლესი განათლების ადაპტირებას და მსოფლიო საგანმანათლებლო გარემოში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ინტეგრაციას (ინფორმატიზაციის პრობლემები..., 2008:191-194).

პანდემიის პირობებში უმაღლესი განათლების მესვეურები აქტიურად უჭერდნენ მხარს დისტანციური გაკვეთილების ტექნიკური უზრუნველყოფისათვის დიგიტალიზაციის პროცესის დანერგვას. პანდემიის შედეგად უმაღლეს განათლებაში ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, კერძოდ, ციფრული საგანმანათლებლო გარემოს შექმნისა და გაფართოების მწვავე აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში. მისი შექმნა ეროვნული საგანმანათლებლო პროექტის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ციფრული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა ითვალისწინებს სამ მომენტს:

1. ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს კომპიუტერულ აღჭურვილობასა და პროგრამულ უზრუნველყოფას, 2. კომუნიკაციურ შემადგენელს, რომელიც პასუხისმგებელია ინტერნეტ კავშირის ორგანიზებაზე (Zoom, Skype და სხვ.) და, ბოლოს, 3. ციფრული საგანმანათლებლო გარემოს შინაარსობრივი ნაწილი. მას მიეკუთვნება ელექტრონული სახელმძღვანელოები და ინტერნეტში არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო კონტენტი.

შედეგები და დისკუსია. უმაღლესი სკოლისთვის ხარისხიანი და გადამოწმებული შინაარსის შემცველი სასწავლო რესურსების წარმოდგენა კომპეტენციაა პროფესორ-მასწავლებლისა, რომელებსაც შეუძლია შექმნას სასწავლო პროგრამების, ენის სტანდარტებისა და დროის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროდუქცია. ზოგადი საგანმანათლებლო მასალის ხარისხობრივი მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ეს საკმაოდ რთული პროცესია. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ციფრული საგანმანათლებლო გარემოსთვის ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურის შექმნისას, სადაც ნებისმიერი სტუდენტი ცოდნის მისაღებად შეძლებს მის გამოყენებას, ჩვენ ვაფართოებთ შესაძლებლობების სფეროს სასწავლო მასალის ოპტიმალური არჩევანისთვის. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტუდენტისა და პედაგოგის ცოცხალი ურთიერთობა კვლავ რჩება ცოდნის ხარისხიანი გადაცემის მნიშვნელოვან პირობად. ელექტრონული დამხმარე სახელმძღვანელოები არის კომპენსაციის ერთ-ერთი ხერხი, სასწავლო პროცესში ჩართული ორივე მხარისთვის, ობიექტური მიზეზით ლექციაზე დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში. ციფრული საგანმანათლებლო გარემო, ცხადია, სრულად ვერ ჩაანაცვლებს ტრადიციულ განათლებას უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში. ის არ ითვალისწინებს მუდმივად სწავლების დისტანციურ ფორმაზე გადასვლას, მხოლოდ მნიშვნელოვნად აფართოებს ტრადიციული სწავლების შესაძლებლობებს და არგებს მას თანამედროვე რეალიებს.

განვმეორდებით, რომ უმაღლესი განათლების დიგიტალიზაცია ვერ შეცვლის მის სტანდარტებს; კონტენტის შეცვლით ელექტრონულ ან ციფრულ სახელმძღვანელოდ, ვერ მოახდენს გავლენას მათ საგნობრივ შინაარსზე. მაგალითად, თანამედროვე ზოგადი ინგლისური ენის კურსის შინაარსი, რასაკვირველია, არ არის დაკავშირებული სასწავლო მასალის ელექტრონულ ან ბეჭდურ წარდგენასთან ისევე, როგორც თავად საგანმანათლებლო ეფექტი არ არის სრულად დამოკიდებული ზოგადად «ინსტრუმენტებზე», რომელთა მეშვეობითაც სტუდენტსა და პედაგოგს უადვილდება მუშაობა და მოსალოდნელი შედეგების მიღება.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პედაგოგებმა შეიძლება შემოგვთავაზონ საკუთარი ეფექტური ინსტრუმენტები ონლაინ ლექციებზე. მათ კომპეტენციაშია ციფრული ინსტრუმენტების – სახელმძღვანელოების ელექტრონული ფორმების ეფექტური სისტემის შექმნა. სპეციალურ ლიტერატურაში ჩვენ ვხვდებით საგანმანათლებლო რესურსის შემდეგნაირ განმარტებას: ელექ-ტრონული სახელმძღვანელო – ჰიპერბმულის, ინტერაქტიული პროგრამულ-მეთოდური კომ-პლექსი, რომელიც სთავაზობს მოსწავლეს მოხერხებული ნავიგაციის და საჭირო თეორიული მა-სალის, პრაქტიკული სამუშაოებისა და საკონტროლო დავალებების არჩევის შესაძლებლობას. მასთან მუშაობა ითვალისწინებს პრაქტიკული დავალებების შესრულებაში დახმარების მიღებას, თვითკონტროლის წარმართვას და განვლილი მასალის შეჯამებას (პაშჩენკო, 2013: 80). სახელმძღვანელოების ელექტრონული ფორმები – მზა მედია-რესურსები გრიფირებული სახელ-მძღვანელოების ტექსტებით, სავარჯიშოებითა და უამრავი სასარგებლო ფუნქციით. ამ პროექტის ფარგლებში სტუდენტები შეძლებენ არსებული ბეჭდური სახელმძღვანელოების შესაბამისი ელექტრონული ფორმებისა და ელექტრონული რესურსების ბიბლიოთეკის ორგანიზაციული და მეთოდური მხარდაჭერის უფასოდ მიღებას.

ციფრული საგანმანათლებლო რესურსების, მათ შორის, ელექტრონული სახელმძღვანე-ლოების შემუშავება, ჩვეულებრივ, ორი გზით მიმდინარეობს. პირველი გზა – ციფრული საგან-მანათლებლო რესურსის პროგრამული აწყობა ტექსტის, ვიზუალური საშუალებების, აუდიო და ვიდეო მასალის მომზადებული ფრაგმენტებისგან. ციფრული საგანმანათლებლო რესურსის შემუშავების მეორე გზა ეს არის ავტომატიზებული პროექტირების სისტემების გამოყენება. მსგავსი პროექტირების შემთხვევაში გამოყოფენ საქმიანობის შემდეგ მიმართულებებს (ვაგრამენკო,

2011:15-16): პრობლემის იდენტიფიცირება, კონცეპტუალიზება, ფორმალიზება, რეალიზება და ტესტირება.

პიველ ეტაპზე საჭიროა პროგრამისტების სამუშაო ჯგუფის შედგენა, რომლებმაც იდენტიფიცირების პირველ ეტაპზე უნდა განსაზღვრონ მათი როლები, დაახასიათონ დასმული ამოცანები, მიზნები და რესურსები. კონცეპტუალიზაციის ეტაპზე პედაგოგი განსაზღვრავს რესურსში წარმოდგენილი ინფორმაციის სახეობებს და იმას თუ რა კავშირები დამყარდება ამ რესურსის შემადგენლებს შორის.

ფორმალიზების ეტაპზე შეისწავლება დიდაქტიური მასალების წარდგენის სცენარები, შეფასებისა და უკუკავშირის პრინციპები. შემდეგ დგინდება ციფრულ რესურსთან სტუდენტებისა და მოსწავლეების ურთიერთმოქმედების ალგორითმი. პროექტის რეალიზება განსაზღვრავს ავტომატიზებული სასწავლი სისტემის მოქმედების სცენარს. ტესტირების ეტაპზე სთავაზობენ ამოცანებს რესურსის გამოსაცდელად, რათა გამოვლინდეს მისი შესაძლო სუსტი მხარეები.

საჭიროა რამდენიმე სიტყვის თქმა ციფრული საგანმანათლებლო რესურსების შემუშავების მეთოდიკაზე. ის შეიცავს შემდეგ ეტაპებს:

წინასწარი სამუშაო, შინაარსის მომზადება, დიზაინი, წარმოება, ტესტირება და ბოლოს, ელექტრონული სახელმძღვანელოს რეგისტრაცია სერტიფიცირებით.

1.**წინასწარი მომზადება** შეიცავს ციფრული საგანმანათლებლო რესურსისადმი დიდაქტიური და ტექნიკური მოთხოვნების შემუშავებას.

2. **შინაარსის მომზადებისას,** ჩვეულებრივ, განიხილება ორი ქვესისტემა, – ინფორმაციული და პროგრამული. ელექტრონული სასწავლო რესურსის ინფორმაციულ ნაწილში შედის:

კურსის ავტორის პრეზენტაცია (ფოტოთი), კურსის შესწავლის მეთოდური რეკომენდაციები, სტრუქტურირებული სასწავლო მასალები, მულტიმედიის მთელი სპექტრის ილუსტრირება.

3. **დიზაინის ეტაპზე** ზუსტდება სასწავლო რესურსის ზოგადი სტრუქტურა და იქმნება დეტალური სცენარი კურსის შინაარსის, თითოეული ფანჯრისა და კონტექსტური მენიუს გარეგნული იერის დამუშავებით. განისაზღვრება ნავიგაციისა და სტუდენტებთან უკუკავშირის ზოგადი სტილი და სტრუქტურა.

4. **წარმოების ეტაპზე** ორგანიზდება ელექტრონული დამხმარე სახელმძღვანელოს სხვადასხვა ნაწილის ურთიერთმოქმედება; მასალა ლაგდება მოდულებად, კეთდება ბმულები, ხდება გრაფიკისა და ხმის გაციფრულება ყველა ფანჯრის გაფორმებით.

5. **ტესტირება** მიმდინარეობს წარმოების თითოეულ ფაზაზე. ის მიმართულია პროგრამული შეცდომების გამოვლენაზე და შემაჯამებელი პროდუქტის დიდაქტიკურ მიზნებთან თანხვედრის შემოწმებაზე. ტარდება ექსპერიმენტულ ჯგუფებში ავტორების, მეთოდისტებისა და დეველოპერების მეთვალყურეობის ქვეშ.

6. **ელექტრონული სახელმძღვანელოს რეგისტრაცია** აუცილებელია ციფრული საგანმანათლებლო რესურსის სამართლებრივი დაცვისთვის. სერტიფიცირება აგრეთვე ადასტურებს რესურსის ხარისხს და ხორციელდება აკრედიტებული ორგანიზაციების მიერ.

ელექტრონული დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოს წარმატებითი სერტიფიცირებისათვის იგი მისი თვისებების ერთობლიობით უნდა შეესაბამებოდეს ზოგიერთ **ზოგად მოთხოვნას**.

არსებობს გარკვეული მოთხოვნები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს როგორც ელექტრონული დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელო, აგრეთვე სასწავლო მასალის ბეჭდური ვერსიაც. ვინაიდან ბევრ ჩვენგანს მოუწევს სასწავლო-მეთოდური საქმიანობის ამ სახეობით დაკავება, ზედმეტი არ იქნება ვახსენოთ მისი **ძირითადი პრინციპები**. ამრიგად, ელექტრონული სასწავლი მასალები უნდა იყოს სარწმუნო და ეფუძნებოდეს შემოწმებულ მონაცემებს.

ამავდროულად, ის არ უნდა იმეორებდეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომ საცნობარო, კულტუროლოგიურ და სხვა სახის ინფორმაციას.

გარდა ამისა, ციფრული რესურსის შექმნისას უნდა გავითვალისწინოთ დიდაქტიური, ტექნიკური, ორგანიზაციული, ერგონომიური და ესთეტიკური ხასიათის სხვა პრინციპებიც. პირველ რიგში უნდა იქნას დაცული მოცემული ინფორმაციული რესურსის განათლებაში გამოყენების პედაგოგიური მიზანშეწონილობა და მომდევნო ხელმისაწვდომობა . სწავლების ინფორმაციული მოცულობა დგინდება სასწავლო ინფორმაციის შემჭიდროვებისა და სტრუქტურირების ხარჯზე.

სტუდენტთა კომუნიკაციური უნარები კი ვითარდება ერთობლივი სასწავლო, კვლევითი, სამეცნიერო საქმიანობის პირობებში. რაც შეეხება საორგანიზაციო მოთხოვნებს, ციფრული საგანმანათლებლო რესურსის შექმნა და გამოყენება ითვალისწინებს მის შესაბამისობას საგანმანათლებლო დაწესებულების, მოცემულ შემთხვევაში – სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტანდარტებთან, პროგრამებთან და სასწავლო გეგმებთან (ვაგრამენკო, idem). რესურსის მრავალფუნქციური გამოყენება ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ციფრული საგანმანათლებლო რესურსის ადაპტირება სასწავლო პროგრამისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სხვა მოთხოვნებიდან გამომდინარე შედის ორგანიზაციული მოთხოვნების რიცხვში.

ციფრული საუკუნის სახელმძღვანელოების ელექტრონულ ფორმებს აქვთ თავისი უპირატესობები და ძლიერი მხარეები, რომელიც მდგომარეობს ონლაინ რეჟიმში ხელმისაწვდომი სრულფასოვანი სასწავლო კურსის შექმნაში. გარდა ამისა, მსგავსი სახელმძღვანელოები, როგორც წესი, შეიცავს მზა მულტიმედია და ინტერაქტიულ რესურსებს.

უკანასკნელი ითვალისწინებს დავალებების ვარიანტულობას როგორც მთელი ჯგუფისთვის, აგრეთვე ცალკეული სტუდენტებისათვის, ამასთან, მოიცავს შესრულებული დავალებების კონტროლს. სასწავლო კურსის მასალების სტრუქტურებისას სავალდებულო ელემენტია საგანმანათლებლო ვიქტორინები, რომლებიც იძლევა თამაშის ელემენტის შემოტანის შესაძლებლობას და გარდაქმნის სწავლას თამაშის პროცესად ტესტების, პასუხის სისწრაფეზე ორიენტირებული გამოკითხვების და ა. შ. სახით. და ბოლოს, სახელმძღვანელოები, როგორც ელექტრონული საგანმანათლებლო საშუალებები, შეესაბამებიან საგნის პროგრამას, გაიარეს ექსპერტიზა და მუშაობენ ინტერნეტის გარეშე. ელექტრონული სახელმძღვანელოების სუსტ მხარედ ასახელებენ მულტიმედია ობიექტებისა და სავარჯიშოების დეფიციტს. გარდა ამისა, შეუძლებელია ელექტრონული სახელმძღვანელოების შევსება საკუთარი მასალებით ან ბმულებით. გარდა ამისა, პედაგოგი ვერ იღებს ინფორმაციას სტუდენტების მიერ სავარჯიშოების შესრულების თაობაზე.

სრულფუნქციონალური ელექტრონული სახელმძღვანელო შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: მთავარი და ტესტირების ნაწილისაგან, ტერმინების განმარტებითი ლექსიკონისაგან, ხშირად დასმული კითხვებისაგან და მომზადებული პასუხებისაგან (პაშჩენკო, 2013: 6). მთავარ ნაწილში მოყვანილია საგნის შინაარსი, წარმოდგენილი ჰიპერტექსტის სახით, გრაფიკული ილუსტრაციებითა და ზოგიერთი აუდიო და ვიდეო ფრაგმენტებით. ტესტირების ნაწილი შეიცავს საკონტროლო კითხვებს, სავარჯიშოებსა და დავალებებს მასალის პრაქტიკული შესწავლისათვის, თვით ტესტირებისათვის (დავალებების შესრულების რეკომენდაციებსა და მაგალითებთან ერთად). განმარტებითი ლექსიკონი შეიძლება შეიცავდეს ტერმინებს ძირითადი ნაწილის შესაბამის ადგილებზე ჰიპერბმულის სახით და ამ ტერმინების მოკლე განმარტებებს. დასკვნაში მოყვანილია ყველაზე ხშირად დასმული კითხვები და ვრცელი პასუხები მათზე.

სრულფუნქციონალური ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნა ციფრული საგანმანათლებლო გარემოს შექმნისთვის შეუძლებელია მის სხვა შემადგენელთან – კომუნიკაციურ ნაწილთან მომართვის გარეშე, რომელიც პასუხისმგებელია ინტერნეტში ურთიერთობის ტექნო-

ლოგიის ორგანიზებაზე და სთავაზობს პედაგოგებსა და სტუდენტებს ფართო შესაძლებლობებს საგანმანათლებლო პროცესში საჭირო ინფორმაციის წყაროების შესარჩევად, კერძოდ, ელექ-ტრონული სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოების შედგენისათვის (ელისტრატოვა, 2010:7). გლობალური ქსელი, ელექტრონული საგანმანათლებლო პროდუქტების დამოუკიდებლად შექმნის მიზნით, უზრუნველყოფს პედაგოგების წვდომას ინფორმაციის ვრცელ მოცულობასთან აღნიშნული ინსტრუმენტალური გარემოს მეშვეობით.

ციფრული საგანმანათლებლო რესურსის შემუშავების პროცესი უნდა იყოს დეტალურად დაგეგმილი საკუთარი ტექნოლოგიის გამომყენებელი თითოეული პედაგოგის მიერ, ვინაიდან არ არსებობს ნებისმიერი ტიპის ციფრული საგანმანათლებლო რესურსის შექმნის უნივერსალური ტექნოლოგია. შესაძლებელია გირჩიოთ ზოგიერთი პრინციპული დებულება ციფრული საგან-მანათლებლო რესურსის შექმნისთვის. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, გამოიყენება ტრადიციუ-ლი და ადაპტიური მეთოდიკები (პაშჩენკო, 2013:89-90).

ტრადიციული მეთოდიკის ფარგლებში ხდება იერარქიული დაყოფა უფრო წვრილ ქვეთემებად, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის უკეთ დამახსოვრებადი მცირე მოცულობით გაცემას. ადაპტიური მეთოდიკა იძლევა სწავლების უნივერსალური სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა მომზადების სხვადასხვა დონეს.

დასკვნა. შეჯამებისას აღვნიშნავთ, რომ უმაღლესი რგოლის პედაგოგები მუდმივად განაახ-ლებენ დიდაქტიკური მასალების კოლექციებს, ამიტომ სასწავლო-მეთოდური საქმიანობის ახალი სახეობის დაწყებისას საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ზოგად განმარტებას, წარდგენილ მოთხოვნებსა და ელექტრონული დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის ტექნოლო-გიებს. ახალი თაობის ელექტრონული (ციფრული) სახელმძღვანელოს შექმნისას ჩვენ მიერ აქტიურად გამოიყენება სასწავლო ინფორმაციის კომპიუტერული ვიზუალიზაცია, რომელიც ითვალისწინებს ციფრული საგანმანათლებლო რესურსის შედგენას მომზადებული ტექსტის ფრაგმენტებისაგან, ვიზუალური მონაცემებისაგან, აუდიო და ვიდეო მასალისაგან.

LIST OF REFERENCES

1. Pashchenko O.I.,(2013). Informatsionnyye tekhnologii v obrazovanii. Nizhnevartovsk: Izdatel'stvo NVGU. [Pashchenko O.I., Information technologies in education]. Nizhnevartovsk: NVGU Publishing House:2013.https://nvsu.ru/ru/Intellekt/1135/Pashchenko%20O.I.%20Informatsionnie%20tehnologii%20v%20obrazovanii%20-%20Uch-met%20posobie%20-%202013.pdf Last contact date: 10.01.2022.
2. Uvarov A.Yu.,(2018). Obrazovaniye v mire tsifrovykh tekhnologiy: na puti ktsifrovoy transformatsii. Moskva: Izd. dom GU-VSHE. [Education in the digital world: on the way to digital transformation]. Moskow, Ed. house SU-HSE: 2018.
3. Problemy vnedreniya i primeneniya elektronnykh uchebnykh posobiy v sistemakh distantsionnogo obrazovaniya rossiyskikh VUZov, (2008) [Stat'ya iz sbornika] // Sovremennyye problemy informatizatsii v modelirovanii i sotsial'nykh tekhnologiyakh: Sb. trudov. Vyp. 13/ Pod red. d.t.n. prof. O.YA. Kravtsa. Voronezh: «Nauchnaya kniga», S. 191-194. [Problems of introduction and application of electronic teaching aids in distance education systems of Russian universities [Article from the collection] // Modern problems of informatization in modeling and social technologies: Sat. works. Issue. 13/ Ed. d.t.s. prof. O.Ya. Kravets. Voronezh, Scientific book: 2008. S. 191-194.
4. Yelistratova N.N.,(2010). Elektronnyy uchebnik kak sredstvo i usloviye mul'timediynogo obucheniya v pedagogike vysshey shkoly. UDK 378.416 [Yelistratova N.N. //Elektronnyy uchebnik...https://vestnik.rsu.edu.ru › pdf .[N.N. Elistratov. Electronic textbook as a means and condition

of multimedia education in the pedagogy of higher education. UDC 378.416 N.N. https://vestnik.rsu.edu.ru › pdf Last contact date: 10.01.2022.

5. Vagramenko, YA.A., (2011). Metodologicheskiye predposylki formirovaniya informatsionnoy obrazovatel'noy sredy // Informatsionnyye resursy v obrazovanii: Vserossiyskaya nauchno-prakticheskaya konferentsiya, 14-16 aprelya 2011 g. Nizhnevartovsk, 2011.S. 15—16. [Vagramenko,Ya.A. Methodological prerequisites for the formation of an information educational environment // Information resources in education: All-Russian scientific and practical conference, April 14-16, 2011], Nizhnevartovsk: 2011. P. 15-16.

პეკინური ტრადიციული საცხოვრისის მომავალი

ანნა მახარაძე
მაგისტრატურის სტუდენტი
პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტი
15 სიუიუენის ქუჩა, ხაიტიენის უბანი
პეკინი 100083
+995599136215
anuka.makharadze@gttu.edu.ge

რეზიუმე

სტატიის მიზანია გააანალიზოს ცინგის დინასტიის პერიოდის პეკინის ტრადიციული საცხოვრისის რესტავრაცია და რეკონსტრუქცია. "Hutong Bubble 218" არის MAD-ის ურბანული რენოვაციის პროექტი, როგორც ჩინეთის დედაქალაქის ძველი უბნების აღორძინების საშუალება, რომლებიც სწრაფი ურბანიზაციის შედეგად დეგრადაციასა და ნგრევას განიცდიდნენ. MAD-ის რენოვაცია აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია მცირემასშტაბიან მხატვრულ ინტერვენციებს უზრუნველყოს ახალი სივრცეები ამ არახელსაყრელი ტერიტორიებისთვის, შექმნას დიალოგი ძველსა და ახალს შორის.

"Hutong Bubble 218" გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ხელოვნება და არქიტექტურა გაერთიანდეს ქალაქის განახლებისთვის. ამგვარი მცირე ზომის ჩარევები იზიდავს ადამიანებს ტრადიციულ შენობებიში დაბრუნებისა და ცხოვრებისკენ, ისტორიული უბნების ტრანსფორმაციის, ტრადიციებსა და თანამედროვეობას შორის ხიდის აგებისაკენ.

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურა, საცხოვრისი, სხეიუენი, რენოვაცია

THE FUTURE OF BEIJING TRADITIONAL LIVING SPACES

ANNA MAKHARADZE
Master's Student
Beijing Language and Culture University
15 Xueyuan Road, Haidian District
Beijing 100083
+995599136215
anuka.makharadze@gttu.edu.ge

Abstract

The aim of the article is to analyze restoration and reconstruction of a traditional courtyard house that dates back to the Qing Dynasty. “Hutong Bubble 218” is a continuation of MAD’s exploration into urban renovations as a means of revitalizing the Chinese capital’s old neighborhoods that have been confronted with degradation and demolition as a result of rapid development. MAD’s renovation demonstrates how small-scale, artistic interventions can provide new spaces for these adverse areas, creating a dialogue between the old and the new.

“Hutong Bubble 218” demonstrates how art and architecture can come together to renew a city. Through the insertion of small-scale interventions, people are attracted to return to traditional life, transforming the old district and creating a conversation between tradition and the future.

Keywords: architecture, housing, building, renovation

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, სხეიუენის ტიპის პირველი სახლები ჯერ კიდევ დასავლეთ ჭოუს ეპოქაში გამოჩნდა (ძვ.წ.1046-770 წლებში). ხანის ეპოქაში (ძვ.წ. 206- ახ.წ.220 წწ) სხეიუენმა დაიწყო ახლებურად განვითარება. ამ დროიდან საცხოვრისი აუცილებლად იგებოდა ფენ-შუის პრინციპების მიხედვით. არც ერთი ელემენტი არ იყო შემთხვევითი. სახლი ქმნიდა ჰარმონიულ გარემოს საცხოვრებლად. ჩინური ფილოსოფიის თანახმად, სწორად აგებული საცხოვრისი ხელს უწყობდა ოჯახის კეთილდღეობას.

სხეიუენების მასობრივი მშენებლობა დაიწყო იუენის დინასტიის პერიოდიდან, (1271-1368) მას შემდეგ, რაც პეკინი გახდა ჩინეთის დედაქალაქი. იუენის დინასტიის სათავეში მოსვლის შემდეგ, დიდებულებსა და ჩინოვნიკებს გადაეცათ მიწები და საფეოდალო მამულები. მათ დაიწყეს სახლების მშენებლობა. ქალაქი გაშენებული იყო ისე რომ შეეღწია მზის შუქს, ყოფილიყო კარგად ვენტილირებადი, ხოლო გზები ადვილად ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველად ქალაქის წყობა იყო მოწესრიგებული. მას ჰქონდა ოთხკუთხა კონფიგურაცია და სახლებს შორის დაცული იყო დისტანცია. მოგვიანებით დაიწყო სოფლის მოსახლეობის აქტიური ჩამოსახლება, რის შედეგადაც ქალაქის მოწესრიგებულ წყობაში შემოიჭრა ახალ-ახალი სახლები და ქუჩები გახდა უწესრიგო.

სხეიუენების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა მინგისა (1368 – 1644) და ცინგის (1644 – 1911) დინასტიების დროს. იუენის დინასტიის ქალაქთმშენებლობის პრონციპებზე დაყრდნობით, მინგის დინასტიის ცენტრალურმა მთავრობამ ააშენა ახალი უბნები. ქალაქის ზრდა მიმდინარეობდა ძალიან სწრაფი ტემპით. მინგის დინასტიის დროინდელი სხეიუენების რაოდენობა 3-ჯერ აღემატებოდა იუენის დინასტიის პერიოდისას.

სხეიუენების ერთობლიობა ქმნიდა ხუთუნგებს. ხუთუნგი წარმოადგენს შუა საუკუნეების ჩინეთის ქალაქთმშენებლობის ტიპის აღმნიშვნელ ტერმინს. ძველ ჩინეთში სხეიუენები იგებოდა ერთი მეორესთან ძალიან ახლოს, რის შედეგადაც იქმნებოდა ვიწრო ქუჩები და ბილიკები. სწორედ ამ ქუჩების ერთიანობას ეწოდება ხუთუნგი. საკუთრივ სიტყვა ნიშნავს არეულს, უწესრიგოს. ეს ტერმინი გაჩნდა იუენის დინასტიის დროს და, სავარაუდოდ, მონღოლური წარმომავლობისაა.

ხუთუნგებში, გარდა საცხოვრისებისა, განლაგებული იყო ტაძრები, ბანკები, გასართობი დაწესებულებები და საწყობები, სადაც ინახავდნენ მარცვლეულს, რომელიც იყო გათვალისწინებული ჯარის შესანახად, ან მოუსავლიანობის დროს ხალხის გამოსაკვებად.

ქალაქის აყვავებას ხელს უწყობდა აქტიური ვაჭრობა. სულ უფრო იმატებდა ბაზრების რაოდენობა, გარდა ძირითადი დანიშნულებისა, ისინი ითავსებდნენ გართობისა და მთავარი შესაკრებელი ადგილის ფუნქციასაც.

ცინგის დინასტიის დასრულებიდან 1949 წლამდე ხუთუნგებში ქუჩების რაოდენობა გაიზარდა 3000-მდე ხოლო 1949 წლიდან მათმა ჯამურმა რაოდენობამ 6000-ს მიაღია. 2003 წლიდან, ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური ზრდის კვალდაკვალ, დაიწყო ავარიული სხეიუენების დემონტაჟი. მათ ადგილას აშენდა მრავალსართულიანი კოსპუსები, რომელთა დიდ ნაწილში ძველი ქალაქის მოსახლეებს გადაეცა ბინები.

დემონტაჟს დაექვემდებარა მხოლოდ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი შენობები, ხოლო მეტად მნიშვნელოვანი და ისტორიული ღირებულების მქონე სახლები გადაურჩა დანგრევას. უფრო მეტიც, 2005 წლიდან იწყება მათი რენოვაციის კამპანია.

პირველი პროექტი, რომელიც ხუთუნგების რენოვაციისაკენ იყო მიმართული დაიწყო 2005 წელს, ციენმენის ხუთუნგების აღდგენით. თუმცა, გაიწელა დროში, და შეიძლება ითქვას, სასურველი მიზანი ვერ იქნა მიღწეული. გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებდა ხუთუნგების არა

ფუნდამენტალურ რესტავრაციას, არამედ მათი საფასადე მხარის შელამაზებას.

რესტავრაციის კიდევ ერთი მცდელობა იყო 2010 წელს, თუმცა, საბოლოოდ 2014 წელს, მას შემდეგ რაც, ჩინეთის პრეზიდენტმა, სი ძინ ფინგმა გამოაცხადა რომ საჭირო იყო ძველი პეკინის შენარჩუნება, დაიწყო ხუთუნგებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა და ეს პროექტი უწყვეტად მიმდინარეობს დღესაც.

ერთ-ერთი, ვინც პირველი დაინტერესდა ხუთუნგების მდგომარეობით იყო ჩინური არქიტექტურული ფირმა URBANUS-ი, რომელიც დაარსდა 1999 წელს. ის აერთიანებს უამრავ არქიტექტორსა და დიზაინერს მსოფლიოს მასშტაბით. 2015 წელს URBANUS-მა მოაწყო გამოფენა, რომელში წარმოადგინა ციენმენის ხუთუნგებში ჩატარებული კვლევების შედეგები. ორი წლის განმავლობაში მათ სრულად აღწერეს ციენმენის ხუთუნგები, შეადგინეს მთელი ტერიტორიის გეგმა, დააფიქსირეს თითოეული სახლის მდგომარეობა და, რაც მთავარია, წარმოაჩინეს სამომავლო პერსპექტივები. საკუთრივ ამ კომპანიას ამ დრომდე არ ჩაუტარება პეკინის სხეიუენების რენოვაცია, თუმცა მათი კვლევა იყო უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი ძველი ქალაქის შენარჩუნების საქმეში.

URBANUS-თან ერთად ასპარეზზე გამოვიდნენ სხვა კომპანიებიც, რომლებმაც უკვე უშუალოდ დაიწყეს სხეიუენების ტრანსფორმაცია და მოდერნიზაცია.

2019 წელს, არქიტერტურულმა კომპანია MAD[1]-მა განახორციელა პროექტი Hutong Bubble 218. არქიტექტორებმა პეკინის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, აკრძალული ქალაქის მახლობლად, ციენმენის ხუთუნში, შეაკეთეს მიტოვებული სახლი. პროექტის მთავარი იდეა იყო შეენარჩუნებინა შენობის ძველი სტრუქტურა თუმცა, ამავდროულად დაემატებინა ისეთი ელემენტები, რომლებიც გახდიდა მას თანამედროვეს, სწორედ ასეთი ელემენტებია უჟანგავი ლითონის კაფსულები/სურ.1/.

პროექტის მიზანს და ამგვარი თამამი გადაწყვეტილების მიზეზს წარმოადგენდა სახლის რადიკალურად გათანამედროვების სურვილი. საქმე იმაშია, რომ საუკუნეების მანძილზე უამრავი სხეიუენი დაზიანდა ან დაინგრა, ზოგიერთი მათგანის ნგრევის პროცესი მიმდინარეობს ამ დრომდე, რათა ქალაქის ცენტრში გამოთავისუფლდეს მიწა ახალი შენობების ასაგებად. აქიდან გამომდინარე MAD-მა შეიმუშავა პროექტი, რომელიც გულისხმობს ხუთუნგების პოტენციალის წარმოჩენას და მათი თანამედროვე ქალაქის სტრუქტურაში ჩართვის შესაძლებლობას/სურ.2/.

სტუდიის დირექტორის მა იანსონის კომენტარი: "ვიმედოვნებ, რომ ჩვენეული ხედვა აჩუქებს სახლებს ახალ სიცოცხლეს და უფრო მეტ ახალგაზრდას გაუჩენს სურვილს იცხოვროს პეკინის ძველ უბნებში."

პირველად „ხუთუნგი ბუშტის" პროექტი სტუდიამ განახორციელა 2009 წელს. გარდა ძირეული რენოვაციისა, ამ სახლს დაემატა ახალი დეტალი, კაფსული სახით, სადაც განთავსებული იყო კიბის უჯრედი და საპირფარეშო.

რაც შეეხება Hutong Bubble 218-ს, ეს შენობა აშენდა 1799 წელს. მისი ფართობია 305კვ.მ. ის განლაგებულია საიმპერატორო სასახლესთან ახლოს და წარმოადგენს პეკინის პირველ საერთაშორისო საავადმყოფოს. მაო ძედუნის მმართველობის დროს შენობა გადაეცა 20 სხვადასხვა ოჯახს, თუმცა შემდგომში ის მიატოვეს, რადგან მისი მდგომარეობა ძალიან გაუარესდა და შენობა აღარ იყო საცხოვრებლად უსაფრთხო.

რენოვაციის შემდეგ, ძირითადი აღდგენითი სამუშაოების გარდა, სახლს სახურავზე დაემატა ორი კაფსულა. უფრო დიდი ზომის კაფსულა სახურავიდან „გადმოედინება" ეზოსკენ/სურ.3/ სწორედ აქ არის განთავსებული სახურავზე ასასვლელი კიბე. ხოლო მეორე კაფსულა

[1] არქიტექტურული სტუდია MAD-ი დაარსდა 2004 წელს, პეკინში. ამჟამად კი მას ოფისები აქვს ლოს-ანჯელესში, ნიუ-იორკსა და რომში.

გამოიყურება ისე, თითქოს ის უბრალოდ ციდან დაეშვა სახურავზე/სურ.4/.

ეს ბუშტები არის მრავალფუნქციური და სურვილისამებრ შეიძლება იქნას გამოყენებული კაბინეტად, შეხვედრების ოთახად, ოთახად ჩაის ცერემონიისა და მედიტაციისათვის/სურ.5/.

კაფსულები დაფარულია შუშისებრი უჟანგავი ფოლადით. ეს მასალა სპეციალურად შეირჩა თანამედროვე ესთეტიკის შესაქმნელად, რომელიც ამავდროულად ჰარმონიულად ერწყმის გარემოს.

სტუდია განმარტავს: „ერთი მხრივ, კაფსულები ძველ ქალაქში შეგვიძლია მოგვეჩვენოს უცნაურად, თუმცა ვფიქრობთ, ამგვარი ფუტურისტული და სიურეალისტური ფორმები ბადებს იდუმალების შეგრძნებას. სარკისებრი ზედაპირები ირეკლავს ძველ სახლებს, ხეებსა და ცას. იმის მაგივრად, რომ ახალი კონსტრუქცია უხეშად იჭრებოდეს ძველი ქალაქის სივრცეში, პირიქით, ის ჰარმონიულად ერწყმის გარემოს.

ეზოსკენ გამავალი კედელი არის შუშის, სიბოსა და სინათლის მაქსიმალურად მისაღებად. შიდა ეზო იქნა აღდგენილი ორიგინალის იდენტურად. დაზიანებული ნაწილები ჩანაცვლებულ იქნა ზუსტი ასლებით/სურ.6/.

სტუდია MAD-მა 2006 წელს, ვენეციის არქიტექტურის ბიენალეზე წარადგინა თავისი იდეა პეკინის ხუთუნგების შენარჩუნების შესახებ "ფეიძინგ 2050"/სურ.7/. კომპანიამ განაცხადა, რომ „პროგრესი არ მოითხოვს მასშტაბურ ცვლილებებსა და მშენებლობებს". ამის მაგივრად მათ წარმოადგინეს შუშისებრი კაფსულების ჩასმის იდეა ქალაქის სტრუქტურაში, რათა ძველი ქალაქის მიტოვებულ სახლებში მოიზიდონ ახალგაზრდა მოსახლეობა./სურ.8/.

გლობალიზაციის კვალდაკვალ, არქიტექტურა სულ უფრო და უფრო ინტერნაციონალური ხდება. ერთი შეხედვით რთულიც კია გაარჩიო ორი თანამედროვე მეგაპოლისი ერთმანეთისგან. ამიტომ მნიშვნელოვანია არ დაიკარგოს ქალაქის ისტორიული სახე და მისი უძველესი ნაწილი, რომელიც მის უნიკალურობას წარმოაჩენს.

დღესდღეობით პეკინის მთავრობას მიზნად აქვს დასახული შეინარჩუნოს და გააცოცხლოს სხეიუენები. აქტიურად ხდება მათი აღწერა რესტავრაცია და რენოვაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიულ შენობებში, ცნობილი მოღვაწეების სახლებში, ბანკებში, ძველ საელჩოებში, შენარჩუნდა თავდაპირველი იერსახე და ეს შენობები გადაკეთდა მუზეუმებად. ხოლო თამამი ცვლილებები შეეხო მხოლოდ ძალიან დაზიანებულ სახლებს. სხეიუენების რენოვაცია მხოლოდ რამდენიმე წლის წინ დაიწყო და ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი ამ პროცესის საბოლოოდ დასრულებამდე.

დანართი:

სურ.1

სურ.2

სურ.3

სურ.4



სურ.5

სურ.6

სურ.7

სურ.8

დამოწმებული წყაროები:

1. 丘阳, 胡同面孔, 中国: 广西师范大学出版社有限责任公司, 2004. 30-60；
2. 方拥, 中国传统建筑十五讲, 中国: 北京大学出版社有限公司, 2010. 70-75；
3. 梁思成, 为什么研究中国建筑, 中国: 外语教学与研究出版社, 2011. 114-118；
4. 毛心一， 王壁文, 中国建筑史, 中国: 人民出版社, 2008， 102-115；

5. 王庆祥, 毛泽东, 周恩来与溥仪. 中国: 人民出版社(编辑部), 2012， 120-125；
6. 蔡燕歆, 中国建筑, 中国：人民出版社, 2008， 87-95；
7. 陈光中, 北京胡同, 中国: 黄山书社, 2011， 15-19；
8. 顾保孜, 毛泽东最后七年风雨路, 中国: 人民文学出版社, 2010， 120-128；
9. Han Shuangyu, "Hutong Bubble 218 Urban Renovation / MAD Architects", Arch Daily, (30 Jan 2021), (https://www.archdaily.com/929000/hutong-bubble-218-mad-architects).

ხელისუფლებების მიერ მედიის რეგულირება პანდემიის პირობებში

თეა მჟავანაძე
ფილოსოფიის დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, ბახტრიონის ქუჩა #20
+995555438107
tatia.mzhavanadze@tsu.ge

რეზიუმე

ბოლო ათწლეულია მსოფლიო საზოგადოება შეშფოთებულია ეგრეთწოდებული „ყალბი ინფორმაციის“ მომრავლებაზე. ციფრული ტექნოლოგიების ერაში, ინფორმაცია ელვისებურად ვრცელდება მსოფლიოს ყველა წერტილში და საზოგადოება აღარ არის მხოლოდ ტრადიციულ მედიასაშუალებებზე დამოკიდებული. ინტერნეტმომხმარებელთა ზრდამ და განუსაზღვრელ (არაკანონიერ და მავნე/დამაზიანებელ) ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობამ მთელი მსოფლიოს სახელმწიფოები ალაპარაკა ელექტრონული კონტენტის რეგულირების მექნიზმების შემუშავებაზე. განსაკუთრებით, ეს აქტუალური და თვალსაჩინო გახდა კოვიდპანდემიის დროს. სრულიად ახლამა და ამასთანავე ერთი შეხედვით უხილავმა პანდემიამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა, შიში, უნდობლობა, მიუღებლობა, დაბნეულობა, აგრესია, ნიჰილიზმი და კიდევ მრავალი განწყობები წარმოქმნა, რასაც გარკვეულწილად ყალბი ინფორმაციების განუსაზღვრელად გავრცელებამ შეუწყო ხელი. სახელმწიფოებმა დამაზიანებელი კონტენტის ზეგავლენა საზოგადოებაზე სხვადასხვაგვარად აღიქვეს და შესაბამისად კანონმდებლობებშიც ასახეს. პანდემიასთან ბრძოლის საბაბს ზოგიერთი მთავრობებიდან მოჰყვა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. ხშირ შემთხვევაში, საფრთხე დაემუქრა არა მხოლოდ სოციალურ მედიას, არამედ ტრადიციულ მედიასა და იქ მომუშავე ჟურნალისტებს. 90-იან წლებამდე ბეჭდური თუ აუდიოვიზუალური მედიაკონტენტი შემოფარგლული იყო კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფოს კანონმდებლობით. დღეს კი, ციფრული მატარებლებით, ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის გლობალიზაცია ვეღარ ექცევა კონკრეტული ნაციონალური კანონების ჩარჩოებში. ინფორმაციის მიღებაზე თავისუფალი ხელმისაწვდომობა და მედიაპლურალიზმი სულ უფრო მიუღებელი გახდა არადემოკრატიული მთავრობებისთვის. დაიწყეს მედიის რეგულირება, კანონების შემუშავება, რომლებიც ზღუდავს ან საერთოდაც აუქმებს მედიასაშუალებებს.

სამართალდარღვევები აღინიშნება სოციალურ ქსელებშიც. ინტერნეტპლატფორმებით გავრცელებული ინფორმაციის შინარსიის რეგულირება სახლმწიფოს მიერ სახიფათოა. რთულია სიყალბის დადგენის ადეკვატური მექანიზმების შემუშავება და შესაბამისად, შესაძლოა მივიღოთ სახელმწიფოს მიერ არამართლოზიმერი რეგულირების ნორმები, რაც მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევას გამოიწვევს.

ამდენად, ყალბ ინფორმაციასთან საბრძოლველად, ციფრულ ეპოქაში, საიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დასაცავად, მნიშვნელოვანია არა სამართლებრივი ნორმების შემოღება, არამედ სახემწიფოების მიერ საზოგადოების ცოდნით შეიარაღებაზე ზრუნვა, მედია- და ციფრულ წიგნიერების დანერგვა და სწავლება სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე.

საკვანძო სიტყვები: ხელისუფლებება, მედია, რეგულირება, პანდემიის პირობებში

REGULATION OF MEDIA IN TERMS OF PANDEMIC

TEA MZHAVANADZE
Doctor of Philosophy
Assistant Professor
Iv. Javakhishvili
Tbilisi State University
Tbilisi, Bakhtrioni Street #20
+995555438107
tatia.mzhavanadze@tsu.ge

Resume

Last ten years, world society is terrified about increased fake news. In the era of digital technologies, information is spreading very fast to every part of the world. And the society is no more dependent only on traditional media recourses. All countries from all over the world are talking about creating mechanisms of digital content regulation, because of increasing of internet users and indefinite access to (illegal and harmful) information. Particularly this has become topical and visible in times of Covid-19 pandemic. Completely new and at first glance invisible pandemic, created in society diversity of opinions, fear, distrust, confusion, aggression, nihilism and a lot of perceptions, facilitator to all these also was indefinitely spreading fake news. Different countries perceived impact of harmful content on society in different ways and reflected it in legislation. Some governments used fighting with pandemic in restriction to freedom of expression. All these mostly jeopardized not only social media, but also traditional media and working journalists there. Till 90's print and audiovisual media content was bounded with concrete territorial unit of state's law. Today, with digital train, globalization of information, using internet can't be framed in specific national law. Free accessibility on receiving of information and media pluralism is more often unacceptable for non-democratic governments. They have begun regulating media, developing laws, which is restricting or even abolishing media sources.

Law violations is marked also in social media. Regulating content of information from governments, using internet platforms is dangerous. It is too difficult to determine fake news and to create adequate mechanisms, so there is a possibility to have unjust norms of regulation, which can cause breaking of people's constitutional rights.

So, for fighting with fake news in digital era, for protection of freedom of speech and expression, it is important that states have to carry about arming society with knowledge, introducing of media and digital literacy and teaching on different educational level, instead of introducing legal norms.

Keywords: government, media, regulation, in pandemic conditions

ბოლო ათწლეულია მსოფლიო საზოგადოება შეშფოთებულია ეგრეთწოდებული „ყალბი ინფორმაციის“ მომრავლებაზე. ციფრული ტექნოლოგიების ერაში, ინფორმაცია ელვისებურად ვრცელდება მსოფლიოს ყველა წერტილში და საზოგადოება აღარ არის მხოლოდ ტრადიციულ მედიასაშუალებებზე დამოკიდებული. ინტერნეტმომხმარებელთა ზრდამ და განუსაზღვრელ (არაკანონიერ და მავნე/დამაზიანებელ) ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობამ მთელი მსოფლიოს სახელმწიფოები ალაპარაკა ელექტრონული კონტენტის რეგულირების მექნიზმების შემუშავებაზე. განსაკუთრებით, ეს აქტუალური და თვალსაჩინო გახდა კოვიდპანდემიის დროს.

სრულიად ახლამა და ამასთანავე ერთიშეხედვით უხილავმა პანდემიამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა, შიში, უნდობლობა, მიუღებლობა, დაბნეულობა, აგრესია, ნიჰილიზმი და კიდევ მრავალი განწყობები წარმოქმნა, რასაც გარკვეულწილად ყალბი ინფორმაციების განუსაზღვრელად გავრცელებამ შეუწყო ხელი. სახელმწიფოებმა დამაზიანებელი კონტენტის ზეგავლენა საზოგადოებაზე სხვადასხვაგვარად აღიქვეს და შესაბამისად კანონმდებლობებშიც ასახეს. პანდემიასთან ბრძოლის საბაბს ზოგიერთი მთავრობებიდან მოჰყვა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. ხშირ შემთხვევაში, საფრთხე დაემუქრა არა მხოლოდ სოციალურ მედიას, არამედ ტრადიციულ მედიასა და იქ მომუშავე ჟურნალისტებს.

პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის განცხადებით, კოვიდ-19-თან ბრძოლის ზომების მიღების გამო დააკავეს და ბრალი წაუყენეს 185 ჟურნალისტს. ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის (Human Rights Watch) განცხადებით, მსოფლიოს მასშტაბით სულ ცოტა 83 ქვეყანაში მთავრობებმა პანდემია გამოიყენა სიტყვის, გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების შეზღუდვის მიზნით. ზოგიერთ ქვეყანაში დარღვევების შეზღუდული რაოდენობა აღინიშნება. ზოგიერთ ქვეყნებში(ჩინეთი, კუბა, ეგვიპტე, ინდოეთი, რუსეთი, თურქეთი, ვენესუელა და ვიეტნამი) კი, მთავრობის პოლიტიკა ასაობით და ათასობით ადამიანს შეეხო. სულ ცოტა 18 ქვეყანაში სამართალდამცავებმა გამოიყენეს ძალა ჟურნალისტების, ბლოგერებისა და მთავრობის მიერ პანდემიის მართვით უკმაყოფილო მოქალაქეების წინააღმდეგ. ასე მაგალითადა, უგანდაში, საპროტესტო აქციის მონაწილეთა დარბევა, უმრავლეს შემთხვევაში კარანტინის რეჟიმით მართლდებოდა. ათობით ადამიანი მოკლეს უსაფრთხოების ძალებმა. 10 ქვეყანაში მთავრობები, სოციალური დისტანციის აუცილებლობის დაცვის საბაბით, კრძალავდა და არბევდა კოვიდის-19-ის მართვის ფორმებით ხელისუფლებით უკმაყოფილო აქციის მონაწილეებს. თანაც, ეს იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლების მიერ სხვა მასობრივი ღონისძიებები არ იკრძალებოდა. 24 ქვეყანაში შემოიღეს კანონები და ნორმატიული აქტები კოვიდ-19-თან დაკავშირებული ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემაზე. მთავრობებმა არაკონკრეტული კანონები რეპრესიის ინსტრუმენტად აქციეს. 51 ქვეყანაში გამოიყენეს პანდემიასთან დაკავშირებით მიღებული და ასევე, მანამდე არსებული კანონები და ნორმები, რომ დაეკავებინათ, დაეპატიმრებინათ და პასუხისგებაში მიეცათ ადამიანები, რომლებიც მთავრობას აკრიტიკებდნენ. ძირითადად აღნიშული დევნის ობიექტები იყვნენ: ჟურნალისტები, ბლოგერები, სოციალური მედიის მომხმარებლები, ოპოზიციური ლიდერები და აქტივისტები, მედიცინის მუშაკები, მეცნიერები, სტუდენტები, კარიკატურისტები, მხატვრები, ადვოკატები, რომლებიც ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ. 33 ქვეყანაში მთავრობები დაპატიმრებით ემუქრებოდნენ საზოგადოებას, ხელისუფლების მიერ პანდემიის მართვის კრიტიკის გამო.

ევროკავშირის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ რუსეთში ცენზურა კონსტიტუციით იკრძალება. თუმცა, განსხვავებულია მისი გამოყენების შემთხვევები. ამერიკაში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საზოგადოებისა და ნაციონალური უსაფრთხოებისთვის შექმნილი რეალური საფრთხის შემთხვევაში და ამ შემთხვევაშიც ცენზურის განსახორციელებლად საჭიროა სასამართლოს მიერ მიზეზებისა და პირობების დასაბუთება. რუსეთში ცენზურა დასაშვებია პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვის მიზნით. მიუხედავად ამისა, სახელმწიფობისთვის აქტუალური ხდება მედიის რეგულირების საკითხი. პროფესიულ წრეებისა და სამართლის ექსპერტების შეფასებით მსგავსი რეგულირების მექანიზმები საფრთხეს უქმნის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას და მედიისა და ინტერნეტგვერდების დაბლოკვას გამოიწვევს.

15 ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, პანდემიასთან დაკავშირებით, ყალბი ინფორმაციის პრევენციის მიზნით მედიის რეგულირების მექანიზმების შემუშავებაზე. არაბეთის

გაერთიანებული ემირატების მთავრობამ ფიზიკურ პირებს აუკრძალა, სახელმწიფოს ოფიციალური განცხადებებისგან განსხვავებული სამედიცინო ან სარეკომენდაციო ინფორმაციის გავრცელება კორონა ვირუსის შესახებ(2020 წელს). მთავრობის დადგენილების დამრღვევისთვის დაწესდა ჯარიმა 5400 დოლარის ოდენობით. აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა გამოსცა ინტერნეტსივრცეში ცენზურის პრევენციისთვის ბრძანება, რომელის აღსრულებაც საშუალებას აძლევდა ინტერნეტკომპანიებს შეეზღუდათ წვდომა მავნე კონტენტზე(2020 წელს). აღნიშული განკარგულება ერთ წელიწადში გაუქმდა. საბერძნეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა, კოვიდ-19-ის შესახებ ყალბი ინფორმაციის გამავრცელებლების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. სანქციები ითვალისწინებდა ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას სამი თვით(2021 წელს). რუსეთის მთავრობა იღებს ფედერალურ კანონებს როგორც ყალბ ინფორმაციასთან საბრძლველად ასევე, – კანონს „ხელისუფლების უპატივცემულობის შესახებ“(2019 წელს). რუსეთში ყალბი მასალების გავრცელებაზე სისხლის სამართლის კოდექსში დაემატა სტატია“ მოქალაქეების უსაფრთხოებისა და სიცოცხლისთვის საფრთხის მატარებელი გარემოებების შესახებ აშკარად ყალბი ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებაზე“(2020 წელს). 2019 წელს მიღებული კანონი „ყალბი ამბების გავრცელების შესახებ“ ითვალისწინებდა მედიის დაჯარიმებას 500 000 რუბლით. 2020 წელს კი, დაჩქარებულად რუსეთის დუმამ მიიღო კანონი პანდემიის შესახებ ყალბი ინფორმაციის გამავრცელებლების დაჯარიმების შესახებ. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრა 1.5 დან 3 მილიონამდე რუსული რუბლით. ამასთან, მსოფლიოს ქვეყნები რუსეთს ადანაშაულებენ უცხოეთში დეზინფორმაციის გავრცელებაში. ევროკავშირმა მხოლოდ ორი თვის მანძილზე გამოააშკარავა კორონა ვირუსის შესახებ რუსეთის მხრიდან დეზინფორმაციის გავრცელების 80 შემთხვევა. ამასთანავე, ევროპის კავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში, ჯოზეფ ბორელმა რუსეთის სახემწიფო მედიასაშუალებები დაადანაშაულა კოვიდ-19-თან საბრძოლველად ევროპული და ამერიკული წარმოების ვაქცინების წინააღმდეგ დეზინფორმაციის გავრცელებაში. მისივე მოსაზრებით რუსეთი ამ გზით ცდილობს საკუთარი ვაქცინის საზღვარგარეთ გაყიდვას. ექსპერტების მოსაზრებით რუსეთს დეზინფორმაციის გავრცელება საკუთარი ნარატივის უპირატესობისთვის სჭირდებოდა.

ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის კომიტეტმა რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდა შეწყვიტოს ქვეყანაში კორონავირუსის აფეთქების შესახებ ახალი ამბების გამოშვებების ცენზურა, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მარეგულერებელი ეგრეთწოდებული ”როსკომნადზორი“ (კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მასობრივი კომუნიკაციების სფეროში ზედამხედველობის ფედერალური სამსახური) ახორციელებს და ჯარიმებით ემუქრება სხვადსხვა ვებგვერდის მფობელებს თუ არ დაემორჩილებიან და არ წაშლიან მასალებს. ხშირ შემთხვევაში რუსეთის მარეგულებლის მოთხოვნა ვითომდა პანდემიის შესახებ ყალბი ინფორმაციის გავრცელებაზე დაუსაბუთებელი იყო და არ არსებობდა სამართლიანი კრიტერიუმები. მეტიც, მარეგულირებელი მედიას აფრთხილებდა, რომ უმკაცრეს ზომებს მიიღებდა არასანდო საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფრთხის შექმნაზე გააუქმებდა და ლიზენციას შეუწყვეტდა ინფორმაციის მატარებლებს. მოგვიანებით, რუსეთის ხელისუფლება პანდემიის შესახებ ყალბი ინფორმაციის გამავრცელებლებს სისხლის სამართლის დევნითაც დაემუქრა.

პრესის საერთაშორისო ინსტიტუტი, პანდემიის პერიოდში, ჩეხეთის მთავრობას აკრიტიკებს კრიტიკულად განწყობილი მედიის სამთავრობო პრესკონფერენციებზე დაუშვებლობის გამო და მოუწოდებს ყველა მედიის წარომომადგენელების თანაბარ პირობებში ჩაყენებას და

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. მსგავსი ვითარება აღინიშნა ფილიპინებსა და ნიკარაუგას მთავრობების შემთხვევებშიც.

უნგრეთის პარლამეტში განსახილველად წარდგენილი იყო კანონპროექტი, რომელიც მთავრობის მიერ პანდემიასთან ბრძოლის მეთოდების ეფექტურობის ეჭვქვეშ დაყენებასა და ამ მიზნით მთავრობის ძირგამომთხრელი ინფორმაციის გავრცელებისთვის ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ერთიდან ხუთ წლამდე. თუმცა, სამ თვეში, უნგრეთის მთავრობამ გამოიწვია საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონი. მიუხედავად ამისა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა შიში პანდემიის საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით.

ჩინეთის მთავრობამ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ჟურნალისტს ჩჟან ჩჟანს, რომელიც უხანში პანდემის დასაწყისიდან აშუქებდა მოვლენებს და „იუთუბის“ პლატფორმაზე ავრცელებდა ინფორმაციას. ჟურნალისტი აკრიტიკებდა ხელისუფლებას პანდემიის მართვასთან დაკავშირებით. მას ბრალი დასდეს დიდი ოდენობით დეზინფორმაციის გავრცელებაში. თუმცა, პროკურორმა ვერცერთი ფაქტობრივი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა სასამართლოში. ეგვიპტის ხელისუფლებამ „გარდიანის“ ჟურნალისტს აკრედიტაცია გაუუქმა და ქვეყნიდან გააძევა მას შემდეგ რაც ჟურნალისტმა დაწერა, რომ პანდემიის შესახებ ოფიციალურ მონაცემებზე გაცილებით მეტი შემთხვევა იყო. ის არასანდო მონაცემებისა და პანიკის გავრცელებაში დაადანაშაულეს. ვიეტნამის მთავრობამ მიიღო ახალი კანონი, რომელმაც ხელისუფლებას პირველად მისცა უფლება დაეჯარიმებინა სოციალურ მედიაში „ყალბი ინფორმაციის“ გამავრცელებლები. ბოლივიის დროებითმა პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომელის თანახმადაც ინფორმაციის გამავრცელებელი პირი, რომელსაც შეეძლო ემოქმედა საზოგადოების ჯანმრთელობაზე ან რისკი შეექმნა მისთვის და ამავე დროს, მოსახლეობაში ეჭვი გაეჩინა დაისჯებოდა. სასჯელი 10 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტური ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად აღნიშნული განკარგულება მალევე გაუქმდა. რუმინეთსა და სერბეთის რესპუბლიკაშიც, ევროკავშირის ზეწოლის შემდეგ გაუქმდა კანონი „ყალბი ინფორმაციის შესახებ“.

ხშირ შემთხვევებში ვლინდებოდა მთავრობების მიერ პანდემიის ვითარების პოლიტიკურად ანგაჟირებულობის მიზნით გამოყენება და ოპონენტების დევნა. მთავრობებმა კოვიდ 19-ის პანდემია კონტროლის გამკაცრებისა და საპროტესტო აქციების აკრძალვისთვისაც ეფექტურად გამოიყენეს.

პოლიტიკურად მოტივირებული იყო პანდემიის დროს 2021 წელს ოპოზიციის მიერ მოსკოვში ორგანიზებულ საპროტესტო აქციაზე, ადამიანების მასობრივად დაავადების საფრთხის მოტივით დაპატიმრებების სერია, რომელებიც „სანიტარულ საქმეებად“ მოინათლა. დაკავებულების წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ნორმების დარღვევის გამო. მაიანმარის კავშირის რესპუბლიკის ყოფილ ლიდერს, სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებიდან ჩამოგდებულ 76 წლის აუნ სან სუ ჩი-ის სასჯელი გაუზარდეს. მას დამატებით ბრალი წაუყენეს პანდემიის პირობებში სანიტარული შეზღუდვის დარღვევასა და კავშირის აკრძალული საშუალებების-რადიოგადამცემის გამოყენებისთვის, რომელიც სხლში, ჩხრეკის დროს აღმოუჩინეს. რუსეთის სასამართლომ 5 წელი პირობითი სასჯელი და შინაპატიმრომა მიუსაჯა მოძრაობა „ახალი სოციალიზმისთვის“ ლიდერს, ბლოგერს ნიკოლაი პლატოშკინს(2020 წელს). მას ბრალი წაუყენეს მასობრივი არეულობებისკენ მიდრეკილებისთვის და ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის. სინამდვილეში მან ივარაუდა საპროტესტო აქციებზე მისი თანამებრძოლების შესაძლო მზადყოფნაზე და გააკრიტიკა მთავრობა პანდემიის არაეფექტურად მართვის გამო.

რეპორტიორებს ადანაშაულებენ ექსტრემიზმში, ტერორიზმსა და სახელმწიფოს ღალატში. რუსეთის ხელისუფლებამ, ჟურნალისტების წინააღმდეგ, აამოქმედა კანონი ყალბი ახალი ამბების

გავრცელების აკრძალვაზე. პანდემიის პირობებში საავადმყოფოებში არსებული პირობების შესახებ ინფორმაციები, რომლებიც მთავრობის ოფიციალური ვერსიის საწინააღმდეგო იყო იბლოკებოდა და ჟურნალისტებს აპატიმრებდნენ. მასმედიისა და სიტყვის თავისუფლების უმკაცრესი შეზღუდვის გამო მოსკოვში გამართულ საპროტესტო აქციაზე ათობით ჟურნალისტი დააკავეს (2020 წელს).

ოპოზიციური გამოცემის „ახალი გაზეთის“ რედაქტორმა დიმიტრი მურატოვმა, სტოკჰოლმში ნობერის პრემიის მიღებისას მისასალმებელ სიტყვაში ყურადღება გაამახვილა რუსეთში დამოუკიდებელი მედიის მდგომარეობაზე. მისი თქმით, რუსეთის მთავრობა დამოუკიდებელ ჟურნალისტებს ხალხის მტრებად აცხადებს, სამსახურიდან ათავისუფლებს და ქვეყნის დატოვებას აიძულებს.

პანდემიის დროს ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლის მოტივით მთავრობების მიერ გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატა ევროკავშირმა. უპრეცედენტო პრობლემების მიუხედავად, კრიზისულ ვითარებაში, დაუშვებლად მიიჩნია მთავრობების მიერ ჟურნალისტების დევნა. ჟურნალისტებს უნდა მიეცეთ საშუალება თავისუფლად გააშუქონ არსებული კრიზისი. ჟურნალისტებს ეკისრებათ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა დროული, ზუსტი და სანდო ინფორმაციის გავრცელებაზე. გარდა ამისა, ევროკავშირმა მთავრობებისთვის შემუშავა, პანდემიით გამოწვეული კრიზის დროს, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის დაცვის სამოქმედო ინსტრუმენტები და რეკომენდაციები. რეკომენდაციების თანახმად, ცენზურის თავიდან აცილების მიზნით, პანდემიით გამოწვეული კრიზის შესახებ, საზოგადოებას უნდა მიეწოდოს არა მხოლოდ მთავრობების ოფიციალური ინფორმაცია. ჟურნალისტებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებსა და სამოქალაქო საზოგადოებას უნდა შეეძლოთ გაანალიზონ და გააკრიტიკონ მთავრობის მიერ პანდემიასთან საბრძოლველად და კრიზისთან გასამკლავებლად მიღებული გადაწყვეტილებები. ნებისმიერი შეზღუდვა – მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დახურვა ან ონლაინპლატფორმების დაბლოკვა შეძლება გამართლდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. გარდა ამისა პანდემია არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ინფორმაციის მატარებლებისა და ოპონენტების გასაჩუმებლად.

პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის 2020 წლის ანგარიშის თანახმად კორონავირუსის პანდემიამ ხელი შეუწყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების შეზღუდვას მთელ მსოფლიოში, მათ შორის ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაშიც. ყალბ ინფორმაციასთან საბრძოლველად მიღებულმა გაუარესებულმა კანონებმა, დაპატიმრებებმა და ფიზიკურმა თავდასხმებმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რთულ ვითარებაში ჩააგდო. დეზინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ მიღებული კანონებით ზოგიერთ ქვეყანაში მომზადდა ნოყიერი ნიადაგი კრიტიკის ჩასახშობად.

90-იან წლებამდე ბეჭდური თუ აუდიოვიზუალური მედიაკონტენტი შემოფარგლული იყო კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფოს კანონმდებლობით. დღეს კი, ციფრული მატარებლებით, ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის გლობალიზაცია ვეღარ ექცევა კონკრეტული ნაციონალური კანონების ჩარჩოებში. ინფორმაციის მიღებაზე თავისუფალი ხელმისაწვდომობა და მედიაპლურალიზმი სულ უფრო მიუღებელი გახდა არადემოკრატიული მთავრობებისთვის. დაიწყეს მედიის რეგულირება, კანონების შემუშავება, რომლებიც ზღუდავს ან საერთოდაც აუქმებს მედიასაშუალებებს.

პანდემიასთან დაკავშირებული მითების გასაქარწყლებლად და დეზინფორმაციასთან საბრძოლველად ჩაერთო ინტერნეტპლატფორმებიც: Facebook, Google, Pinterest, Tencent, Twitter, TikTok, Youtube და სხვ… აღნიშნული კომპანიები აქტიურად ბლოკავდნენ ჭორებს, შეთქმულების თეორიებს, არაკომპეტენტურ სამედიცინო რჩევებს და სხვა ტიპის მასალებს, რომლებიც

სახიფათო იყო ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მიუხედავად ამისა, სამართალდარღვევები აღინიშნება სოციალურ ქსელებშიც (Facebook, Twitter, Instagram, YouTube, TikTok და სხვა), რომელთა ნაციონალურ დონეზე რეგულირებაც რთულია. ტრადიციული სამართლებრივი ნორემბის გამოყენება ყალბ ამბებთან საბრძოლველად გართულებულია. ინტერნეტპლატფორმებით გავრცელებული ინფორმაციის შინარსიის რეგულირება სახლმწიფოს მიერ სახიფათოა. რთულია სიყალბის დადგენის ადეკვატური მექანიზმების შემუშავება და შესაბამისად, შესაძლოა მივიღოთ სახელმწიფოს მიერ არამართლოზიმერი რეგულირების ნორმები, რაც მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევას გამოიწვევს. ასევე რთულია, ყალბი ინფორმაციის გავრცელების ტექნოლოგიური თვალსაზრისით რეგულირება, რადგან მათი გავრცელების არეალი ყველა ქვეყანაში განთვენილი ინტერნეტის გლობალური ქსელია და არ არის არცერთ მათგანზე მიბმული. ამდენად, ყალბ ინფორმაციასთან საბრძოლველად, ციფრულ ეპოქაში, საიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დასაცავად, მნიშვნელოვანია არა სამართლებრივი ნორმების შემოღება, არამედ სახემწიფოების მიერ საზოგადოების ცოდნით შეიარაღებაზე ზრუნვა, მედია- და ციფრული წიგნიერების დანერგვა და სწავლება სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Государственное регулирование СМИ Международные стандарты, ARTICLE 19, 2019, Отчёт
2. Sergei Karpukhin, РЕГУЛИРОВАНИЕ СМИ В РОССИИ, АНАЛИЗ ПРАВОВОГО ПОЛЯ И ТЕНДЕНЦИЙ, REUTERS
3. Диана Кульжицкая, Нормы и правила поведения журналистов в социальных сетях (Анализ редакзионных стандартов ведущих англоязычных СМІ)
4. Самигуллина Э.А., Павлов С.Ю. Нормативно-правовое регулирование деятельности интернет-СМИ в Российской Федерации, Рецензируемый научный журнал «Тенденции развития науки и образования». Ноябрь 2020 г. №67, Часть 6 Изд. НИЦ «Л-Журнал», 2020. – 152 с.
5. РУКОВОДСТВО ПО ВОПРОСАМ БЕЗОПАСНОСТИ ЖУРНАЛИСТОВ, Бюро ОБСЕ по вопросам свободы СМИ, Организация по безопасности и сотрудничеству в Европе, A-1010 Вена, Австрия, 2020.
6. Human Rights Watch, Covid-19 провоцирует волну нарушений свободы слова, февраль 11, 2021;
7. Human Rights Watch, Covid-19 Pandemic Sparked Year of Rights Crises, март 4,2021;
   Human Rights Watch, Russia: Authorities Targeting Free Speech at a University, октябрь 23, 2020.
8. Lydia Gall, Hungary's Orban Uses Pandemic to Seize Unlimited Power, March 23, 2020
   The International Press Institute (IPI), Rush to pass 'fake news' laws during Covid-19 intensifying global media freedom challenges, 3 Oct., 2020

დეპრესია თირკმლის დონორებში ტრანსპლატაციის შემდეგ

თამარ ტუხაშვილი
ფსიქოლოგიის დოქტორანტი
საქართველოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი
ი. ჭავჭავაძის გამზირი #53ა; თბილისი,
საქართველო, 0179
+995 557383858
tukhashvilitamar@gmail.com

ნიკოლოზ ჯანაშვილი
ფსიქოლოგიის ბაკალავრიატის სტუდენტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
0179, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1
+995599257351
janashvili@gmail.com

რეზიუმე

ნაშრომი ასახავს თირკმლის დონორთა ტრანსპლანტაციის შემდგომი დეპრესიის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევების მიმოხილვას, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე საქართველოში. ნაშრომში ასახულია დეპრესიის რაობა, მისი მიმართებები სხვა-დასხვა კომპონენტებთან, როგორიცაა: ასაკი, სქესი, ეროვნება, განათლება და ა. შ.

ნაშრომში ასევე წარმოდგენილია სამიზნე და საკონტროლო ჯგუფების დეპრესიის დონის შედარებითი ანალიზი, როგორც თირკმლის დონორთა პოპულაციასთან მიმართებაში, ასევე გენდერული თვალსაზრისით: ქალთა და მამაკაცთა შორის ორივე ჯგუფის დეპრესიის დონის შედეგები და შედარებითი ანალიზი.

კვლევის შედეგები იძლევა მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას სამომავ-ლოდ გასათვალისწინებელ ასპექტებთან დაკავშირებით -ტრანსპლანტაციის შემდგომი ვითარე-ბის კონტექსტში, როგორიცაა ფსიქოთერაპიული მეთოდებისა და ფსიქოკონსულტირების აუცი-ლებლობა. ასევე, ნათლად მიუთითებს დამატებითი კვლევების ჩატარების აუცილებლობაზე ამ მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: დეპრესია, ემოციური რეაქცია.

DEPRESSION IN KIDNEY DONORS AFTER TRANSPLANTATION

Tamar Tukhashvili
Doctor of Psychology
St. Andrews Georgian University
lecturer at Guram Tavartkiladze University
Chavchavadze Avenue #53a; Tbilisi, 0179
+995 557383858
tukhashvilitamar@gmail.com

Nikoloz Janashvili
Student of Psychology
Ivane Javakhishvili Tbilisi
State University
I. Chavchavadze Ave. N1, 0179, st. Tbilisi,
+995599257351
janashvili@gmail.com

Resume

The work outlines the overview of the level of depression of renal donor kidney transplantation, as in different countries of the world as well as in Georgia.The work depicts the depression's character, its directions with defferent components such as: age, gender, nationality, aducatation, etc.

The work also provides the analysis of the control comparative level of depression and the target group, in relation to renal donor and gender population: between the women and men—the results of both group's depression level and the comparative analysis.

The results of the survey provide the opportunity to make significant conclusions regarding the future aspects — in the contex of post-transplant conditions, such as psycho-consolidation, it also clearly indicates the necessity of additional surveys in this directions.

Keywords: depression, emotional reaction.

შესავალი

თირკმლის ტრანსპლატაცია მკურნალობის არჩევის მეთოდია თირკმლების ქრონიკული უკმარისობის მქონე პაციენტებში. ტრანსპლანტაციის დასაწყისად 1954 წელი ითვლება, როდესაც ამერიკელმა ქირურგებმა თირკმლის გადანერგვა განახორციელეს. საქართველოში პირველი ტრანსპლანტაცია 1978 წელს ჩატარდა ქირურგიის ინსტიტუტში-მოსკოვიდან ჩამოიტანეს 4 გარდაცვლილი დონორის თირკმელი. 1995 წლამდე ასეთი სახის ოპერაცია აღარ განხორციელებულა, 1995 წლიდან კი თირკმლის გადანერგვა განახლდა ქირურგიისა და ალ.წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნულ ცენტრში, სადაც დღესაც წარმატებით მიმდინარეობს, ხოლო ქირურგიის ინსტიტუტმა რიგი მიზეზების გამო შეწყვიტა ამ მიმართულებით მუშაობა.

თირკმლის ტრანსპანტაცია ხდება როგორც ცოცხალი, ასევე გარდაცვლილი დონორებიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში მოქმედი კანონის თანახმად, ორგანოების ტრანსპლანტაცია დაშვებულია როგორც ცოცხალი, ასევე გარდაცვლილი დონორებისგან, თუმცა ეს პროგრამა ჯერჯერობით არ მუშაობს-გარდაცვლილი დონორებიდან ორგანოების ტრანს-პლანტაცია არ დაწყებულა.

დონორი შეიძლება იყოს: დედა, მამა, ძმა, და, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, მიძაშვილი, ბებია, ბაბუა. არანათესავებიდან 1 წლის კანონიერ ქორწინებაში მყოფი რეციპიენტის მეუღლე, მეუღლის და, ძმა, შვილი, დედა, მამა, ბებია, ბაბუა, შვილიშვილი-თუ ქორწინებიდან გასულია არანაკლებ 2 წელი[ტუხაშვილი თ. „თირკმლის ტრანსპლანტაცია და დონორთა ფსიქო-ემოციური რეაქციები ტრანსპლანტაციის შემდეგ“. ჟურნალი „ინტელექტუალი;“ თბილისი-2014].

ფსიქიკური ჯანმრთელობა. დონორების ფსიქიური ჯანმრთელობა უაღრესად მნიშვნელო-ვანი ფაქტორია ოპერაციის შემდგომი ფსიქოლოგიური პრობლემების რისკის განსასაზღვრად. როგორც ლიტერატურული მასალიდან ჩანს, მათგან უხშირესია დეპრესია და შფოთვა[Reimer J, Rensing A, Haasen C, et al. The impact of living-related

kidney transplantation on the donor's life. Transplantation 2006; 81: 1268–73.; Jordan J, Sann U, Janton A, et al. Living kidney donors' long-term psychological status and health behaviour after nephrectomy – a retrospective study. J Nephrol 2004; 17: 728–35.; Crouch RA, Elliott C. Moral agency and the family: the case of living related organ transplantation. Camb Q Health Ethics 1999; 8: 275-287].

დეპრესიის ზოგადი მიმოხილვა

დეპრესია (ლათინური სიტყვაა „depressio" და დათრგუნულს ნიშნავს). იგი შეიძლება განვითარდეს ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრამვის შედეგად. ტერმინი დეპრესია შეიძლება გულისხმობდეს როგორც ემოციას, ასევე დიაგნოზს. ემოციასთან მიმართებაში, ეს ტერმინი ნიშნავს დამძიმებულ და სევდიან ხასიათს. ხოლო რაც შეეხება დიაგნოზს, აქ იგულისხმება სინდრომი, სადაც დეპრესია წარმოადგენს ერთ–ერთ სიმპტომს. ფსიქიატრიაში დიაგნოზი დეპრესია გამოიყენება იმ მდგომარეობის აღსანიშნავად, რომლის დროსაც პაციენტი უჩივის ცუდ ხასიათს, აზროვნების და მოქმედების შენელებას და ბოდვით ხასიათს თვითბრალდებებით. ეს არის აფექტური მოშლილობებიდან ერთ–ერთი, სახელწოდება კი იმიტომ არის ასეთი, რომ გუნება-განწყობის ფონი დაქვეითებულია.

„ენდოგენური ანუ „კლასიკურ დეპრესიას" ახასიათებს ძირითადი სიმპტომების ტრიადა: 1) გუნებგანწყობის დაქვეითება, 2) ასოციაციათა ტემპის შენელება და 3)მოტორული შეკავება. გარდა ამისა, დეპრესიულ მდგომარეობას ახასიათებს ინტერესებისა და მოთხოვნილებების გაქრობა, დაკმაყოფილების მიღების შეუძლებლობა(ანჰედონია), დქვეითებული თვითშეფასება და თვითდამცირების, ცოდვიანობის იდეები, ძილისა და მადის დარღვევა. სიმძიმის მიხედვით დეპრესიული აშლილობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს რამდენიმე ხარისხით: მსუბუქი დეპრესია -გამოვლინდება გუნებგანწყობის დაწევით, უხალისობით, ინტერესებისა და მოთხოვნი-ლებების დაქვეითებით, ასთენიზაციით. ავადმყოფი, როგორც წესი, შეწუხებულია თავისი მდგომა-რეობით, პროფესიული და სოციალური მოვალეობების გაძნელებით, მაგრამ ეს მდგომარეობა მას ხელს არ უშლის. ზომიერად გამოხატული დეპრესიის დროს სახეზეა დეპრესიისათვის დამახასიათებელი ნიშნების აშკარა და მკაფიო არსებობა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს შრომითი, საოჯახო და სხვა სოციალური ფუნქციების შესრულებას. ამასთან, წინა პლანზე გამო-დის სომატური ხასიათის ჩივილები და ხშიარდ წამყვან ადგილს იჭერს ავადმყოფის განცდებში. მძიმე დეპრესიას ფსიქოზური სიმპტომების გარეშე ახასიათებს გამოხატული შფოთვა და მოუსვენრობა ან მოტორული სტუპორი. თვითდამცირების, ცოდვიანობის და თვითბრალდების იდეები მნიშვნელოვნად ზრდიან სუიციდის რისკს. მკაფიოდაა გამოხატული სომატური სიმპტო-მები, რომელთაგნ აღსანიშნავია სიმპატიკოტონიის შედეგად განვითარებული ე.წ."პროტოპოპო-ვის ტრიადა": პულსის აჩქარება, გუგების გაფართოვება და ყაბზობა. რეაქტიული დეპრესია -გუნე-ბგანწყობის დაქვეითებით გამოხატული ფსიქიკური რეაქციაა მძიმე ფსიქომატრამვირებელი მოვლენის მიმართ. რეაქტიულ ფსიქოზებს შორის იგი ყველაზე გავრცელებული აშლილობაა.

დეპრესიის განვითარება ყოველთვის დაკავშირებულია დიდ უსიამოვნებასთან, მძიმე დანაკლისთან, იმედების გაცრუებასთან. დაქვეითებული, სევდიანი გუნებგანწყობა უშუალოდ მოსდევს ტრავმულ სიტუაციას. ავადმყოფები ხდებიან გულჩათხრობილნი, უკონტაქტონი, განმარტოებულნი. თავს არიდებენ ახლობლებთან ურთიერთობას,. მიმიკა და მოძრაობები შენელებული აქვთ, ხშიარდ ტირიან, იგონებენ ტრავმულ სიტუაციას. მთლინად არიან ჩაფლულნი ამ განცდებში. დეპრესიის ფონზე ხდება ტრაგიკული მოვლენების ზეღირებულოვანი ინტერპრეტაცია, რაც შემდგომში თვითბრალდების, დანაშაულის ბოდვითი იდეების სახით გვევლინება. დეპრესიის გაღრმავებისას ფსიქიკურ მოვლენებს თან ერთვის ვეგეტატიური მოვლენებიც: ტაქიკარდია, ტკივილი გულმკერდის არეში, არტერიული წნევის მერყეობა. რიგ შემთხვევებში დეპრესისას შესაძლოა დაერთოს ფსიქო-მოტორული აფორიაქება, შფოთვა(აჟიტაციური დეპრესია), რაც მნიშვნელოვნად ზრდის სუიციდიდ საფრთხეს. რეაქტიული დეპრესიის ხანგრძლივობა ბევრადაა დამიკიდებული ფსიქოტრავმული სიტუაციის ბუნებაზე, მის შინაარსსა და ინტენსივობაზე. ჩვეულებრივ, ამ გენეზის დეპრესია გრძელდება რამდენიმე კვირიდან 1-2 თვემდე და ადვილად ემორჩილება მკურნალობას[ნანეიშვილი გ. ფსიქიატრიის მოკლე კურსი თბილისი. „მეცნიერება“-1998].

სტატისტიკის მიხედვით, რომელიც 2006 წელს ამერიკაში ჩატარდა, ყოველი მეოთხე ქალი და მეცხრე მამაკაცი დეპრესიაში ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვარდება.

დეპრესიის იოლ ფორმებს შეიძლება დაწეული ფუნქციონალური მდგომარეობის ხასიათი ჰქონდეს, რასაც პერიოდულად თითქმის ყველა განიცდის. გამოყოფენ ე.წ. ნევროტულ დეპრესიასაც, რომელიც ნაკლებ მძიმეა და უპირატესად დაღლილობის ან სტრესის შედეგად აღმოცენდება. იგი გამოიხატება ადამიანის მიერ ყოველგვარი ქცევის მეტ-ნაკლებად უარყოფასა და მისი აზრის დაკარგვაში.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით დეპრესია ქალების 10-25%-ს აღენიშნება, ხოლო კაცებში მისი სიხშირე 5-დან 12%-მდე მერყეობს. ამასთან ცნობილია, რომ ქალაქის მაცხოვრებლებში იგი უფრო ხშირია, ვიდრე სოფლის მოსახლეობაში.

მნიშვნელოვანია სევდასა და დეპრესიას შორის განსხვავება. სევდა ისეთივე ნორმალური და აუცილებელი ემოციაა, როგორც სიხარული, სიმშვიდე, აღტაცება. მაგრამ როცა სევდა უსასრულოდ გაჭიანურებულია (2 კვირა და მეტი), როცა მისგან ადამიანი ვერ თავისუფლდება და სასოწარკვეთილებამდე მიდის, ეს უკვე სცილდება ნორმალური ემოციის ფარგლებს, მას დეპრესია ჰქვია და სევდისაგან განსხავებით მავნეა ადამიანის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის.

(აარონ ბეკი დეპრესიის შესახებ:)

„ადამიანის ემოციები და ქცევები განპირობებულია მათ მიერ მოვლენათა აღქმით. არა თავად სიტუაცია ან მისი ზეგავლენა განაპირობებს იმას, თუ რას განიცდის ადამიანი, არამედ საკითხის დაყენება ან მიდგომა, რისი მეშვეობითაც პიროვნებაზე ეს სიტუაცია აისახება”(Beck, 1964). მაშასადამე, ის, თუ რას გრძნობს ადამიანი, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს იგი მოვლენებს,-როგორც საფრთხის შემცველს, ახლის მომტანს, ხელმყოფს და ა.შ.“[Cogitive Theori: Basics and beyond. Judith S. Beckk, Ph.D].

„დეპრესია – დეპრესიის განვითარება იწყება პაციენტის მიერ დანაკარგის განცდით. დანაკარგი შეიძლება იყოს რეალური ან ჰიპოთეტური. ნებისმიერ შემთხვევაში, დანაკარგი განიცდება ზედმეტად მძაფრად, რაც აისახება ინდივიდის უნარებსა და შესაძლებლობებზე. ეს ყველაფერი ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ადამიანის მე–კონცეფციაზე, ის საკუთარ თავს უიღბლოდ და არაფრის მაქნისად მიიჩნევს. საკუთარი თავის სხვა ადამიანებთან შედარება კიდევ უფრო დაბლა წევს მის თვითშეფასებას. საკუთარ თავზე ნეგატიური წარმოდგენის საფუძველზე - ადამიანი პერსპექტივებსაც ნეგატიურად აფასებს. პაციენტის შეხედულება ცხოვრებაზე

პესიმისტური ხდება. უიმედობა უკარგავს მოტივაციას. ამგვარმა პესიმიზმმა შესაძლოა ადამიანი მიიყვანოს თვითმკვლელობის აზრებამდე ან მცდელობამდე. ნეგატიური წარმოდგენები საკუთარ თავზე, მოვლენების ნეგატიური ინტერპრეტაცია და ნეგატიური წარმოდგენები მომავალზე დეპრესიის კოგნიტურ ტრიადას წარმოადგენს. ნეგატიური კოგნიციის, აზროვნების შედეგია დეპრესიისათვის დამახასიათებელი შემდეგი სიმპტომები: ინერტულობა, დაღლილობა, ძილის და კვების აშლილობები და ა.შ."(http://intermedia.ge/ სტატია/45391-ემოციური-აშლილობები-აარონ-ბეკის-თეორიის-მიხედვით) [Beck AT, Ward CH, Mendelson M, Mock J, Erbaugh J. An inventory for measuring depression. Arch. Gen. Psychiatry 961; 4 (6): 561–71.].

უცხოური კვლევები დონორებში დეპრესიის შესახებ:

ცხოვრების ხარისხისა და ფსიქოსოციალური კვლევები 1966 წლიდან წარმოებს, რომელშიც 4800-ზე მეტი დონორია ნაკვლევი. კვლევის ინტერვალი მერყეობს დონაციიდან 1კვირა-34 წლის ჩათვლით. ხშირია 1-დან 10წლის განმავლობაში. ყველაზე მაშტაბურ კვლევაში, რომელიც ჩატარდა Clemens –is მიერ, შეისწავლეს ცოცხალ დონორთა ფსიქო-სოციალური ფუნქციონირება გადანერგვის შემდეგ. ავტორთა მოპოვებული მონაცემები ეხება დონორთა სოციალურ ფუნქციას, თვითმართველობის კონცეფციას, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას, ცხოვრების ხარისხს და ფიზიკურ მდგომარეობას. საუკეთესო შემთხვევებში დონორის და რეციპიენტის, დონორისა და პარტნიორის, და ოჯახთან ურთიერთობები-უცვლელი დარჩა ან გაუმჯობესდა. ბევრ დონორს აღენიშნა თვითშეფასების ამაღლება. დონორთა უმრავლესობა იყო ბედნიერი, ხოლო ზოგიერთს დაუფიქსირდა უარყოფითი ემოციები, მათ შორის: იგნორირების განცდა, იმედგაცრუება და მიტოვებულობის განცდა, დაუფასებლობა, სახეზე იყო დეპრესიული სიმპტომების სხვადასხვა ხარისხი[Franklin PM, Crombie AK. Live related renal transplantation: psychological, social, and cultural issues. Transplantation 2003; 76: 1247-1252.].

K.L. Lentine და თანაავტორების კვლევის მიხედვით[Lentine KL, et al Depression diagnoses after living kidney donation: linking U.S. Registry data and administrative claims. Transplantation. 2012; 94(1):77-83.], დონორებში დეპრესიის სიხშირე შეადგენს 11%-ს დონაციიდან 5 წლის შემდეგ. რეციპიენტის სიკვდილი, ან წარუმატებელი ტრანსპლანტაცია ზრდის დეპრესიის სიხშირეს არამონათესავე დონორებში[Isoniemi H. Living kidney donation; a surgeon's opinion. Nephrol Dial Transplant 1997; 12: 1828-1829]. დეპრესიის მაღალი დონე დაფიქსირდა ქალებში გადანერგვის შემდეგ, ხოლო მამაკაცები უფრო მიდრეკილნი აღმოჩნდნენ შფოთვისაკენ[Isoniemi H. Living kidney donation; a surgeon's opinion. Nephrol Dial Transplant 1997; 12: 1828-1829]. ვისაც ჰქონდა ასეთი სიმპტომები, ჩაუტარდა ფსიქოლოგიური დახმარება.

შვეიცარიაში ჩატარებულმა კვლევამ 393 დონორზე ნათელყო, რა პრობლემები იჩენს თავს თირკმლის გადანერგვისთანავე. კერძოდ, ფიზიოლოგიურ ჩივილებთან ერთად ჩნდება რამდენიმე დღიანი დეპრესია(1,5%).[Thiel G. Emotionally related living kidney donation: pro and contra. Nephrol Dial Transplant 1997; 12: 1820-1824.] საერთოდ, დონორები მტკივნეულად აღნიშნავენ, რომ ყურადღების ცენტრში ხვდებიან რეციპიენტები გადანერგვის შემდეგ და მათთან უფრო ხშირად მიდის მკურნალი ექიმი, ხოლო მათ ყურადღებას აღარ აქცევენ. დეპრესია შესაძლოა წარმოიქმნას უცაბედად, დროის მცირე მონაკვეთში, მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციამ ორივე მხარისათვის წარმატებით ჩაიარა. საბედნიეროდ, ასეთი დეპრესია არ არის ხანგრძლივი და დროთა განმავლობაში დონორის მდგომარეობა უმჯობესდება. აღნიშნულ კვლევაში ავტორები საუბრობენ იმაზეც, განიცდიან თუ არა თირკმლის დონორები ორგანოს გაცემას. გამოკვლეულთა 95%- მა აღნიშნა, რომ ისინი სიამოვნებით შეასრულებდნენ ამ მისიას, ხოლო 5%-მა უარი განაცხადა.

საქართველოში ჩატარებული კვლევები:

რამოდენიმე წლის წინ საქართველოში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო თირკმლის დონორების ცხოვრების ხარისხის შესწავლა, მისი შედარება საერთო პოპულაციის მაჩვენებლებთან და რადიკალური ნეფრექტომიით ნაოპერაციებ პაციენტთა სიცოცხლის ხარისხთან. აღნიშნულ კვლევაში გამოკვლეულ იქნა ალ. წულუკიძის სახ. უროლოგიის ეროვნულ ცენტრში 2005-2008 წლებში ნაოპერაციები დონორები და თირკმლის სიმსივნის მქონე პაციენტები (45 თირკმლის დონორი, 120 ჯანმრთელი პირი და 40 პაციენტი, რომელთაც ჩაუტარდათ ნეფრექტომია თირკმლის სიმსივისა და ჰიდრონეფროზის გამო). კვლევა ჩატარდა მრავალპუნქტიანი კითხვარის SF-36-ის საშუალებით, შედგება 36 კითხვისაგან და აფასებს პიროვნების ფიზიკურ ფუნქციას, სოციალურ ფუნქციას, ფიზიკურ ჯანმრთელობას, სხეულის ტკივილს, მენტალურ მდგომარეობას, ემოციურ სტატუსს, სიცოცხლისუნარიანობას, ზოგად თვითშეგრძნებას,

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თირკმლის დონორთა სიცოცხლის ხარისხი არ განსხვავდებოდა ჯანმრთელ, არანაოპერაციებ პირთა მაჩვენებლებისაგან და სარწმუნოდ აღემატებოდა თირკმლის სიმსივნის გამო ნაოპერაციებ პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის მაჩვენებლებს [Maglakelidze N, Pantsulaia T, Managadze L, Chkhotua A. Assessment of health-related quality of life in living kidney donors. Transplantation Proceedings,43, 373-375].

რაც შეეხება ფსიქოლოგიური რეაქციების, კონკრეტულ შემთხვევაში -თირკმლის დონორებში დეპრესიის დადგენის მიზნით ჩატარებულ კვლევას, საქართველოში ამ მიმართულებით ტრანსპლანტაციის შემდგომი კვლევები არ განხორციელებულა.

ჩვენი კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევა ჩატარდა 170 ცდის პირზე. სამიზნე ჯგუფი წარმოდგენილი იყო 40 დონორით(მათ შორის: მამაკაცი-14, ქალი-36), ხოლო საკონტროლო-130 ცდის პირით(მამაკაცი- 38, ქალი- 92). რესპოდენტთა ასაკი განისაზღვრებოდა 18-65 წლით. შერჩევა მოხდა ასევე განათლების, ეროვნების, სარწმუნოების, დასაქმების, დონორთა ვინაობის მიხედვით.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა:

1) ტრანსპლანტაციის შემდეგ თირკმლის დონორთა დეპრესიის დონის განსაზღვრა;

2) პოპულაციის წარმომადგენელთა დეპრესიის დონის განსაზღვრა;

3) კვლევის შედეგად მიღებული თირკმლის დონორებისა და პოპულაციის წარმომადგენელთა დეპრესიის დონის შედარებითი ანალიზი.

მიზნის მისაღწევად განხორციელებული ამოცანები:

1) ბეკის დეპრესიის საკვლევი კითხვარის საშუალებით თირკმლის დონორთა ტრანსპლანტაციის შემდგომი დეპრესიის დონის განსაზღვრა ქალებსა და მამაკაცებში;

2) ბეკის დეპრესიის საკვლევი კითხვარის საშუალებით პოპულაციის წარმომადგენელთა დეპრესიის დონის განსაზღვრა ქალებსა და მამაკაცებში;

ჰიპოთეზა:

1) ტრანსპლანტაციის შემდეგ თირკმლის დონორთა დეპრესიის მონაცემები განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის-პოპულაციის დეპრესიის მონაცემებისაგან;

2) სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელ ქალებში დეპრესიის დონე მაღალია მამაკაცებთან შედარებით;

3) საკონტროლო ჯგუფში ქალთა დეპრესიის დონე მაღალია მამაკაცებთან შედარებით.

კვლევის მონაცემები(ძირითადი ჯგუფი)

გამოკითხულ დონორთა 55%-ში გამოიკვეთა დეპრესიის ძალიან მაღალი მაჩვენებელი, მაღალი მაჩვენებელი 17.5 %-ში, საშუალო-15%-ში, დაბალი-2.5%-ში, ხოლო ძალიან დაბალი-10%-ში.



დონორთა დეპრესია:
საშუალო არითმეტიკული: 29.08, სტანდარტული გადახრა-11.700
საშუალო არითმეტიკული: მამრობითი-28.9, მდედრობითი 29.2.

სამიზნე ჯგუფის დისპერსიული ანალიზის შედეგები

დონორთა შემთხვევაში სტატისტიკურად სანდო განსხვავება დაფიქსირდა მხოლოდ „ვის გადაუნერგა"-ს კომპონენტის მიხედვით(ანუ ადამიანი, რომელსაც დონორმა ორგანო გადაუნერგა) (p=0.057).

რაც შეეხება სტატისტიკურად სანდო მონაცემებს(„ვის გადაუნერგას" კომპონენტის მიხედვით) დეპრესიის საშუალოების შედარებითი ანალიზი ასე გამოიყურება:

ძალიან მაღალი ნომინალური მნიშვნელობით: რეციპიენტი არის მაზლი, ძმა, დიშვილი. საშუალო არითმეტიკული: 33.2, სტანდარტული გადახრა-13.6638(ნორმატიულთან მიმართებაში-ძალიან მაღალი).

მაღალი ნომინალური მნიშვნელობით: რეციპიენტი- შვილი: საშუალო არითმეტიკული: 30.9615, სტანდარტული გადახრა-10.5772(ნორმატიულთან მიმართებაში-ძალიან მაღალი).

საშუალო ნომინალური მნიშვნელობით: რეციპიენტი-მეუღლე: საშუალო არითმეტიკული: 23.5, სტანდარტული გადახრა-11.3871(ნორმატიულთან მიმართებაში- მაღალი).

დაბალი ნომინალური მნიშვნელობით: რეციპიენტი არის და. საშუალო არითმეტიკული: 10.3333, სტანდარტული გადახრა: 2.3094(ნორმატიულთან მიმართებაში-დაბალი).

დეპრესია -საკონტროლო ჯგუფი:

საშუალო არითმეტიკული: 12.12; სტანდარტული გადახრა: 7.8880
მამრობითი : 11.61
მდედრობითი: 12.34.

საკონტროლო ჯგუფის დისპერსიული ანალიზის შედეგები:

განათლების კომპონენტის მიხედვით დეპრესიის მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავებაა(p=0.001).

დისპერსიული ანალიზის მიხედვით სტატისტიკური სანდოობით განსაზღვრული საშუალოების სიტყვიერი ანალიზი:

განათლების კომპონენტის მიხედვით დეპრესიის მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავებაა(p=0.001). ანუ განათლების ფაქტორი გავლენას ახდენს დეპრესიის დონეზე. კერძოდ: საშუალო განათლების მქონე ადამიანები უფრო მაღალ დეპრესიულობას ავლენენ, ვიდრე არასრული და უმაღლესი განათლების მქონე პირები(ნომინალური მნიშვნელობები: უმაღლესი: 10.62; ნორმატიულთან მიმართებაში- მსუბუქი დეპრესია(სუბ დეპრესია); საშუალო განათლების მქონე-16.17; ნორმატიულთან მიმართებაში- ზომიერი დეპრესია; არასრული საშუალო განათლება-11.00; ნორმატიულტან მიმართებაში-მსუბუქი დეპრესია(სუბ დეპრესია).

დეპრესიის მაჩვენებელი **დასაქმებასთან** მიმართებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს იძლევა. კერძოდ: პენსიონერები და უმუშევრები ნომინალური მნიშვნელობებით ხასიათდებიან მაღალი დონით(ნორმატიულთან მიმართებაში-ზომიერი დეპრესია), თვითდასაქმებულები-საშუალო დონით(ნორმატიულთან მიმართებაში-მსუბუქი დეპრესია), ხოლო კერძო სექტორსა და სახელმწიფო სექტორში დასაქმებული პირები გამოირჩევიან დეპრესიის დაბალი დონით(ნორმატიულთან მიმართებაში-მსუბუქი დეპრესია).

ძირითადი და საკონტროლო ჯგუფების საშუალოების შედარება t ტესტის მიხედვით(p=0.000). საშუალო არითმეტიკული: 16.952, სტანდარტული გადახრა: 1.612.

	დონორები	საკონტროლო ჯგუფი
დეპრესია	29,08	12,12

დასკვნები:

* ტრანსპლანტაციის შემდეგ თირკმლის დონორთა დეპრესიის მონაცემები განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის-პოპულაციის დეპრესიის მონაცემებისაგან. კერძოდ: დონორთა დეპრე-სიის დონე მნიშვნელოვნად მაღალია საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენელთა დეპრესიის დონისაგან;

*როგორც ძირითად, ასევე საკონტროლო ჯგუფის მდედრობით წარმომადგენლებში დეპრესიის დონე მაღალია მამაკაცებთან შედარებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Reimer J, Rensing A, Haasen C, et al. The impact of living-related kidney transplantation on the donor's life. Transplantation 2006; 81: 1268–73.
2. Jordan J, Sann U, Janton A, et al. Living kidney donors' long-term psychological status and health behaviour after nephrectomy – a retrospective study. J Nephrol 2004; 17: 728–35.
3. Crouch RA, Elliott C. Moral agency and the family: the case of living related organ transplantation. Camb Q Health Ethics 1999; 8: 275-287

4. Franklin PM, Crombie AK. Live related renal transplantation: psychological, social, and cultural issues. Transplantation 2003; 76: 1247-1252.
5. Isoniemi H. Living kidney donation; a surgeon's opinion. Nephrol Dial Transplant 1997; 12: 1828-1829.
6. Thiel G. Emotionally related living kidney donation: pro and contra. Nephrol Dial Transplant 1997; 12: 1820-1824.
7. Maglakelidze N, Pantsulaia T, Managadze L, Chkhotua A. Assessment of health-related quality of life in living kidney donors. Transplantation Proceedings,43, 373-375.
8. Beck AT, Ward CH, Mendelson M, Mock J, Erbaugh J. An inventory for measuring depression. Arch. Gen. Psychiatry 961; 4 (6): 561–71.
9. Lentine KL, et al Depression diagnoses after living kidney donation: linking U.S. Registry data and administrative claims. Transplantation. 2012; 94(1):77-83.
10. tuxaSviliT. „Tirkmlis transplantacia da donorTa fsiqo-emociuri reaqciebi transplantaciis Semdeg“. Jurnali „inteleqtuali;“ Tbilisi-2014.
11. naneiSvili g. fsiqiatriis mokle kursi Tbilisi. „mecniereba“-1998.

ენობრივი სტრუქტურები, როგორც დამარწმუნებელი ინსტრუმენტები რეკლამაში

მანანა შელია
პედაგოგიკის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანა პოლიტკოვსკაიას #61, თბილისი 0186
+995555179921
manan-7@mail.ru

რეზიუმე

რეკლამა თანამედროვე სამყაროს განუყოფელი ნაწილია. იგი მასობრივი საშუალების ერთ-ერთი ფორმაა. რომელიც პასუხობს საზოგადოების საჭიროებებსა და განწყობას.

სარეკლამო მიზნებისათვის აუცილებელია, რომ რეკლამერმა მიიზიდოს სამიზნე აუდიტორია. ეფექტური სარეკლამო ტექსტის შექმნა კრეატიულ აზროვნებას მოითხოვს.

საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი მისი გადმოცემის ლინგვისტური საშუალებების, ლინგვისტური ერთეულების, თუ სტილისური ხერხების გამოყენების (როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ დონეზე).

წინამდებარე სტატიაში აქცენტი კეთდება რეკლამირების ენის ანალიზზე ენობრივი თვალსაზრისით და ახსნილია სარეკლამო ტექსტებში გამოყენებულ ენობრივი საშუალებები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს რეკლამის წარმოშობის და განვითარების ისტორიული გზის, სარეკლამო ტექსტის ლექსიკური თავისებურებების – მორფოლოგიური საშუალებების შესწავლა და ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: რეკლამა, სარეკლამო ტექსტი, ინფორმაციულ.ი ლინგვისტური, ლექსიკური თავისებურებები, მორფოლოგიური საშუალებები.

LINGUISTIC STRUCTURES AS PERSUASIVE TOOLS IN ADVERTISING

MANANA SHELIA
Doctor of Education
Associate Professor
Sokhumi State University
61 Politkovskaya street, 0186,Tbilisi
+995555179921
manan-7@mail.ru

Annotation

Advertising is an integral part of the modern world and is important for every aspect of a business. It is one of the forms of mass media which responds to the needs of our community.

For advertising purposes it is essential to attract the target audience by te adertiser. Creating an effective advertising text requires creative thinking. There has been a marked increase in interest in the use of linguistic and stylistic means, linguistic units of conveying it (both verbally and non-verbally).

This paper focuses on the analysis of the language of advertising from a linguistic viewpoint and explains the linguistic means used in advertising texts.

The paper aims at studying and analyzing the historical way of origin and development of advertising, the language of advertising, the lexical features of the advertising text – morphological means, etc.

Keywords: advertising, advertising text, informative, linguistic, lexical features, morphological means

შესავალი

რეკლამა მასობრივი საკომუნიკაციო საქმიანობის განსაკუთრებული ტიპია, რომელსაც აქვს ეკონომიკური საფუძველი. საზოგადოება იმდენად შეეჩვია რეკლამას, რომ ამ ფენომენის გარეშე წარმოუდგენელია ყოფა-ცხოვრება. მსოფლიო ბაზარიც კი ვერ იარსებებდა მის გარეშე.

ინფორმაციული არხების საშუალებთ რეკლამა აკავშირებს ერთანეთს რეკლამისტებს და მომხმარებელთა აუდიტორიას.

რეკლამაში დიდი როლი ენიჭება როგორც არავერბალურ, ასევე ვერბალურ საშუალებებს, ადამიანებზე ვიზუალური და ენობრივი ზემოქმედების მიზნით.

ფ. კოტლერი განსაზღვრავს რეკლამას, როგორც კომუნიკაციის უპირო ფორმებს, რომლებიც ხორციელდება ინფორმაციის გავრცელების ფასიანი საშუალებებით დაფინანსების აშკარად მითითებული წყაროდან გამომდინარე. (5,278)

დღეს, "რეკლამის"ცნების მრავალი განმარტება არსებობს. ეს მოწმობს, ერთის მხრივ, თავად ფენომენის სირთულესთან და, მეორე მხრივ, მისი სისტემის ჩამოყალიბების მახასიათებლებზე სხვადასხვა თვალსაზრისით.

ლეგენდარული სახე ამერიკული რეკლამის ისტორიაში, სააგენტო Doyle Dane Bernbach – ის დამფუძნებელი და XX საუკუნის ყველაზე წარმატებული სარეკლამო კამპანიის «Think Small» - ის ავტორი უილიამ ბერნბახი აღნიშნავდა: ..რეკლამა ზუსტი მეცნიერება არაა, ეს შთაგონებაა- შთაგონება კი ხელოვნება“, ‘‘თქვენ მიერ დაწერილმა თითოეულმა სიტყვამ და სიმბოლომ ზუსტად უნდა გამოხატოს ის გზავნილი, რისი მიტანაც მომხმარებელთან გინდათ’’.

დევიდ ოგილვი – David Mackenzie Ogilvy (23 ივნისი 1911 – 21 ივლისი 1999) იყო სარეკლამო მაგნატი, Ogilvy & Mather- ის დამფუძნებელი და ცნობილია როგორც "რეკლამის მამა". 1962 წელს ამერიკულმა ჟურნალმა Time-მა მას უწოდა "ყველაზე პოპულარული ჯადოქარი თანამედროვე სარეკლამო ინდუსტრიაში". ის თავისი მოგონებების წიგნში, წერს: ”პრობლემის ორიგინალური გადაწყვეტა ჯადოსნური ჯოხის მოქნევის შედეგი არ არის. ამას მოითხოვს მთელი აზროვნების სტრატეგია, რომლის დასაწყისიც სარეკლამო პრობლემის კრეატიული ანალიზია. იგივე შემოქმედებითი მიდგომა აუცილებელია მარკეტინგული ღონისძიებების არჩევისას და კონკრეტული საკომუნიკაციო არხის სასარგებლოდ გადაწყვეტისას. ”(6,.134).

ისტორიულად, რეკლამა წარმოიშვა და განვითარდა საზოგადოების ევოლუციის პროცესში. რეკლამის ისტორია და მისი სხვადასხა ფორმა ათასობით წლებია არსებობს. ეგვიპტელები იყენებდნენ პაპირუსს საქონლისა და მომსახურების რეკლამირებისთვის.

ძველი მსოფლიოს უძველესი რეკლამა ატარებდა წამოძახილის ხასიათს. რეკლამის ფორმა შედგებოდა მდიდარი სიტყვების მარაგით, ბგერითი და გამოხატვის ხერხებით.

ანტიკურ პერიოდში საფუძველი ეყრება უკვე განვითარებულ სარეკლამო აქტივობას. რეკლამის საყრდენ ჟანრს წარმოადგენდა – ზეპირი განცხადებები, ოპერატიული საჭირო ინფორმნაციით: ეკონომიკური, პოლიტიკური, გასართობი, სხვადასხვა მომსახურების შესახებ.

XI-XII საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში გამოჩნდა ე. წ. **"ჰეროლდები – heralds"**, რომლებიც მეფეებისა და ფეოდალების კარზე განკარგულებების ამცნობდნენ ხალხს, ორგანიზაციას უწევდნენ და აკვირდებოდნენ სადღესასწაულო ღონისძიებებს და რაინდულ და ა. შ.

მოგვიანებით, რეკლამა იწყებს გამოსვლას წერილობითი ტექსტის ფორმით და ილუსტრაციებით. რევოლუციურ მოვლენას წარმოადგენდა 1445 წელს იოჰან გუტენბერგის მიერ საბეჭდი სტამბის გამოგონება. რომლის საშუალებითაც ამზადებდნენ სხვადასხვა ტიპის ბეჭდვითი რეკლამას – სარეკლამო პროდუქციის ახალი ტიპებს, როგორებიცაა განცხადება, რეკლამა, კატალოგი, პროსპექტი, პრეისკურანტი და აფიშა.

თანამედროვე რეკლამის ფორმები ჩამოყალიბდა XVI–XVIII საუკუნეებში გაზეთებისა და ჟურნალების დაბეჭდვასთან ერთად. პირველი ყოველკვირეული გაზეთები ვენეციაში XVI საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. იქიდან, ყოველკვირეული გამოცემის კონცეფცია გავრცელდა იტალიაში, გერმანიასა და ჰოლანდიაში.

სარეკლამო მედიის ტიპები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: სატელევიზიო რეკლამის საშუალებები, რადიო რეკლამა, მედია რეკლამა, ინტერნეტ რეკლამა, გარე და შიდა რეკლამა, სატრანსპორტო რეკლამა.

პირველი სატელევიზიო, ნიუ – იორკის სადაზღვევო კომპანია **Bulova**– ს 10 – წამიანი რეკლამა აშშ-ის ეკრანებზე გამოჩნდა 1941 წლის 1 ივნისს, 2:29 საათზე, რომელიც ბრუკლინ დოდჯერსისა და ფილადელფია ფილიზის ბეისბოლის თამაშის წინ გავიდა. რეკლამა 9 დოლარი ღირდა.

1947 წელს შეერთებულ შტატებში შეიქმნა პირველი კომერციული ტელევიზია. 1960 – 1980 -იანი წლების ბოლო ხასიათდება "რეკლამის ოქროს ხანად".

საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ფართოდ დაინერგა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ინტერნეტ – ქსელი, რომელიც XX საუკუნის 90 – იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა, სწრაფად გააფართოვა სივრცე კომერციული, მარკეტინგული და სარეკლამო კომუნიკაციებისთვის.

თანამედროვე ციფრულ სამყაროში ონლაინ რეკლამა, მარკეტინგის მნიშვნელოვანი ასპექტია. სოციალური მედიის რეკლამები ინტერნეტ რეკლამის (**YouTube**, **Facebook Twitter, LinkedIn** და სხვ.) ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მომგებიანი ფორმაა.

რეკლამის მთავარ მიზნებში შედის: ინფორმაციულობა, დარწმუნება-ზემოქმედება და შეხსენება. რეკლამერმა უნდა დაარწმუნოს მომხმარებელი პროდუქტის შეძენაში, გახადოს კომპანია ცნობილი, ხელი შეუწყოს პოლიტიკოსის პოპულარობას, მიაწოდოს აუდიტორიას სოციალურად მნიშვნელოვანი აზრები, ასევე პირდაპირ ან არაპირდაპირ აჩვენოს შემოთავაზებული პროდუქტის კონკურენტუნარიანი უპირატესობები და ამით გაზარდოს (შეინარჩუნოს) არსებული გაყიდვების მოცულობა.

დ. ოგილვის აზრით ,,თუ თქვენ და თქვენი კონკურენტები ყველანი შესანიშნავ პროდუქტებს ქმნით, ნუ შეეცდებით აღნიშნოთ, რომ თქვენი პროდუქტი უკეთესია. უბრალოდ თქვით, რამდენად კარგია თქვენი პროდუქტი, ახსენით უფრო გასაგებად და მეტი ინფორმაციული სამუშაო ჩაატარეთ'' (6,25).

ლ. ტატიშვილი თვლის, რომ ,,ბრენდების სასურველი ღირებულების შენარჩუნებისა და შეუფერხებელი რეალიზაციის მოსაპოვებლად, უპირველეს ყოვლისა, თავად რეკლამა უნდა იყოს ლიდერი სხვა (მსგავსი პროდუქციის) რეკლამათა შორის, რაც უთუოდ განაპირობებს შესაბამისი ბრენდის ლიდერობასაც'' (3, 110).

სარეკლამო დისკურსი ენობრივი აქტივობის პროცესია, რომელიც წარმოადგენს ტექსტს სარეკლამო კომუნიკაციის ექსტრალინგვისტურ, სოციოკულტურულ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორებთან ერთად. ტექსტი სარეკლამო ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია და ელემენტია, რომელიც ხსნის რეკლამის შინაარსს.

ა. თოიძე გამოყოფს სარეკლამო დისკურსის ძირითად ტიპებს, სარეკლამო სათაურს – სლოგანს, სარეკლამო შენიშვნას, სარეკლამო ინტერვიუს – კითხვა-პასუხის ბლოკს, სარეკლამო ანგარიშს – ცნობებს, რეკლამის მიმოხილვას პუბლიცისტური ფორმით, სარეკლმო კონსულტაციას, სარეკლამო მოთხრობას – მოკლე კომპოზიციას, სიტუაციას, სარეკლამო სტატიას, სტრიქონულ ანუ დანაწევრებულ რეკლამას. (2, 45).

სარეკლამო სლოგანები თანამედროვე მსოფლიოში აქტიურად განვითარებადი მეტყველების ჟანრია. რეკლამის ტექსტის შედგენის მიზნით მთავარი მოთხოვნა არის მაქსიმალური ინფორმაციის გადმოცემა მინიმალური სიტყვებით, რათა მყიდველისთვის მარტივი იყოს მისი დამახსოვრება. სარეკლამო ტექსტი, სიმბოლური ერთეულების თანმიმდევრობით, წარმოადგენს კომპლექსურ სემიოტიკურ მთლიანობას, რაც ყველაზე შესაფერისია ბაზარზე რეკლამირებული პროდუქტის პოპულარიზაციისთვის.

ენათმეცნიერებს ყოველთვის აინტერესებთ ენობრივი სტრუქტურების გამოყენება, რომლებიც ინფორმაციას აშკარად და ნათლად გადმოცემენ. კომერციული ნომინაციები – სასაქონლო ნიშნები, ბრენდები, სარეკლამო სახელები ლინგვისტთა დიდ ინტერესს იწვევს. სარეკლამო ტექსტის სხვადასხვა ენობრივი საშუალებებია: ლექსიკური, სტილისტური, მორფოლოგიური, სინტაქსური და გრაფიკული.

სარეკლამო კომპანია მუდამ ცდილობს შეარჩიოს და გამოიყენოს ის ენობრივი ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც შეძლებს მომხმარებელის დარწმუნებას შეთავაზებული საქონლის შეძენაში. რეკლამისტი ეხმარება მომხმარებლს და არწმუნებს მას პროდუქტის ბრენდის სწორად არჩევანში.

სარეკლამო ტექსტები ძალიან მრავალფეროვანია. ისინი შეიძლება იყოს სასაქონლო, კორპორატიული, სოციალური, პოლიტიკური და ა. შ. რომელთა სტრუქტურა შედგება სარკლამო რგოლის სლოგანის, ექო ფრაზის, კომპანიის ატრიბუტის, შრიფტის, ფერის და სხვა გრაფიკული ელემენტების, ილუსტრაციების, კომპანიის სახელების და ლოგოებისგან.

ამერიკული პრესის ერთ-ერთი წამყვანი გაზეთი The New York Times-ი ბრენდებს სთვაზობს განათავსონ სარეკლამო სლოგანები – Our mission is to help brands make an impact in the world – ჩვენი მისიაა ბრენდების დახმარება, რათა გავლენა მოახდინონ მთელს მსოფლიოში.

ადამიანი აკვირდება და აცნობიერებს თანამედროვე ბუნებაში არსებულ კლიმატის ცვლილებებს. დედამიწის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში სახეობათა გადაშენების უმთავრესი მიზეზი სწორედ კლიმატის ცვლილება ხდებოდა. ამიტომ, ყველამ მიზნად უნდა დავისახოთ ბუნების დაცვა და შენარჩუნება, რადგან ბუნება ადამიანის სასიცოცხლო ნაწილია.

New York Times,-ის 2020-ის გამოშვებაში განთავსებულია ფეხსაცმლების ბრენდის Allbirds-ის სარეკლამო რგოლები. Allbirds არის ახალი ზელანდურ-ამერიკული ფეხსაცმლის კომპანია, რომელიც მიზნად ისახავს ეკოლოგიურად უსაფრთხო სპორტული ფეხსაცმლის დიზაინს. წარმოვადგენთ სარეკლამო რგოლს: Why our future may depend on the fate of birds. The earth gives us signs.

Allbirds – ავითარებს ფრინველების გარემოს, მდგრადი კომერციის გასაძლიერებლად. ფრინველები ასრულებენ ფასდაუდებელ ეკოსისტემურ მომსახურებას, რომელიც აუცილებელია ჩვენი გადარჩენისთვის. ამასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ სარეკლამო რგოლებს: Protect our forest და Spread Flowers.

2022 წლის ერთ-ერთ საუკეთესო სარეკლამო ტექსტია ,,Twix Makes a Dream Come True'' – ამ ამერიკული ბრენდის უახლესი პროდუტი Twix Meltdown მიზნად ისახავს თაყვანისმცემლების სიამოვნებას, რომელიც აერთიანებს თქვენს საყვარელ ყოველდღიურ საყვარელ კანფეტთან. „TWIX-ისა და ყავის ერთად ტკბობა ბუნებრივი შეწყვილების მსგავსია", – თქვა მიშელ დეინანმა, TWIX®-ის ბრენდის, Mars Wrigley საკონდიტრო ნაწარმის დირექტორმა.

ამავე წელს ძაღლების საკვების ბრენდმა, ამერიკულმა კომპანიამ Mars- მა Pedigree-იმ წარმოადგინა სარეკლამო ტექსტი: Pedigree Spreads Happiness ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ბრაზილიელების 5,8% განიცდის დეპრესიას. მაგრამ ძაღლებს შეუძლიათ დაეხმარონ პატრონებს დაკარგული ბედნიერების აღდგენაში. ზოგიერთი თვლის ამ რეკლამას წლის ერთ-ერთ საუკეთესო მარკეტინგულ კამპანიად. კამპანია ასევე მოიცავს სათამაშოების ხაზს, რომელზეც გამოსახულია სიტყვები "love", "happiness", "life" და hope". წახალისების მიზნით, Pedigree რეკლამას უწევს ადამიანებს ძაღლების აყვანას.

Kellogg's – ბურღულეულისგან დამზადებული საუზმის ცნობილი ამერიკული მწარმოებელი კომპანიის 2022 წლის სარეკლამო ტექსტია: Kellogg's Aims at Transparency – მისი მიზანია გამჭვირვალობა. კომპანია თვლის, რომ ცვლილების დრო დადგა. მარცვლეულის ბრენდების მთელი ასორტიმენტის რებრენდინგი ევროპულ ბაზარზე წარმოადგენს კომპანიის ყველაზე დიდ რედიზაინს მის 113 – წლიან ისტორიაში.

რებრენდინგის მარკეტინგული კამპანია აძლევს ბრენდს "უფრო სუფთა" და უფრო გამჭვირვალე იერს, რომელიც შეესაბამება თანამედროვე მომხმარებლის საჭიროებებს. ხელახალი დიზაინი მიზნად ისახავს ფოკუსირებას ბუნებრივ მარცვლებზე.

სიტყვიერი კომპონენტის მოცულობა პირდაპირ კავშირშია სარეკლამო ტექსტის ტიპსა და ჟანრთან. სარეკლამო ტექსტში გამოყენებულია ენობრივი საშუალებების დიდი რაოდენობა, რაც ხელს უწყობს სასურველი შედეგის უფრო ეფექტურად მიღწევას. გარდა ამისა, სარეკლამო ტექსტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის გამოყენება, მაგრამ რაც შეიძლება მეტი სიტყვა უნდა იყოს, ისე რომ ტექსტი ადვილად აღიქმებოდეს ადრესატის მიერ.

სარეკლამო ტექსტებში მეტყველების ნაწილებს შორის ჭარბობს არსებითი სახელები, რადგან დიდი ინფორმაციული პოტენციალი გააჩნიათ. სწორედ პროდუქტის, თუ ბრენდის სახელწოდება წარმოდგენილია არსებითი სახელებით. სარეკლამო სლოგანებში საკუთარი და საზოგადო სახელების რაოდენობა დაახლოებით ტოლია. სლოგანის შემადგენლობაში შეიძლება დასახელდეს ფირმა ან მწარმოებელი ქვეყანა.

მაგალითად: Bayer works wonder – brand: Bayer Aspirin – ''ბაიერი იმედს არასდროს გაგიცრუებთ; It's a Sonny; Nike – Just do it!. Apple – "Think Different", McDonald's – "I'm lovin' it", Ariel – Powders contain bleach, so try Ariel Original Washing Powder for your white load for whites that shine bright.

ინგლისურენოვან რეკლამებში იყენებენ სხავადასხვა მეტყველების ნაწილს, ხშირ შეთხვევაში ზედსართავებს: sensual, first, new, innovative, romantic, natural, unusual, wonderful და ა. შ. დევიდ ოგილვი, თავის მხრივ, საჭიროდ მიიჩნევს მყიდველს ახალი პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობაზე. იგი აღნიშნავს, რომ ინგლისურ რეკლამაში უფრო ხშირად გვხვდება შემდეგი სიტყვები და ფრაზები ''Now" – ..ახლა", "Amazing" – ,,საოცარი", "Suddenly" – ..მოულოდნელად", ''Announcing" – ..ანონსი", Introducing" – ,,გაცნობა", "It is here" – ,,ის აქ არის", "Improved"- ,,გაუმჯობესებული", "Revolutionary" – ,,რევოლუციური", "Just arrived" – ,,ახლახან ჩამოსული", "Important" – ,,მნიშვნელოვანი ", "Development" – ,,განვითარება" [6,,318).

კორონავირუს COVID 19-ის პრობლემას უკავშირდება რეკლამა, New Rules for Covid Summer: **Be Flexible and Vigilant,** რომელიც მიმართულია რეგულაციების დაცვის მიზნით – Covid ზაფხულისთვის. [*The Wall Street Journal* – June 14, 2020]

რეკლამის ტექსტებში, უარყოფითი შეფერილობის მქონე ლექსიკა პრაქტიკულად არ არსებობს. ხშირად იყენებენ სიტყვებს: **good, free, great, sure, new, best** და ა. შ.

Great moments in time. (Omega); We make **sure**. (FUJITSU SIEMENS Computers);

ზოგიერთი სლოგანი შეიცავს სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებსაც აქვთ **შედარების** მნიშვნელობა: **longer, stronger, better.**

No battery is **stronger longer**. (Duracell); A **Better** Way forward. (Michelin);

There's no **better** way to fly Lufthansa. (Lufthansa)

ასევე ხშირია სარეკლამო სლოგანები, რომელიც შეიცავს სიტყვებს აღმატებით ხარისხში: ფოტომასალების ამერიკული კომპანიამ Eastman Kodak Company გაზეთ The Independent -ში გამოაქვეყნა სარეკლამო სლოგანი Kodak is selling 'world's **largest** puzzle' to entertain you in lockdown. [The Independent APRIL APRIL, 2020]

ინგლისურ ენაში, XIX საუკუნის დასაწყისისათვის, ფართოდ დაიწყეს ზმნა Advertise-ის გამოყენება, რომელიც XV-XVI საუკუნეებში, როგორც ოქსფორდის ლექსიკონი მიუთითებს, უბრალოდ გულისხმობდა რაღაცის შესახებ შეტყობინებას, ამით ხაზს უსვამს რეკლამირების ინფორმაციულ ფუნქციას. ზოგადად, რეკლამის კონცეფცია, როგორც ტერმინი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული ტიპის საქმიანობას, სწორედ, სარეკლამო საქმიანობას, საბოლოოდ ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

ზმნის კონსტრუქციების გამოყენება სარეკლამო ტექსტებში ზემოქმედებას ახდენს მომხმარებლების ყურადღებაზე. სარეკლამო ტექსტში ზმნის ერთ-ერთი ფუნქციაა რჩევის მოცემა, გამოსავალის პოვნა ნებისმიერი სიტუაციიდან და ა. შ.

ახალი კორონავირუსული ინფექციური დაავადება, COVID-19 არის კორონავირუსების ახალი შტამი, რომლის იდენტიფიცირებაც აქამდე ადამიანში არ მომხდარა. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი კორონავირუსისგან სრულიად გამოჯანმრთელდა. ის რეკლამაში მოუწოდებს ბრიტანეთის მოსახლეობას **STAY ALERT, CONTROL THE VIRUS, SAVE LIVES**. **[The Gardian , 4 June, 2020.]**

ზმნიზედები სარეკლამო სლოგანში გამოიყენება პროდუქტის აღწერის მიზნით სასარგებლო ეფექტის მოსახდენად პოტენციურ მყიდველზე. უმრავლესი ზმნიზედის სემანტიკა პოზიტიურია, თუმცა გარკვეული თვალსაზრისით, ეს მრავალფეროვნება სამი სიტყვის ვარიაციით განისაზღვრება: **good, better, the best**: M'm! M'm! **Good**! – brand: Campbell's Soup; Next to myself. I like BVD **best** – brand: BVD Underwear.

ნაცვალსახელების გამოყენება სარეკლამო ტექსტებში არის სტილისტური ხერხი, რომელიც ქმნის ნდობისა და წვდომის ეფექტს. სარეკლამო სლოგანებში შეგიძლიათ იპოვოთ პირის you, we და კუთვნილებითი ნაცვალსახელები your, our, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიის წარმომადგენელებს ურთიერთქმედების სიტუაციის შესაქმნელად, კომუნიკაციას მომხმარებლებთან.

სარეკლამო სლოგანებში ნაკლებად გამოიყენება პირველი პირის ნაცვალსახელები. აქვე გამოვიყენებთ ზევით ხსენებულ *McDonald's*-ის სლოგანს:

I'm lovin' it. (McDonald's); Here **I** am. (Nike); **I** am what **I** am. (Reebok)

მოცემულ სარეკლამო სლოგანში ადგილი აქვს კუთვნილებითი ნაცვალსახელის **your**-ს განმეორების მაგალითს: გაზეთ **Evening Standard**-ის 2020 წლის 6 მაისის ოთხშაბათის ნომერში მოთავსებულია შემდეგი სარეკლამო ტექსტი: **All in, all together**, **stay @ for the NHS, your family, your neighbours, your nation, the world and life itself.**

ამავე გაზეთში შეიძლება იხილოთ შემდეგი სარეკლამო ტექსტი: **We can help control the virus if we all stay alert! Keep our distance, wash our hands, think of others and play our part.** აღნიშნულ მაგალითში ასევე მეორდება კუთვნილებითი ნაცვალსახელი **our.**

სარეკლამო სლოგანებში ხშირად გამოიყენება წინდებულები, ყველაზე ხშირად კი წინდებული **for.**

For Digestion's Sake – Smoke Camel – brand: Camel Cigarettes

Making smoking 'safe' for smokers – brand: Bonded Tobacco Company

სარეკლამო ტექსტებში არტიკლების გამოყენებას თან ახლავს მრავალფეროვანი სტილისტიკური ხერხების გამოყენება, რომლებიც ემყარება ხმოვან და რითმულ შეტყობინებებს. საჭიროა აღინიშნოს ის, რომ ინგლისური არტიკლი დამოუკიდებელია და შეუძლია გამოხატოს თავისი დამოკიდებულება სარეკლამო პროდუქტის მიმართ.

განუსაზღვრელ არტიკლს a (an)-ს განმასხვავებელი ძალა გააჩნია, თუმც ის არ წარმოადგენს მიმანიშნებელ ჟესტს, რადგან ძველ ინგლისურში ნიშნავდა ნომერ "ერთს".

A taste of paradise.

When you care enough to give **a** card mass-produced by **a** corporation. brand: Hallmark

ტურისტული მარშრუტების ერთ-ერთი რეკლამა: **A** train, once large, feels like no more than **a** marble – rolling down a track laid at the feet of giants. [A042]

გერმანიკულ ენებში განსაზღვრული არტიკლი მჭიდრო კავშირშია ჩვენებით ნაცვალსახელებთან. მაგალითად: **The Power of Dreams.** ეს სარეკლამო სლოგანები ეკუთვნის საავტომობილო კომპანია HONDA-ს. The road will never be the same. (HONDA); The art of performance. JAGUAR; The Power to Surprise. (KIA); The new class of world class. (BUICK). მოცემულ მაგალითებში ლექსემები the power, the road, the art, the new class ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ჩვენ უკვე გვაქვს გარკვეული წარმოდგენა მანქანებზე და კომპანიების შესახებ.

სხვა შემთხვევებში, სარეკლამო სლოგანის შემდგენლები თავს არიდებენ არტიკლის გამოყენებას:

Grace... space... pace – brand: Jaguar; Nokia – connecting people! – brand: Nokia;

If you smoke, please smoke Carlton – brand: Carlton Cigarettes.

რედუპლიკაციის პრობლემა თანამედროვე ლინგვისტიკაში აქტუალურია, ამასთან

დაკავშირებით, ლინგვისტი გ. ბ. ანტრუშინა აღნიშნავს, რომ რედუპლიკაცია გამოიყენება სასაუბრო მეტყველებასა და სლენგებში, მაგალითად, **walkie-talkie** ("a portable radio"), **riff-raff** ("the worthless or disreputable element of society"), **chichi** ("sl. for chic as a chi-chi girl") (4, 118). რედუპლიკაციური ტერმინების მაგალითებად შეიძლება წარმოვადგინოთ შოკოლადის ბრენდები, როგორებიცაა – ***Kit Kat***, ***jim-jams***, ***Tic Tac*** , ***Tim Tam*** და ა. შ.

აკრონიმები ანუ აბრევიატურა სიტყვაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული საშუალებაა სარეკლამო ტექსტებში, რომლებიც წარმოებულია სიტყვების საწყისი ასოებისგან. მათ როგორც წესი, ძალიან ხშირად იყენებენ ბიზნესში, მარკეტინგში და სოციალურ მედიაში. არონიმების გამოყენების მთავარ მიზანს წარმოადგენს მეტყველებისა და წერილობითი ტექსტის ეკონომია. განსაკუთრებით მაშინ, როცა სარეკლამო ტექსტის განთავსება ხდება ჟურნალ-გაზეთებში ან ინტერტენში, რომლებიც წარმოადგენს ასევე ერთგვარ სიმბოლოს ინფორმაციის გადაცემისთვის.

VAST – a video specific adserving tag – ვიდეო სპეციფიკური სარეკლამო ტეგი,

იძლევა ვიდეო რეკლამის ეფექტურ განთავსებას ვიდეო პლეერში.

AIDA (Attention, Interest, Desire, Action) – მოცემული აბრევიატურა აგებულია მარკეტინგისა და რეკლამის AIDA მოდელის ოთხ ძირითად პრინციპზე. გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტში ბიზნესის გასაუმჯობესებლად.

SMM (Social Media Marketing)- ეხება სოციალური მედიისა და სოციალური ქსელების გამოყენებას კომპანიის პროდუქტებისა და სერვისების მარკეტინგის მიზნით.

შენაზარდი არის რამდენიმე სიტყვის შეერთების შედეგად წარმოებული სიტყვა.

,,მოკლედ რომ ვთქვათ ეს არის სიტყვები, რომლებშიც ერთი სიტყვის მოკვეცილი ნაწილი შეერთებულია მეორე სიტყვის მოკვეცილ ნაწილთან. (1. 79) მსგავსი წარმონაქმნები ენათმეცნიერებაში ცნობილია პორტმანტოების – portmanteau words სახელწოდებით. ე. ი. სიტყვები, რომელიც წარმოიქმნება ორი ან მეტი სიტყვის ან სიტყვების ნაწილის შერწყმით.

Cocacolonization = Coca-Cola + Colonization ეს პორტმანტო გულისხმობს ამერიკული კულტურის გლობალიზაციას, ეხება ფრენჩაიზის ან ბრენდის გლობალურ განვითარებას. ტერმინი ფაქტობრივად სულაც არ არის ახალი. ის გამოჩნდა 1950-იან წლებში. როგორც ცნობილია, გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელი Coca-Cola-ს მთელ მსოფლიოში სვამენ, გარდა კუბასა და ჩრდილოეთ კორეაში. **'Coca-Cola – Real Magic', 'Share a coke'.**

Advertainment = Advertisement + Entertainment რეკლამა არის გასართობი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს პროდუქტების, სერვისების ან ბრენდის იმიჯს. ეს სარეკლამო სტრატეგია მიმართავს აუდიტორიას გასართობი საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა სიმღერები, ფილმები, ტელევიზია, თამაშები და ელექტრონული კომუნიკაცია. საინტერესო, ეფექტური და გასართობი რეკლამის შექმნის მიზნით ზოგიერთი კომპანია იწვევს ხოლმე ხელოვნების სფეროს ცნობილ მსახიობებს, რეჟისორებს, მუსიკოსებს და გადამღებ ჯგუფებს. ინგლისელმა მსახიობმა დენიელ რაფტონ კრეიგმა, რომელიც ცნობილია ბრიტანელი საიდუმლო აგენტის, ჯეიმს ბონდის როლით მიიღო მონაწილეობა გერმანული ლუდის მწარმოებელი კომპანიის **Heineken-ის** რეკლამაში: '**No Time to Die**' .

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ყველა ტიპის რეკლამის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ექსპრესიულობის შექმნის საშუალებები, კერძოდ კი ტექსტის მორფოლოგიური და სტილისტიკური მახასიათებლები, საკმაოდ გავრცელებული და მრავალფეროვანია, რომლებიც როგორც დამარწმუნებელი ინსტრუმენტები დიდ გავლენას ახდენს მომხმარებლებზე.

მაშასადამე, რეკლამა როგორც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, დროთა განმავლობაში სულ უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო და ფართომასშტაბიანი ხდება.

ლიტერატურა

1. **ბაკარაძე ე.** ინგლისური ენის ლექსიკის განვითარების თანამედროვე ტრადიციები (შემოკლებული ერთეულებისა და ახალგაზრდული სლენგის ანალიზის საფუძველზე) დისერტაცია, თბილისი, 2009
2. **თოიძე ა.** რეკლამის კომუნიკაციური ფუნქცია და სარეკლამო სლოგანის პარადოქსები (ინგლისური და ქართული ენების ბაზაზე), დისერტაცია, ბათუმი, 2013
3. **ტატიშვილი ლ.** სატელევიზიო რეკლამის მხატვრულ-შემოქმედებითი ასპექტები (სიტყვა, მუსიკა და ფერი სატელევიზიო რეკლამის სტრუქტურაში), სადისერტაციო ნაშრომი, შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014
4. **Antrushina G. B., Afanasyeva O.V., Morozova N. N. –** Lexicology of the English language. English Lexicology Moscow Publishing house "Drofa" (In Russian).
5. **Kotler P**. (2002). Marketing Management Millenium Edition, Prentice-Hall, Inc., New Jersey,Tenth Edition, p. 278. 541
6. **Ogilvy D**. Ogilvy on Advertising Vintage Books A Division of Random House., New York, 1985
7. **Огилви Д.** Огилвио рекламе. –М: Эксмо, 2012 –318 с«Манн, Иванов и Фербер», 2018 https://www.marketer.ge › william-bernbach

ავტორები

ნინო ბოჭორიშვილი – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი გურამ თავართქილა-ძის სახელობის თბილისის, სასწავლო უნივერსიტეტი

ნუგზარ თევდორაძე – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ლიკა საჯაია – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ედიშერ ფუტკარაძე – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ზურაბ მუშკუდიანი – გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი

ნათია სურმანიძე – გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ხათუნა თაბაგარი – გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

მარინე ვეკუა – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ლეილა დიასამიძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

ანნა მახარაძე – პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტი. მაგისტრატურის სტუდენტი

თეა მჟავანაძე – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფილოსოფიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

თამარ ტუხაშვილი – საქართველოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიის დოქტორანტი

ნიკოლოზ ჯანაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფსიქოლოგიის ბაკალავრიატის სტუდენტი

მანანა შელია – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

AUTHORS

Nino Botchorishvli – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, PHD in Law, Associate Professor

Nugzar Tevdoradze – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Law, Associate Professor

Lika Sajaia – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Law, Associate Professor

Edisher Phutkaradze – Sokhumi State University, Doctor of Law, Professor

Zurab Mushkudiani – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Business Administration, Professor

Natia Surmanidze – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Economics, Associate professor

Khatuna Tabagari – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Economics, Assistant professor

Marine Vekua – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Journalism, Professor

Leila Diasamidze – Batumi Shota Rustaveli State University, PhD, Assistant Professor

Anna Makharadze – Beijing Language and Culture University, Master's Student

Tea Mzhavanadze – Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of Philosophy, Assistant Professor

Tamar Tukhashvili – St. Andrews Georgian University, lecturer at Guram Tavartkiladze University Doctor of Psychology

Nikoloz Janashvili – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Student of Psychology

Manana Shelia – Sokhumi State University, Doctor of Education, Associate Professor

ფასი სახელშეკრულებლო

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISSN 2587-4543